



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
Georgian National University SEU

**დამხმარე სახელმძღვანელო
ბიზნეს სამართლის
სასწავლო კურსისთვის**

**ADDITIONAL LEARNING MATERIALS FOR
STUDY COURSE IN BUSINESS LAW**

თბილისი 2022

Tbilisi 2022

სარედაქციო კომიტეტი:

Editorial Board:

თავმჯდომარე:

Chairman:

თენგიზ თაქთაქიშვილი

TENGIZ TAKTAKISHVILI

საკონფერენციო საბჭო:

Conference Board:

გობა კიკილაშვილი

GOGA KIKILASHVILI

ნათო შითანავა

NATO TCHITANAVA

გვანტა ხასია

GVANTSA KHASIA

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

Georgian National University SEU

რედაქციის აზრი შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

Editor's position may not coincide with that of authors. Authors are responsible for the facts and data in the article.

დამხმარე სასწავლო მასალები მომზადებულია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მხარდაჭერით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში.

Additional learning materials have been prepared with the support of Georgian National University SEU, in the framework of scientific grant project for the academic staff.

პროექტის აპორეზისბან

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუ-ს მხარდაჭერით და დაფინანსებით განხორციელდა ბიზნეს სამართლის კვლევითი პროექტი. ეს იყო თითქმის ერთწლიანი კომპლექსური აქტივობების ციკლი, რომელიც მიზნად ისახავდა ბიზნეს სამართლის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო აქტივობების განხორციელების ხელშეწყობას, კერძოდ: ბიზნესის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, ტურიზმის და სხვა მომიჯნავე დარგის წარმომადგენლების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას, სამართლის და ბიზნესის წრეების დაახლოებას, ბიზნესის წინაშე არსებული სამართლებრივი გამოწვევების იდენტიფიცირებას, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და პრაქტიკოსი იურისტების ჩართულობით ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელების გზით ინტელექტუალური რესურსის შექმნას და მათ გამოყენებას სასწავლო მიზნებისთვის.

პროექტის ყველა ეტაპი განხორციელდა ბაზრის კვლევის საფუძველზე და მის შესაბამისად პროექტის პარტნიორ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე აქტივობა, როგორცაა: ბიზნეს სამართლის სიმპოზიუმი, ბიზნეს დავების საზაფხულო სკოლა, სტატიების კონკურსი ბიზნეს სამართალში, საერთაშორისო კონფერენცია თემაზე ბიზნეს სამართლის აქტუალური საკითხები და შეიქმნა წინამდებარე დამატებითი სასწავლო მასალების კრებული.

საორგანიზაციო ჯგუფს გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს - სეუ-ს გაწეული დახმარებისთვის, რადგან მხოლოდ მისი მუდმივი ხელშეწყობის და დაფინანსების საშუალებით გახდა შესაძლებელი პროექტის განხორციელება.

ასევე, გვინდა მადლობა გადავუხადოთ პროექტის ყველა მონაწილეს და პარტნიორ ორგანიზაციას თითოეულ აქტივობაში მათ მიერ შეტანილი წვლილისთვის.

იმედს გამოვთქვამთ, წინამდებარე სასწავლო მასალები დაიმსახურებს მკითხველის მოწონებას და ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებადი დამხმარე ლიტერატურის როლს შეასრულებს ბიზნეს სამართლის და მომიჯნავე დისციპლინების სწავლების პროცესში.

თენგიზ თაქთაქიშვილი
გოგა კიკილაშვილი
ნატო ჭითანავა
გვანცა ხასია

შინაარსი

გოგა კვიციანი - კანონიერი ნდობის ინსტიტუტის მნიშვნელობა მდგრადი ზიზნის გარემოს ფორმირების პროცესში	9
აბსტრაქტი	9
Abstract	10
შესავალი	10
1. კანონიერი ნდობის პრინციპის არსი	12
1.1. ცნება, წარმოშობის საფუძველი	12
1.2. კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოებები	18
2. კანონიერი ნდობის ინსტიტუტის დაცვითი ფუნქცია	21
3. კანონიერი ნდობის პრინციპის მიმართება ადმინისტრაციული სამართლის სხვა პრინციპებთან	23
4. ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა	25
დასკვნა	28
თენგიზ თაქთაქიშვილი - შრომის უფლებების დაცვის გავლენა დასაქმებულთა მოტივაციაზე ქართულ კომპანიებში	33
აბსტრაქტი	33
Abstract	33
შესავალი	34
ლიტერატურის მიმოხილვა	35
კვლევის მეთოდოლოგია	36
შედეგების ანალიზი	38
დასკვნა	45
დანართი - კვლევის კითხვარი	47
უჩა თოდუა - მოსამართლის როლი ქონებრივი დავების მორიგებით დასრულების პროცესში	49

აბსტრაქტი	49
Abstract	49
შესავალი	50
მოსამართლის მიერ მორიგების პროცესის წარმართვა	51
დასკვნა	58
გვანცა ხასია - ტურისტისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობა მომხმარებლის უფლებების დაცვის კუთხით	61
აბსტრაქტი	61
Abstract	61
შესავალი	62
1. ტურისტი, როგორც მომხმარებელი	63
2. ტურისტის ინფორმირების ვალდებულების მნიშვნელობა	67
3. ტურისტის ინფორმირების ვალდებულება ევროკავშირის დირექტივებში -ზოგადი მიმოხილვა	69
4. ტურისტის ინფორმირების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობაში და გამოწვევები	72
4.1. შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის ტურისტისთვის მიწოდების აკრძალვა	72
4.2. მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსი	74
დასკვნა	80
ნატო ჭითანავა - უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის სამართლებრივი ასპექტები	84
აბსტრაქტი	84
Abstract	84
შესავალი	85
1. საკუთრების სამართლებრივი ბუნება	86

2. ქონება. უძრავი და მოძრავი ნივთების ცნება.....	88
3. საკუთრების უფლების შექმნის წინაპირობები.....	91
4. უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნა	92
5. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნა.....	95
დასკვნა.....	96

დავით მეზვრიშვილი - ცრუმაგიერი პირის მიმართ გასატარებელი იძულებითი ღონისძიებების გამოყენების დროს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის სტანდარტი	100
--	------------

აბსტრაქტი	100
-----------------	-----

Abstract	100
----------------	-----

შესავალი	101
----------------	-----

1. ცრუმაგიერი პირის სამართლებრივი სტატუსი.....	102
--	-----

1.1. საკანონმდებლო რეგულირება.....	102
------------------------------------	-----

1.2. ერთგვაროვანი პრაქტიკა ცრუმაგიერი პირის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით	104
--	-----

2. დაცულ სფეროში ჩარევის პროპორციულობის საკითხი	106
---	-----

დასკვნა.....	111
--------------	-----

ქრისტინე უბილავა - თანამედროვე კორპორაციული მართვის მსოფლიო ტენდენციები	115
--	------------

აბსტრაქტი	115
-----------------	-----

Abstract	116
----------------	-----

შესავალი	117
----------------	-----

1. კორპორაციული მართვის განსაზღვრება	119
--	-----

2. კორპორაციული მართვის სისტემების ისტორიული ანალიზი	121
--	-----

3. კორპორაციული მართვის მოდელების ზოგადი მიმოხილვა.....	123
---	-----

4. ერთსაფეხურიანი კორპორატიული მართვის მოდელი.....	124
--	-----

5. ორსაფეხურიანი კორპორატიული მართვის მოდელი	126
6. შერეული კორპორატიული მართვის მოდელი	130
დასკვნა	132
Mariam Pilishvili - Multinational Corporations as a Primary Players in the Global Economy and Issues of Protection of Personal Data	136
აბსტრაქტი	136
Abstract	136
Introduction	137
1. Definition of MNC.....	138
2. Categories of Multinational Companies.....	139
3. How International Law Accepts This Entity?	140
4. The Historical Overview of Multinational Corporations.....	141
5. The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) Guidelines for Multinational Enterprises.....	142
6. Efforts of MNCs in world market.....	143
7. Protection of Personal Data: Case B6-22/16, Facebook Decision	145
Conclusion.....	147
ტონია ნოვიცი (ქრისტინე უბილავა) - შრომის სტანდარტები და ვაჭრობა: გვჭირდება, თუ არა არჩევანის გაკეთება „ადამიანის უფლებებსა“ და „მდგრად განვითარებას“ შორის?	152
შესავალი	152
1. ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების ამბიციები.....	152
1.1 ადამიანის უფლებათა პირობითობა	153
1.2. მდგრადი განვითარება	158
დასკვნა	167

გობა კიკილაშვილი - კანონიერი ნდობის ინსტიტუტის მნიშვნელობა მდგრადი ბიზნეს გარემოს ფორმირების პროცესში.*

აბსტრაქტი

სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის პროგნოზირებადობა და განსაზღვრადობა ბიზნეს სექტორისთვის ერთ-ერთი საკვანძო და მნიშვნელოვანი საკითხია. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ალბათობის ზუსტად შეფასება ზრდის სახელმწიფოს მიმართ ნდობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მიმზიდველი და კომფორტული ბიზნეს გარემოს ფორმირებას როგორც არსებული ბიზნეს სუბიექტების განვითარების, ისე ახალი ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, არასათანადო სამართლებრივი ცნობიერება ხელს უშლის ბიზნეს სუბიექტებს, რათა სწორად შეაფასონ, რა სახის მოლოდინები უნდა ჰქონდეთ ადმინისტრაციული ორგანოების განცხადებების მიმართ და რამდენად დაცული იქნება მათი ინტერესები პროგნოზირებულისგან განსხვავებული შედეგის დადგომის შემთხვევაში.

კანონიერი ნდობის ინსტიტუტი, რომელიც სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, დაინტერესებული მხარის დაცვის ქმედით საშუალებას წარმოადგენს, თუმცა, ამ ინსტიტუტის გამოყენებას გააჩნია რიგი წინაპირობები, რაც ხშირად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს იურისტებს შორისაც კი და საჭიროებას დამატებით განმარტებას.

წინამდებარე სტატიის ფარგლებში განხორციელებული კვლევა სწორედ ამ ინსტიტუტის გამოყენების თავისებურებებს და სტაბილური ბიზნეს გარემოს ფორმირების თვალსაზრისით მის მნიშვნელობას შეეხება.

*გობა კიკილაშვილი - სამართლის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუ-ს ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფირმა „კიკილაშვილი და კომპანია“-ს დირექტორი.

Abstract

Predictability and determinability of the activities of administrative bodies within the relationship with the state is one of the key and important issues for the business sector. Accurate assessment of the likelihood of a specific decision by an administrative body increases trust in the state, which in turn contributes to the formation of an attractive and comfortable business environment both in terms of developing existing business entities and attracting new investments.

Unfortunately, inadequate legal awareness prevents business entities from properly assessing what kind of expectations they should have of administrative bodies' statements and how their interests should be protected in the event of a different outcome than anticipated.

The institution of legal trust, which is one of the fundamental principles of the rule of law and the welfare state, is an effective means of protecting the interested party, however, the use of this institution has a number of preconditions, which often lead to differences of opinion even among lawyers.

The research conducted in the framework of this article will focus on the specifics of the use of this institute and its importance in terms of creating a stable business environment.

შესავალი

სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის პროგნოზირებადობა და განსაზღვრადობა ბიზნეს სექტორისთვის ერთ-ერთი საკვანძო და მნიშვნელოვანი საკითხია. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ალბათობის ზუსტად შეფასება ზრდის სახელმწიფოს მიმართ ნდობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მიმზიდველი და კომფორტული ბიზნეს გარემოს ფორმირებას როგორც არსებული ბიზნეს სუბიექტების განვითარების, ისე ახალი ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

სამწუხაროდ არასათანადო სამართლებრივი ცნობიერება ხელს უშლის ბიზნეს სუბიექტებს, რათა სწორად შეაფასონ, რა სახის მოლოდინები უნდა ჰქონდეთ ადმინისტრაციული ორგანოების განცხადებების

მიმართ და რამდენად დაცული იქნება მათი ინტერესები პროგნოზირებულიდან განსხვავებული შედეგის დადგომის შემთხვევაში.

კანონიერი ნდობის ინსტიტუტი, რომელიც სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, დაინტერესებული მხარის დაცვის ქმედით საშუალებას წარმოადგენს, თუმცა, ამ ინსტიტუტის გამოყენებას გააჩნია რიგი წინაპირობები, რაც ხშირად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს იურისტებს შორისაც კი და საჭიროებას დამატებით განმარტებას.

საკითხი რელევანტურია, რადგან სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა და ნდობის ჩამოყალიბების წინაპირობის დაკარგვის შემთხვევაში უფლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმის არსებობა ბიზნესისთვის უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შექმნას განაპირობებს, თუმცა, სპეციფიკური სამართლებრივი ცოდნის გარეშე ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული სუბიექტები მოკლებული არიან შესაძლებლობას, ზუსტად შეაფასონ, რა შემთხვევაში წარმოეშობათ კანონიერი ნდობა და რა სამართლებრივი საშუალებებით შეუძლიათ თავიანთი კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვა.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ზემოჩამოთვლილი საკითხების ზოგადი მიმოხილვის გზით არსებული სამართლებრივი რეალობის და რისკების შეფასებას, არსებული გამოწვევების შესაბამისად პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციების შემუშავებას და საკითხით დაინტერესებული ბიზნეს სუბიექტებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადმინისტრაციულ ორგანოებთან კანონიერი ნდობის პრინციპის მოქმედების პირობებში ურთიერთობის თავისებურებების შესახებ.

1. კანონიერი ნდობის პრინციპის არსი

1.1. ცნება, წარმოშობის საფუძველი

ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა სამართლებრივი¹ ² და სოციალური³ სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციის შედეგია. ამასთან, ეკონომიკური თავისუფლება⁴ კონსტიტუციით დეკლარირებული ღირებულებაა, რომლის სრულფასოვან რეალიზაციას სათანადო ბიზნეს-სამართლებრივი გარემოს არსებობა სჭირდება, რასაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში არსებული რეგულაციები.

კანონიერი ნდობის ინსტიტუტის ლეგალური დეფინიცია არ არსებობს, ამ საკითხს არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის⁵ (შემდგომში სზაკ) რამდენიმე ნორმა. მაგ. სზაკ-ის მე-9 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. დამატებით სზაკ-ის მე-60¹ მუხლის⁶ დებულებები

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში გავრცელებულია მსჯელობა, რომ „კანონიერი ნდობის პრინციპი გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, რომელიც კრძალავს ისეთ მმართველობით საქმიანობას, რომელიც კანონიერია, მაგრამ მისი ადრესატის კანონიერი ნდობის გაცრუებას იწვევს. დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებაზე, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, ისევე არის გარანტირებული, როგორც უკვე განხორციელებულ ქმედებაზე. კანონიერი ნდობის დაცვის გარანტია უფრო მაღალია უკვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, ვიდრე დაპირების მიმართ. . . . ყოველგვარი დაპირება ვერ იქნება მიჩნეული კანონიერი ნდობის საფუძველად. ასეთად მიიჩნევა მხოლოდ წერილობითი ფორმით შესრულებული დაპირება, რომლის შინაარსიდანაც აშკარად გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია იღებს შეასრულოს რაიმე ქმედება“.... სუსგ Nზს-44(კ-20), 2020 წლის 22 ივლისი.

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5.

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 6 - ეკონომიკური თავისუფლება.

1. ეკონომიკური თავისუფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

2. სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

3. დაუშვებელია კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება.

⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25.06.1999, N2181.

⁶ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

განსაზღვრავს, რომ კანონიერი ნდობის წარმოშობის საფუძველი ასევე არის აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კერძოდ, დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიაღება ზიანი.⁷

დასახელებულ ნორმათა დებულებები შეიცავს კანონიერი ნდობის ცნების ელემენტებს, და ინსტიტუტის არსის სრულფასოვნად გაგებისთვის საჭიროა ამ ელემენტების უფრო დეტალური განმარტება და სასამართლო პრაქტიკის მოშველიება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ კანონიერი ნდობა თავისი არსით მატერიალურ-სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოსთვის განკუთვნილი ინსტრუმენტია,⁸ ⁹ ხოლო მის წარმოშობას აქვს კონკრეტული წინაპირობები, რაც გამოიხატება იმაში, რომ სახეზე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს კონკრეტული ქმედების განხორციელების პირობას, ან აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის აღსრულების მოლოდინიც არსებობს და ამ აქტის საფუძველზე დაინტერესებულმა პირმა უნდა განახორციელოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება.

⁷ სზაკ მუხლი 60¹, ნაწ. 5.

⁸ სუსგ Nზს-384(ვ-20), 2021 წლის 01 აპრილი.

⁹ საინტერესოა თავად ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიციაც. საკასაციო სასამართლო ავითარებს მსჯელობას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიციას ორ კომპონენტს მოიცავს: პირველი არის ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ცნება (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოს და დაწესებულებას), ხოლო მეორე ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგებაა. ეს უკანასკნელი აერთიანებს იმ სუბიექტებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის შემადგენლობაში, მაგრამ კანონის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას და ამ მიზნით გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ფუნქციონალური გაგებით ადმინისტრაციული ორგანოა და სწორედ ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელების მომენტში ექცევა იგი ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიციის ქვეშ. სუსგ Nზს-662-634(გ-08), 2008 წლის 22 ივლისი.

განსახილველ შემთხვევაში მოიაზრება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცემს დაპირებას, ან გამოსცემს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ადმინისტრაციული ორგანოები, როგორც სპეციალური უფლებათუნარიანობით აღჭურვილი საჯარო სამართლის სუბიექტები, მოქმედებენ მხოლოდ კანონიერი ბოჭვის ფარგლებში, რომელიც გამომდინარეობს კანონიერების პრინციპიდან.¹⁰ იგივე პრინციპი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული მოქმედებები განახორციელოს ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. კერძოდ, “ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული

¹⁰ სზაკ-ის მე-5 მუხლი განსაზღვრავს ე.წ. კანონიერების პრინციპს და ადგენს, რომ „1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.
2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.
3. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.
4. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად შეუსრულებლობა ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.“
კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. აღნიშნული ნორმით დადგენილია სავალდებულო პრინციპი - უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვერ გასცდება კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს“ - იხ. სუსგ Nზს-83-82(კ-16), 12/07/2016 წლის 12 ივლისი.
ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული პრინციპი არამარტო უკრძალავს ადმინისტრაციულ ორგანოს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას, არამედ ავალდებულებს მას კანონის გამოყენებას. სუსგ Nზს-894-886(კ-16), 2017 წლის 11 მაისი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად”.¹¹ ანალოგიური რეგულაცია მოქმედებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროსაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში“.¹² ზემოხსენებული და მსგავსი შინაარსის სხვა რეგულაციების დაცვითი ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარის¹³ დროული ინფორმირებულობის და წარმოებაში მისი მონაწილეობის გზით მისი ინტერესების დაცვას.¹⁴

აღსანიშნავია, რომ კანონიერი ნდობის ინსტიტუტთან მიმართებით დაინტერესებული მხარის დეფინიციის ქვეშ პირთა წრე უფრო ვიწრო გაგებით მოიაზრება, კერძოდ ის არ მოიცავს სახელმწიფოს და მის წარმომადგენლობებს. ამგვარ განმარტებას სასამართლო პრაქტიკა ადგენს. სახელმწიფოს კანონიერი ნდობა ვერ ექნება მის მიერვე გამოცემული აქტების მიმართ.^{15 16}

¹¹ სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწ.

¹² სზაკ, მუხლი 95, ნაწ. 2.

¹³ დაინტერესებული მხარის დეფინიცია განსაზღვრულია სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, - „ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება“.

¹⁴ ანალოგიურ სტანდარტს იზიარებს საერთო სამართლის ქვეყნების მიდგომა, რომლის თანახმად, კანონიერი მოლოდინის ინსტიტუტი დაფუძნებულია პროცედურული ხასიათის მიდგომაზე, რომ დაინტერესებული მხარე იმსახურებს სამართლიან მოსმენას, იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც გავლენას მოახდენს მის ინტერესებზე – Stott D., Felix A., Dobson P., Kenny P., Kidner R., Gravell N., Principles Of Administrative Law, 1997, 69.

¹⁵ სუსგ Nზს-916(2კ-19), 2021 წლის 27 იანვარი.

¹⁶ ბრიტანულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული კანონიერი ნდობის დეფინიცია შეიცავს მინიშნებას, რომ კანონიერი ნდობა მიემართება სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ურთიერთობას. მისი მთავარი ამოცანაა, გადაჭრას კონფლიქტი ერთის მხრივ ადმინისტრაციული ორგანოს წინარე ქმედების საფუძველზე განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომის რწმენას, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფოს უფლებასა და ინტერესს შორის, რომ ცვლილება განახორციელოს თავისივე პოლიტიკაში

ამრიგად, კანონიერი ნდობის ინსტიტუტი იცავს დაინტერესებული მხარის მოლოდინს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული ქმედება აუცილებლად განხორციელდეს, ხოლო განუხორციელებლობის შემთხვევაში, დაცული იყოს მისი კანონიერი ინტერესი და მიეცეს თანაზომიერი კომპენსაცია. როგორც საკასაციო პალატა განმარტავს, კანონიერი ნდობის პრინციპის შემოღებით კანონმდებელი მიზნად ისახავდა იმ პირთა ინტერესების დაცვას, რომელთაც უფლების მიმნიჭებელი აქტით მიეცათ გარკვეული უფლებები და ახლა ამ უფლების დაკარგვის ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ.¹⁷

აღსანიშნავია, რომ ტერმინი კანონიერი ნდობის ანალოგის სახით საერთო სამართლის ქვეყნებში არსებობს ტერმინი კანონიერი მოლოდინი.¹⁸ ¹⁹ ასევე, არსებობს ტერმინი „ლეგიტიმური მოლოდინი“,²⁰ რომელიც უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კანონიერი ნდობა, ან კანონიერი მოლოდინი. ლეგიტიმური მოლოდინი გულისხმობს სამართლის სუბიექტების რწმენას, რომ სახელმწიფო ქმედება იქნება კანონიერი და ის დაიცავს კანონით განსაზღვრულ მის უფლებებს. საერთო სამართლის ქვეყნებში აღნიშნული ცნებები უფრო ახლოსაა ერთმანეთთან

- იხ. Robert T., *Legitimate Expectations and Proportionality in Administrative Law*, Oxford and Portland, Oregon, 2000, 41.

¹⁷ სუსგ Nზს-1043(კ-19), 2019 წლის 24 დეკემბერი.

¹⁸ დამატებით აღსანიშნავია, რომ სამართლის მკვლევრები განასხვავებენ პროცესუალურ და მატერიალურ კანონიერ მოლოდინს. ბრიტანულ სამართალში აღმოცენებული კანონიერი მოლოდინიც თავდაპირველად პროცესუალური ინსტრუმენტის სახით ჩამოყალიბდა. პროცესუალური კანონიერი ნდობა საპროცესო უფლების არსებობას გულისხმობს. მათ საჯარო მოხელის ქმედების საფუძველზე ფლობს დაინტერესებული მხარე და ეს წარმოშობს კანონიერ მოლოდინს - იხ. ურიადმოფელი კ., კანონიერი ნდობა, სამართლის ჟურნალი, N1-2(3-4), 2012, 63.

¹⁹ საერთო სამართლის ქვეყნების დოქტრინაში კანონიერი ნდობის კონცეფცია დაახლოებით ასეა ჩამოყალიბებული - ლეგიტიმური მოლოდინის ცნების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანო დაპირდება ან იღებს ვალდებულებას, განახორციელოს უფლებამოსილება კონკრეტული გზით, ვიდრე ეს დაპირება ან ვალდებულება ოფიციალურად არ გაუქმდება. ხოლო მათ, ვისზეც გაელენას ახდენს დაპირებული მოქმედების განხორციელება, აქვთ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ აღსრულება განხორციელდება დაპირების ან ვალდებულების შესაბამისად. გარდა ამისა, ასეთი მოლოდინი შეიძლება წარმოიშვას დამკვიდრებული პრაქტიკიდან, ან გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ პოლიტიკის გამოქვეყნების შედეგად - იხ. Stott D., Felix A., Dobson P., Kenny P., Kidner R., Gravell N., *Principles Of Administrative Law*, 1997, 68-69.

²⁰ ლეგიტიმური მოლოდინი სამართლის თეორიაში გამოყენებადი ტერმინია, რომლის საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს და არც რომელიმე ნორმატიულ აქტში ვხვდებით მას.

შინაარსობრივი გაგებით, მაშინ როდესაც კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ფორმა-ლიზაციის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, კანონიერი ნდობა წარმოიშობა მხოლოდ შესაბამისი პროცედურული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.²¹

როგორც უკვე აღინიშნა, კანონიერი ნდობა მატერიალურ-სამართლებრივი ინსტიტუტია, თუმცა სასამართლო პრაქტიკა აქტიურად ეყრდნობა მას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ კანონიერების შეფასებასთან ერთად დაიწყო კანონიერი ნდობის საკითხის განხილვაც, რადგან მიიჩნევდა, რომ ის წარმოადგენს ადგილობრივი სამართლებრივი წესრიგის ნაწილს.²² საქმეზე *Mulder v. Minister van Landbouw en Visserij* ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს მიერ გარკვეული ვადით საკანონმდებლო რეგულაციიდან გამონაკლისის დაშვებაც იწვევს ლეგიტიმურ მოლოდინს, რომ ეს საგამონაკლისო მდგომარეობა მასაც შეეხება და ეს მოლოდინი დაცვის ღირსია.^{23 24}

²¹ ბრიტანულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ კანონიერი ნდობის ინსტიტუტი გერმანული სამართლის წიაღში წარმოიშვა კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპის განვითარების გზით და შემდეგ გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოში, იხ. *Ossenbühl F.*, “Vertrauensschutz im sozialen Rechtsstaat” (1972) 25 *Die Öffentliche Verwaltung* 25; *G. Nolte*, “General Principles of German and European Administrative Law—A Comparison in Historical Perspective” (1994) 57 *MLR* 191, 195, 203 - ციტ. *Robert T.*, *Legitimate Expectations and Proportionality in Administrative Law*, Oxford and Portland, Oregon, 2000, 42.

²² იხ. საქმე *Case 112/77 August Töpfer & Co. GmbH v. Commission* [1978] *ECR* 1019, §19, ციტ. *Thomas R.*, *Legitimate Expectations and Proportionality in Administrative Law*, 2000, 31.

²³ იხ. *Case 120/86 Mulder v. Minister van Landbouw en Visserij* [1988] *ECR* 2321, Document 61986CJ0120.

²⁴ მიუხედავად იმისა, რომ თავად ევროპულმა სასამართლომ არ წარმოადგინა ლეგიტიმური მოლოდინების დაცვის თეორიული დასაბუთება, სასამართლოს განმარტებებმა დასაბამი მისცა იურისტების მიერ თეორიული დასაბუთების ჩამოყალიბებას. მაგ. გენერალური ადვოკატი თრაბუკი აღნიშნავდა, რომ კანონიერი ნდობის ინსტიტუტს აქვს სპეციფიკური გათანაწილების ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი ურთიერთობისა და კეთილსინდისიერების, როგორც საზოგადოების ადმინისტრაციის მინიმალური სტანდარტის მიღწევას. ადმინისტრაციამ გააჩინოს გარკვეული მოლოდინები მის მომავალ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც შემდგომში არ იქნება იმედგაცრუებული, საპატიო მიზეზის გარეშე იხ. *Thomas R.*, *Legitimate Expectations and Proportionality in Administrative Law*, 2000, 45.

1.2. კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოებები

ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს კანონიერი ნდობის არსს და წარმოშობის წინაპირობებს, ასევე ადგენს გარემოებებს და გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც დაინტერესებულ მხარეს არ წარმოეშობა კანონიერი ნდობა, კერძოდ: სზაკ-ის მე-9 მუხლი განსაზღვრავს, რომ „ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

- ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;
- ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;
- გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება“.²⁵

უფრო დეტალურ მოწესრიგებას შეიცავს სზაკ-ის 60¹ და 61 მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ძალადაკარგულად გამოცხადების წესს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის წესი (სზაკ-ის 60¹ მუხლი) შეიცავს დებულებებს, რომ:

- „დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს“ (ნაწ. 4).
- „დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება

²⁵ სზაკ. მე-9 მუხლის მე-2 ნაწ., ხოლო იგივე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად“.

და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება“ (ნაწ. 5).

▪ „თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ბათილად იქნა ცნობილი, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას დაინტერესებულ მხარეს, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთ-გაწონასწორების საფუძველზე უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანი“ (ნაწ. 6).

ხოლო ამავე კოდექსის 61-ე მუხლის (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების წესი) თანახმად,

▪ „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად მოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ (მე-2 ნაწ.):

ა) ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე მოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში;

ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში;

გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი;

დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული

აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;

ე) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით (მე-3 ნაწ.).

- "დ" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც მიადგა ზიანი, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება, თუ მას გააჩნდა კანონიერი ნდობის საფუძველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების მიმართ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სზაკ-ის მე-60 მუხლის მე-5 ნაწილი (დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება).

- ზიანის ანაზღაურების ოდენობას საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე ადგენს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.“

საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერი ნდობა იცავს დაინტერესებულ მხარის უფლებებს, ხოლო კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოებების დაუდასტურებლობის პირობებში, დაცვის ღირსია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აღმჭურველი ბუნების აქტებისა და მოქმედებების კანონიერების რწმენა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება უფლების მიმნიჭებელ აქტებსა და მოქმედებებს. ამ უფლების

მატარებელს, კანონიერი ნდობის პრინციპზე დაყრდნობით, უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მათ გაუქმებას“.²⁶ იმისთვის, რომ მოხდეს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საჭიროა, დადასტურდეს მისი უკანონობა, ასევე სახეზე უნდა იყოს კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოებები, ან მესამე პირთათვის არსებითი ზიანის მიყენების ფაქტი.²⁷

ამრიგად, კანონიერი ნდობის ინსტიტუტი დაინტერესებული მხარის ინტერესების დაცვის წინაპირობას წარმოშობს მხოლოდ კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. თავად ზიანის ანაზღაურების პროცედურა და ოდენობა ცალკე კვლევის ობიექტია და წინამდებარე სტატიის ფარგლებში არ მოხდება მისი შესწავლა.

2. კანონიერი ნდობის ინსტიტუტის დაცვითი ფუნქცია

კანონიერი ნდობის დეფინიციიდანაც იკვეთება მისი დაცვითი ფუნქცია. იგი ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს რომ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელების მიმართაც დაინტერესებულ პირს გააჩნია რწმენა და ეს მოლოდინი ბოჭავს მის თავისუფლებას, რომ სურვილისამებრ შეცვალოს წინასწარ დეკლარირებული შედეგი.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანი უნდა ენდობოდეს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ გადაწყვეტილებების და ეს ნდობა დაცვის ღირსია. სახელმწიფოს მიერ კანონიერი საქმიანობის განხორციელების მიზნიდან გამომდინარე კანონიერი ნდობის პრინციპის დარღვევის აუცილებლობა განსაკუთრებულად უნდა დასაბუთდეს.²⁸

საკასაციო სასამართლო კანონიერ ნდობის პრინციპის დაცვის საჭიროების თაობაზე განმარტავს, რომ კანონიერი ნდობა სამართლებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინსტიტუტია და მიზნად ისახავს აღმჭურველი საქმიანობით წარმოშობილი შედეგების სტაბილურობის დარღვევის აცილებას. აღმჭურველი აქტის გაუქმება

²⁶ სუსგ Nზს-1043(კ-19), 2019 წლის 24 დეკემბერი.

²⁷ სუსგ Nზს-1077(კ-19), 2021 წლის 19 თებერვალი.

²⁸ სუსგ Nზს-987(კ-19), 2020 წლის 05 მარტი.

დასაშვებია, თუ მოსარჩელეს არ აქვს კანონიერი ნდობის საფუძველი, ან სახეზეა ნდობის გამომრიცხავი გარემოებები, რის გამოც ეს ნდობა არ არის დაცვის ღირსი, თუმცა, აღნიშნული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებელ შეფასებას საჭიროებს.²⁹

სზაკ-ის რეგულაციებიდან გამომდინარე, კანონიერ ნდობას წარმოშობს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და/ან ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. „სადავო აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადების თაობაზე სარჩელის განხილვისას უნდა გაირკვეს აქტის მართლზომიერება, ასევე, მისი გამოცემისას კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა, კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის არსებობის შემთხვევაში დარღვევის ხარისხი, დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპის, აქტის ბათილად ცნობით ადრესატისადმი მიყენებული ზიანისა და ამ აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ზიანის სიმძიმე. (კასატორის მოსაზრება).“³⁰

რადგანაც დღის წესრიგში დგება კანონიერი ნდობის მქონე სუბიექტის ინტერესების დაცვის საკითხი, ეს გულისხმობს, რომ გასაჩივრებულაა აღმჭურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მთავარი ამოცანაა, გადაწყვიტოს კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპების კონკურენციის საკითხი.³¹ თუმცა, მხოლოდ აქტის არსებობა არ არის საკმარისი კანონიერი ნდობის დაცვითი ფუნქციის ამოქმედებისთვის. დაინტერესებული მხარის „მოთხოვნის დაკმაყოფილების სავალდებულო პირობას წარმოადგენს დაპირების მართლზომიერების გარკვევა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის ობიექტურ მხარეს, ანუ იმას ეწინააღმდეგება თუ არა დაპირება კანონმდებლობას და არა იმას იცოდნენ თუ არა დაპირების მიმცემმა ან დაინტერესებულმა მხარემ ამ დაპირების კანონსაწინააღმდეგობის შესახებ.“³²

ცალკე შეფასებას საჭიროებს კანონიერი ნდობის ინსტიტუტი იცავს თუ არა პირს, რომელსაც ინტერესი აქვს არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. აქტის არარად აღიარების საფუძველების

²⁹ სუსგ N8ს-149(კ-20), 2020 წლის 18 მარტი.

³⁰ სუსგ N8ს-1234(კ-19), 2021 წლის 17 ივნისი.

³¹ სუსგ N8ს-144(კ-19), 2021 წლის 08 ივლისი.

³² სუსგ N8ს-942-903(კ-07), 2008 წლის 10 სექტემბერი.

სპეციფიკა იმაში გამოიხატება, რომ საჭიროა კანონით ზუსტად განსაზღვრული საფუძვლების არსებობა და მის მიმართ არ მოქმედებს გასაჩივრების ვადა. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ვერ იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას და ვერ წარმოშობს იურიდიულ შედეგებს, მისი გამომცემი ორგანო ვალდებულია და არა უფლებამოსილი, აღიაროს აქტი. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აქტის ადრესატის ინტერესის გამოკვლევას, რადგან არარა აქტის მიმართ არ მოქმედებს კანონიერი ნდობის პრინციპი. არარა აქტს არ აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა და ხოლო აქტის არარად აღიარება მიზნად ისახავს მისი იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტად აღიარებას, აღსრულების თავიდან აცილების მიზნით.³³

კანონიერი ნდობის პრინციპის დაცვითი ფუნქცია სწორედ იმაში გამოიხატება, რომ საჯარო ინტერესებს არ შეეწიროს ინდივიდის ინტერესი და მოსალოდნელისგან განსხვავებული სამართლებრივი შედეგის დადგომის შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს მისი კანონიერი ინტერესის დაცვის და თანაზომიერი კომპენსაციის მიღების საშუალება.

3. კანონიერი ნდობის პრინციპის მიმართება ადმინისტრაციული სამართლის სხვა პრინციპებთან

საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაში გავრცელებულია შეხედულება, რომ ადმინისტრაციული წარმოების და ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის წინაშე არსებული ამოცანაა, გადაწყვეტილება მიიღოს კანონიერების და კანონიერი ნდობის პრინციპების შეპირისპირების გზით.³⁴

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების რეალიზაცია არ ხდება იზოლირებულად, არამედ მათი კომპლექსური გამოყენება ქმნის ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული ორგანოების ოპერირებისთვის სამართლებრივ გარემოს. სპეციალური უფლებაუნარიანობის პრინციპი არ გულისხმობს

³³ იხ. სუსგ Nზს-1234(კ-18), 2019 წლის 21 თებერვალი.

³⁴ სუსგ Nზს-63(კ-21), 2021 წლის 07 ივლისი.

მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შეზღუდვას, არამედ ანიჭებს მას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების ლიმიტირებულ თავისუფლებას, კერძოდ, უფლებას, კანონის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე უფრო ოპტიმალური გადაწყვეტილება. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს მოქმედების თავისუფლებას, თუმცა არ ნიშნავს, რომ არ ქმნის სამართლისგან სრულიად თავისუფალ სივრცეს, ისევე როგორც მოქალაქეს არ ერთმევა უფლება მოითხოვოს მის მიმართ უშეცდომო გადაწყვეტილების მიღება. არ არსებობს სრულიად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც სრული მოწესრიგება.^{35 36}

თავის მხრივ, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაც დამოკიდებულია ისეთი ფაქტორის გათვალისწინებაზე, როგორიცაა საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი (იხ. სზაკ-ის მე-6 მუხლი). საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, „დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამდენად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი იმპერატიულად მოითხოვს, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების დროს დაცული იყოს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, რომლის შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ გაწონასწორებასა და მათ მართლზომიერ

³⁵ იხ. სუსგ Nზს-797(კ-18), 2019 წლის 07 მარტი.

³⁶ დისკრეციული უფლებამოსილების საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობაზე მსჯელობა დაიწყო დისკრეციული უფლებამოსილების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის წარმოშობის დღიდან. ის შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიკრო გამოხატულებად, რომელიც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ სუბიექტს აქცევს სამართლებრივ ჩარჩოებში. მაგალითისთვის, ცნობილი ბრიტანელი კონსტიტუციონალისტი ალბერტ ვენ დაისი მიიჩნევდა, მმართველ სუბიექტებს არ უნდა ჰქონდეთ ფართო დისკრეცია, რათა მათი უფლებამოსილებები იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და პროგნოზირებადი. მისი შეფასებით, სახელმწიფო წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს შედარებით ნაკლები უფლებამოსილების მქონე სუბიექტებისთვის, ამიტომ მისი საქმიანობის არეალი უნდა იყოს თავიდანვე განსაზღვრული და ჩარჩოებში მოქცეული - იხ. Caroll A., *Constitutional and Administrative Law*, 2017, 50.

დაბალანსებაში“.³⁷ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე იგივე სასამართლო განმარტავს, რომ ურთიერთობის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის მიუხედავად ცალკე აღებული რომელიმე ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭება დაუშვებელია. საჯარო ინტერესების გათვალისწინებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შედეგად კერძო ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს საჯარო ინტერესებისთვის მიღებულ სიკეთეს. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიყენოს პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესებისთვის ყველაზე ნაკლებად საზიანო საშუალება.³⁸

4. ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა

კანონიერი ნდობის ინსტიტუტის მოქმედების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ რამდენიმე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის განზოგადების შედეგად შესაძლებელია სასამართლოს ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება, რომ სუბიექტი ენდობა მის მიმართ გაცემული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის სტაბილურობას და მისი ეს ნდობა დაცვის ღირსია სამართლებრივი უსაფრთხოების ფაქტორიდან გამომდინარე, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს აქტის ბათილად გამოცხადების შესაძლებლობას, ამდენად, დაინტერესებული მხარე ენდობა სახელმწიფოს მოქმედებისა და ამ მოქმედების შედეგების სტაბილურობას.³⁹

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლო ასევე განმარტავს, რომ არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე დაინტერესებული მხარისთვის გარკვეული უფლებამოსილების მინიჭებას... ასეთი დოკუმენტი მხარისათვის აღმჭურველი ბუნების მატარებელია,

³⁷ სუსგ Nზს-1232(კ-20), 2021 წლის 07 ივნისი.

³⁸ სუსგ Nზს-1602(კ-18), 2019 წლის 28 მარტი.

³⁹ სუსგ Nზს-672(კ-20), 2020 წლის 15 ოქტომბერი.

შესაბამისად, მისი ნამდვილობის დადასტურებაზე უარი სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით უთანაბრდება აქტის გაუქმებას და ამ დოკუმენტების მიმართ სრული მოცულობით ვრცელდება კანონიერი ნდობის დამცველობითი ფუნქცია (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის განჩინება საქმეზე №516-516(კ-18). ამდენად, პირს აქვს მის მიმართ გაცემული დოკუმენტის შედეგების შენარჩუნების ლეგიტიმური მოლოდინი და ეს იცავს პირის უფლებებს დამდგარი შედეგის შენარჩუნების მეშვეობით.⁴⁰

ცალკეულ სასამართლო გადაწყვეტილებებში გაჟღერებულია და მხარეებიც ხშირად ავითარებენ პოზიციას იმის თაობაზე, რომ საჯარო ინტერესის აღმატებულობის პრინციპიდან გამომდინარე, კანონიერი ნდობა შესაძლოა, არ იმსახურებდეს დაცვას. აღნიშნულ მიდგომას არ იზიარებს საკასაციო სასამართლო და მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით, ინტერესთა ბალანსის დადგენისა და კანონიერი ნდობის დაცვის შეფასების გზით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის დადგენის გარდა, კანონიერი ნდობის დაცვის საკითხის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი გარემოებაა ის დრო, რომელიც გავიდა სამართლებრივი შედეგის წარმოშობის შემდეგ. კანონიერი ნდობა უკავშირდება სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფას. დაინტერესებულმა პირმა უნდა იცოდეს თუ რას შეიძლება დაეყრდნოს იგი და რისი ნდობა უნდა ჰქონდეს. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც არსებობდა სამართლებრივი შედეგები იმ გარემოებასთან ერთად, რომ მნიშვნელოვნად არ ილახება საჯარო ინტერესები, ქმნის კანონიერი ნდობის დაცვის საფუძველს.⁴¹

აღსანიშნავია, რომ საკითხის უფრო სიღრმისეულ ანალიზს ახდენს და უფრო მოქალაქეზე ორიენტირებულ მიდგომას ავითარებს თბილისის სააპელაციო სასამართლო. „სააპელაციო სასამართლომ კანონიერი ნდობის პრინციპს არ დაუკავშირა მხოლოდ აქტის არსებობის ფაქტი და

⁴⁰ სუსგ Nზს-337(კ-21), 2021 წლის 07 ივლისი.

⁴¹ იხ. სუსგ Nზს-149(კ-20), 2020 წლის 18 მარტი.

მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების მიმართ ჩნდება ნდობის პრინციპი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული აღმჭურველი ღონისძიებები უნდა იყოს პროგნოზირებადი. ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ კანონიერი ნდობის არსებობის დადასტურება ყოველთვის მოითხოვს იმ ფაქტობრივი და სამართლებრივი ღონისძიებების შეფასებას რომელთა საფუძველზე დაინტერესებულ პირს შეეძლო ევარაუდა კონკრეტული შედეგის დადგომა.^{42 43}

საქართველოს უზენაესი სასამართლოც ავითარებს მსჯელობას, რომ დაცვის ღირსია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აღმჭურველი ბუნების აქტებისა და მოქმედებების კანონიერების რწმენა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება უფლების მიმნიჭებელ აქტებსა და მოქმედებებს. ამ უფლების მატარებელს, კანონიერი ნდობის პრინციპზე დაყრდნობით, უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მათ გაუქმებას... კანონმდებლის მიზანი კანონიერი ნდობის პრინციპის საკანონმდებლო დონეზე დამკვიდრებისას იყო და არის მმართველობითი საქმიანობის შედეგად გარკვეული უფლებით აღჭურვილი პირის დაცვა უფლების მიმნიჭებელი აქტით გათვალისწინებული ურთიერთობის და მოქმედების გაუქმებისაგან. ამდენად, არსებობს შესაბამისი ნორმატიული

⁴² სუსგ N8ს-847(2კ-18), 2019 წლის 17 იანვარი.

⁴³ ანალოგიურად, დავის გადაწყვეტისთვის, მნიშვნელოვანია დადგინდეს, გააჩნდა თუ არა მოსარჩელეს კანონიერი ნდობა მის სახელზე გაცემული დოკუმენტის მიმართ. „მართალია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კანონიერ ნდობას უკავშირებს აღმჭურველი აქტის არსებობას, თუმცა მოსარჩელის განსაკუთრებული დაცვის ღირსი იურიდიული ინტერესის ადეკვატურად განმარტების შედეგად, კანონიერი ნდობის ობიექტია ძირითადად ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შედეგები, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ, როგორც ადმინისტრაციული აქტის, ასევე მოქმედებების (რეალაქტის) სახით, აღნიშნულის გათვალისწინებით, დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აღმჭურველი ბუნების მოქმედებებიც, დაცვის ღირსია პირის კანონიერების რწმენა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება უფლების მიმნიჭებელ აქტებსა და მოქმედებებს. ამ უფლების მატარებელს, კანონიერი ნდობის პრინციპზე დაყრდნობით, უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მათ გაუქმებასა თუ მათი ნამდვილობის, იურიდიული ძალმოსილების არაღიარებას. კანონიერი ნდობის პრინციპის საკანონმდებლო დონეზე დამკვიდრებისას კანონმდებლის მიზანი არის მმართველობითი საქმიანობის შედეგად გარკვეული უფლებით აღჭურვილი პირის დაცვა უფლების მიმნიჭებელი არამართო კანონსაწინააღმდეგო აქტის, არამედ მოქმედების გაუქმებისაგანაც“ - იხ. სუსგ N8ს-672(კ-20), 2020 წლის 15 ოქტომბერი.

აქტების საფუძველზე გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლებითაც დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოხატული კანონიერი ნება მესამე პირის შესაბამისი უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვის შესახებ, რომელთა კანონით დადგენილი წესით ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს.⁴⁴

დასკვნა

ამრიგად, კანონიერი ნდობის ინსტიტუტი ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს წარმოადგენს უსაფრთხო და სტაბილური სამართლებრივი გარემოს ფორმირებისთვის. იგი ერთის მხრივ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი ფუნქციის - საჯარო ინტერესების რეალიზაციის განხორციელებას, ხოლო, მეორეს მხრივ, იცავს ინდივიდის ინტერესებს მაშინ, როდესაც საჯარო მიზნებიდან გამომდინარე გამართლებულია მათი შეზღუდვა.

ბუნებრივია, კანონიერი ნდობა ვერ იქნება ინდივიდის ინტერესების სრულფასოვანი დაცვის გარანტი, თუმცა ეს არც არის მისი ამოცანა. კანონიერი ნდობის ინსტიტუტი საჯარო და კერძო ინტერესების ოპტიმალური ბალანსის მიღწევის საშუალებაა, რაც გულისხმობს ალტერნატიული საშუალებებით ინდივიდის ინტერესების სათანადო დაცვას და არა, მათ ხელშეუხებლობას. ამდენად, თუ დაინტერესებულ პირს წაერთმევა მოქმედების განხორციელების უფლება, იგი უნდა დაკმაყოფილდეს ალტერნატიული უფლების მინიჭების, ან/და ფულადი კომპენსაციის მიცემის გზით.

ბიზნეს სუბიექტების პოზიციიდან დანახული კანონიერი ნდობის ინსტიტუტი უპირატესად არის მოსალოდნელი ფინანსური რისკებისგან დაცვის გარანტია. ბიზნესი, როგორც გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული დარგი, განსაკუთრებით საჭიროებს სტაბილურ სამართლებრივ გარემოს. გარემოს სტაბილურობა პირდაპირ-პროპორციულად აისახება ეკონომიკურ განვითარებასა და ინვესტიციების აკუმულირების მაჩვენებელში. ბიზნეს სექტორს რათქმაუნდა არ აქვს მოლოდინი, რომ კანონიერი ნდობის ინსტიტუტი სრულად დაიცავს მათ ბიზნეს ინტერესებს, ან მიღებული კომპენსაცია მისაღებ

⁴⁴ სუსგ. Nზს-1043(კ-19), 2019 წლის 24 დეკემბერი.

მოგებასაც დაფარავს, მაგრამ არსებული მექანიზმის გამართულად ფუნქციონირების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება გაწეული ხარჯების დაფარვის ან/და ალტერნატიული ფორმით ბაზარზე ოპერირების გაგრძელების გზით ზარალის თავიდან აცილება ბიზნეს პროცესების უწყვეტობის შენარჩუნება.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა უზრუნველყოფს კანონიერი ნდობის ინსტიტუტის გამართულ ფუნქციონირებას და დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება არ დგას დღის წესრიგში. დამატებით აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა ვერ გახდება სათანადო შედეგის მიღწევის გარანტი, თუ ადმინისტრაციულმა ორგანოებმაც არ გაატარეს ქმედითი ღონისძიებები კანონიერი ნდობის ინსტიტუტის სათანადო გამოყენებისთვის. ამასთან, რადგან ბიზნესის სამართლებრივი ცნობიერება სამწუხაროდ საკმაოდ დაბალია, აუცილებელია სწორი და სრულფასოვანი საინფორმაციო კამპანიის წარმოება, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა ზუსტად განსაზღვრონ მათი რა ინტერესი ექვემდებარება დაცვას და რა პირობებში.

ყოველი ზემოხსენებული ერთად ხელს შეუწყობს ბიზნესისთვის მისაღები სტაბილური ბიზნეს-სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების წინაპირობაა.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია (24/08/1995);
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (25/06/1999);
3. ურიადყოფელი კ., კანონიერი ნდობის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული ტერმინები, სამართლის ჟურნალი N1-2(3-4), 2012.
http://www.library.court.ge/upload/J_SARCHEVI_N1-2_2012.pdf
[უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
4. ურიადყოფელი კ., კანონიერი ნდობა და კანონიერების პრინციპი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(3), 2015.
[http://www.library.court.ge/upload/MLR%201\(3\)%20-%202015.pdf](http://www.library.court.ge/upload/MLR%201(3)%20-%202015.pdf)
[უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
5. ურიადყოფელი კ., ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებიდან წარმოშობილი კანონიერი ნდობის პრინციპი, სტატიათა კრებული - ქართული ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური საკითხები, 2016.
<http://www.library.court.ge/upload/administraciuli%20samartali.pdf>
[უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
6. ტურავა პ., კანონიერი ნდობის პრინციპი (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, N10/2007-2/3.
[http://www.library.court.ge/upload/turava\(geo\).pdf](http://www.library.court.ge/upload/turava(geo).pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
7. ჯგერენაია ლ., კანონიერი ნდობის პრინციპი კანონიერების პრინციპის პირისპირ, 2013.
<http://www.library.court.ge/upload/19872013-07-15.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
8. სუსგ Nზს-384(კ-20), 2021 წლის 01 აპრილი;
9. სუსგ Nზს-1232(კ-20), 2021 წლის 07 ივნისი;
10. სუსგ Nზს-337(კ-21), 2021 წლის 07 ივლისი;
11. სუსგ Nზს-144(კ-19), 2021 წლის 08 ივლისი;
12. სუსგ Nზს-63(კ-21), 2021 წლის 07 ივლისი;
13. სუსგ Nზს-1234(კ-19), 2021 წლის 17 ივნისი;
14. სუსგ Nზს-916(2კ-19), 2021 წლის 27 იანვარი;
15. სუსგ Nზს-1077(კ-19), 2021 წლის 19 თებერვალი;
16. სუსგ Nზს-672(კ-20), 2020 წლის 15 ოქტომბერი;

17. სუსგ Nზს-44(კ-20), 2020 წლის 22 ივლისი;
18. სუსგ Nზს-149(კ-20), 2020 წლის 18 მარტი;
19. სუსგ Nზს-987(კ-19), 2020 წლის 05 მარტი;
20. სუსგ Nზს-797(კ-18), 2019 წლის 07 მარტი;
21. სუსგ Nზს-1602(კ-18), 2019 წლის 28 მარტი;
22. სუსგ Nზს-1043(კ-19), 2019 წლის 24 დეკემბერი;
23. სუსგ Nზს-1234(კ-18), 2019 წლის 21 თებერვალი;
24. სუსგ Nზს-847(2კ-18), 2019 წლის 17 იანვარი;
25. სუსგ Nზს-894-886(კ-16), 2017 წლის 11 მაისი;
26. სუსგ Nზს-83-82(კ-16), 2016 წლის 12 ივლისი;
27. სუსგ Nზს-662-634(გ-08), 2008 წლის 22 ივლისი;
28. სუსგ Nზს-942-903(კ-07), 2008 წლის 10 სექტემბერი;
29. Robert T., Legitimate Expectations and Proportionality in Administrative Law, Oxford and Portland, Oregon, 2000. <https://sng1lib.org/ireader/886575> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
30. Panizzon Marion., Good Faith in the Jurisprudence of the Wto: The Protection of Legitimate Expectations, Good Faith Interpretation and Fair Dispute Settlement, 2006. <https://sng1lib.org/ireader/699533> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
31. Merrils J.G., International Dispute Settlement (fifth edition), 2011. <https://sng1lib.org/ireader/1236360> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
32. Carrol A., Constitutional and Administrative Law, 2017. <https://sng1lib.org/ireader/3555180> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
33. Layland P., Anthony G., Textbook on Administrative Law, 2012. <https://sng1lib.org/ireader/2490377> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
34. Stott D., Felix A., Dobson P., Kenny P., Kidner R., Gravell N., Principles Of Administrative Law, 1997. <https://sng1lib.org/ireader/1067692> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
35. David H. Rosenbloom, Administrative Law for Public Managers, 2014. <https://sng1lib.org/ireader/3677151> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];

36. Carroll Alex, Constitutional and Administrative Law, 2017;
37. Thomas Robert, Legitimate Expectations and Proportionality in Administrative Law, 2000;
38. Case 120/86 Mulder v. Minister van Landbouw en Visserij [1988] ECR 2321, Document 61986CJ0120;
39. Case 112/77 August Töpfer & Co. GmbH v. Commission [1978] ECR 1019, Document 61977CJ0112.

თენგიზ თაქთაქიშვილი - შრომის უფლებების დაცვის გავლენა დასაქმებულთა მოტივაციაზე ქართულ კომპანიებში *

აბსტრაქტი

ნაშრომი მიმოიხილავს შრომის უფლებების დაცვის გავლენას ქართულ კომპანიებში დასაქმებულთა მოტივაციაზე. საკითხი საკმაოდ აქტუალურია, რადგან უცხოელ ავტორთა კვლევებით დასტურდება, რომ ქვემოთ განხილული ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ დასაქმებულთა მოტივაციაზე. ნაშრომში გამოყენებულია რეგრესიული ანალიზი, რომელიც ლიკერტის ხუთბალიანი სკალით შეგროვებულ მონაცემებზე განხორციელდა. რაოდენობრივი კვლევის მეორე ნაწილში განხილულია კითხვარში მოცემულ ცალკეულ კითხვებზე გაცემული პასუხები. კვლევამ აჩვენა, რომ დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სამუშაო ადგილას თანასწორობის პრინციპების დაცვა დადებით და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამშრომელთა მოტივაციაზე.

საკვანძო სიტყვები: შრომის უფლებები, მოტივაცია, ლიკერტის სკალა, თანასწორობა, დასაქმებულთა ჯანმრთელობა

Abstract

The paper reviews the impact of labor rights protection on the motivation of employees in Georgian companies. The issue is quite topical, as studies by foreign authors prove that the factors discussed below have a significant impact on employee motivation. The paper uses regression analysis performed on data collected on a five-point Likert scale. The second part of the quantitative research discusses the answers to the individual questions given in the questionnaire. Research has shown that caring for the health of employees and adhering to the principles of equality in the workplace has a positive and significant impact on employee motivation.

keywords: labour rights, motivation, Likert scale, equality, employee health.

▪ თენგიზ თაქთაქიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს ასოცირებული პროფესორი.

შესავალი

ორგანიზაციაში დასაქმებულთა მოტივაციაზე შინაგან ფაქტორებთან ერთად გავლენას ისეთი გარეგანი ფაქტორებიც ახდენს, როგორებიც არის - ანაზღაურება, სამუშაო გარემო, უსაფრთხოება სამუშაო ადგილას და სხვ. ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა ნებისმიერი დამსაქმებლის ვალდებულებაა. ამასთან, დასაქმებულებს პრინციპული უფლებები გააჩნიათ, რომელთა დაცვაც საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ და სხვა სპეციალური კანონებით არის უზრუნველყოფილი. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებული იქნება თუ რა გავლენას ახდენს დასაქმებულთა მოტივაციაზე მათი კანონმდებლობით აღიარებული უფლებების დაცვა ან დარღვევა.

საქართველოს შრომის კოდექსი მოიცავს დასაქმებულთა ისეთ უფლებებს, როგორიც არის - უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო,⁴⁵ ზეგანაკვეთური სამუშაო,⁴⁶ დისკრიმინაციის აკრძალვა,⁴⁷ შვებულება⁴⁸ და სხვა. ნაშრომის ფარგლებში შედგენილია სწორედ ამ უფლებებთან დაკავშირებული ცვლადები და გამოკვლეულია მათი გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე ანუ დასაქმებულის მოტივაციაზე.

მოტივაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამშრომლების და შესაბამისად, ორგანიზაციის ეფექტიანობაზე. მოტივირებული თანამშრომლები ძალისხმევის მაქსიმუმს გაიღებენ იმისათვის, რომ ორგანიზაციამ მიზნებს მიაღწიოს. ამ პირობებში ორგანიზაციას ეძლევა საშუალება დანახარჯები შეამციროს და უფრო შედეგიანად გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები.

მოტივაციაზე დადებითი გავლენის მოხდენით ორგანიზაცია აამაღლებს დასაქმებულთა სამუშაო მორალს. ამ დროს თანამშრომლები მოტივირებულები და კმაყოფილნი არიან და ორგანიზაციის დატოვებაზე ნაკლებად ფიქრობენ, რაც ორგანიზაციიდან თანამშრომელთა დენადობას ამცირებს.

⁴⁵ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 45.

⁴⁶ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 27.

⁴⁷ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 5.

⁴⁸ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 31.

ნაშრომის მიზანია გამოავლინოს შრომითი უფლებების დაცვის გავლენა დასაქმებულთა მოტივაციაზე ქართულ კერძო კომპანიებში.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ქართულ კომპანიებში დასაქმებულები ხშირად უჩივიან არასათანადო მოპყრობას, არათანაბარ პირობებს და სამუშაო ადგილას უსაფრთხოების ნორმების დაუცველობას. ის, რომ დასაქმებულთა უფლებები ქართულ კომპანიებში ხშირად ირღვევა, სხვადასხვა კვლევებითაც დასტურდება.

ჭანტურიძე, გ. (2019) თავის კვლევაში აჩვენებს, რომ დასაქმებულთა გარკვეული უფლებები ხშირად ირღვევა ტექსტილისა და ვაჭრობის სფეროებში. ამ დარღვევებში მოიაზრება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების გარეშე შესრულება, ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის შეუძლებლობა, არათანაბარი მოპყრობა დამსაქმებლის ან ხელმძღვანელი პირის მხრიდან, სქესისა და ასაკის მიხედვით დისკრიმინაცია და ა.შ.

იმნაძე, შ. (2020) კვლევაში აჩვენებს, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი, 60 პროცენტი აცხადებს, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება უწევს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მათგან 63 პროცენტი აცხადებს, რომ ზეგანაკვეთური სამუშაო დამსაქმებლის მხრიდან არ ანაზღაურდება.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2020) იკვლევს საქართველოს შრომის ბაზარზე გენდერულ უთანასწორობას, სახელფასო სხვაობის ჭრილში და აჩვენებს, რომ საქართველოში ვლინდება ე.წ. „წებოვანი იატაკის“ ფენომენი, თუმცა იმავე კვლევაში ნაჩვენებია, რომ ყველაზე მაღალ-ანაზღაურებადი პოზიციებისთვის შუშის ჭერის ეფექტი არ ფიქსირდება.

ქაჯაია, ს., ფერაძე, ბ. (2018) საქართველოს სამშენებლო სექტორში შრომის პირობების და უსაფრთხოების შესახებ ჩატარებულ კვლევაში აღნიშნავენ, რომ ამ სექტორში მწვავედ დგას შრომის უსაფრთხოების საკითხები და ხშირია მშენებლობაზე გარდაცვალების ან დაზიანების

შემთხვევები, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უსაფრთხოების ნორმების დაუცველობაა.

შრომის სტანდარტების დაცვა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციების შესრულება საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებითაც მოეთხოვება. აღნიშნული საკითხების იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში არა მხოლოდ დასაქმებულთა უფლებების დაცვის, არამედ სოციალური დაცვის და სოციალური დიალოგის წინაპირობაც გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ, დასაქმებულები ბევრად უფრო პროდუქტიულები იქნებიან მაშინ თუ მათ ღირსეულად ეპყრობიან და მუშაობისთვის საჭირო პირობებს უქმნიან. ამ დროს ბევრად უფრო მაღალია მათი მოტივაცია და ორგანიზაციისადმი მათი მიკუთვნებულობის ხარისხი, რაც, თავის მხრივ, ორგანიზაციაში მათი დიდხანს დარჩენის წინაპირობაა. პრაქტიკა აჩვენებს, რომ კომპანიები, რომლებიც შრომის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ, ისეთი პრობლემის წინაშე დგანან, როგორც თანამშრომელთა ხშირი დენადობაა. ეს გასაკვირი არაა, რადგან ასეთ ორგანიზაციაში დასაქმებულები თავს დაცულად არ გრძნობენ. ამასთან, თანამშრომელთა მაღალი დენადობა ნებისმიერი კომპანიისთვის დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რადგან მათ მუდმივად უნდა მოიზიდონ ახალი თანამშრომლები და მათი გადამზადება უზრუნველყონ.

კვლევები ასევე, ადასტურებს, რომ შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა დადებითად მოქმედებს თანამშრომელთა საქმიანობის შედეგებზე (Iskamto, D. et al., 2020). Rahmadhan, A. B. და სხვ. (2021) ასევე, აჩვენებს, რომ შრომის უსაფრთხოებას და უსაფრთხო სამუშაო გარემოს დადებითი გავლენა აქვს თანამშრომელთა ქცევებზე.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვა დადებითად იმოქმედებს მათ მოტივაციაზე.

კვლევის მეთოდად შერჩეულია წრფივი რეგრესია, Rahmadhan, A. B. და სხვ. (2021)-ის მოდელზე დაყრდნობით. დამოკიდებულ ცვლადად განისაზღვრა დასაქმებულთა მოტივაცია, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადებად - სამუშაო გარემოს უსაფრთხოება, შესასრულებელი სამუშაოს უსაფრთხოება, ჯანმრთელობის დაცვა, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, თანასწორობა, შვებულება და შრომითი კანონმდებლობის შესახებ ცნობიერების დონე. მოცემულ ცვლადებზე მონაცემების მისაღებად გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა.

მონაცემების შესაგროვებლად საჭირო კითხვარის აწყობა მოხდა Google Forms-ში და დაეგზავნა რესპოდენტებს.

კვლევაში მონაწილეობა 149 ადამიანმა მიიღო, რაც ნდობის ინტერვალის 95 პროცენტთან დონესა და ცდომილების 8 პროცენტთან დონეს შეესაბამება.

მიღებული მონაცემების დამუშავება და რეგრესია განხორციელდა პროგრამა Excel-ში. ცვლადებზე ჩატარდა მულტიკოლინეარულობის ტესტი.

რეგრესიის განტოლება შემდეგნაირად განისაზღვრა:

$$Y = a + B_1x_1 + B_2x_2 + B_3x_3 + B_4x_4 + B_5x_5 + B_6x_6 + B_7x_7$$

სადაც,

Y არის დამოკიდებული ცვლადი, მოტივაცია,

x_1 - უსაფრთხო სამუშაო გარემო

x_2 - შესასრულებელი სამუშაოს უსაფრთხოება

x_3 - ჯანმრთელობაზე ზრუნვა

x_4 - ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება

x_5 - თანასწორობა

x_6 - შვებულების უფლება

x_7 - შრომით კანონმდებლობასთან დაკავშირებით ცნობიერების დონე

შედეგების ანალიზი

ლიკერტის სკალის გამოყენებით მიღებული შედეგები განლაგდა Excel-ში და მასზე განხორციელდა მულტიკოლინეარულობის ტესტი, რათა ცვლადებს შორის მაღალი კავშირი გამოგვეჩვენებინა. როგორც აღმოჩნდა, დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მულტიკოლინეარულობა დაბალია, რაც მოცემულია ცხრილი 1-ზე.

ცხრილი 1. მულტიკოლინეარულობის ტესტი

	X1	X2	X3	X4	X5	X6	X7
X1	1						
X2	0.672822	1					
X3	0.370453	0.546926	1				
X4	0.260836	0.388168	0.41981	1			
X5	0.441253	0.602652	0.443056	0.436113	1		
X6	0.32129	0.539456	0.447898	0.422721	0.522343	1	
X7	0.260699	0.18815	0.215666	0.192659	0.112682	0.053117	1

რადგანაც დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კავშირის მაღალი დონე არ დაფიქსირდა, ყველა მათგანი დარჩა მოდელში და მათზე განხორციელდა რეგრესია. რეგრესიის შედეგები მოცემულია ცხრილი 2-ზე.

ცხრილი 2. რეგრესიის შედეგები

SUMMARY OUTPUT								
Regression Statistics								
Multiple R	0.4346829							
R Square	0.1889492							
Adjusted R Square	0.1486843							
Standard Error	0.9117243							
Observations	149							
ANOVA								
	df	SS	MS	F	Significance F			
Regression	7	27.30506244	3.900723206	4.69264921	9.33467E-05			
Residual	141	117.2050047	0.831241168					
Total	148	144.5100671						
	Coefficients	Standard Error	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%	Lower 95.0%	Upper 95.0%
Intercept	1.8983879	0.442310604	4.291979221	3.2725E-05	1.023970162	2.772805685	1.023970162	2.772805685
X1	0.1988851	0.121706308	1.634139445	0.10446039	-0.041719954	0.439490113	-0.041719954	0.439490113
X2	-0.143254	0.126569092	-1.13182478	0.25962933	-0.393472459	0.106964389	-0.393472459	0.106964389
X3	0.1793542	0.082344308	2.178100866	0.03106101	0.016565153	0.342143265	0.016565153	0.342143265
X4	0.1015634	0.062035491	1.637181616	0.10382248	-0.02107655	0.22420328	-0.02107655	0.22420328
X5	0.186492	0.090379973	2.063421862	0.0409066	0.007816998	0.365167028	0.007816998	0.365167028
X6	-0.0224128	0.07831767	-0.28617808	0.77516177	-0.177241468	0.132415867	-0.177241468	0.132415867
X7	-0.0195032	0.089157152	-0.2187512	0.82716018	-0.195760815	0.156754348	-0.195760815	0.156754348

როგორც ანალიზები აჩვენებს მოდელის ამხსნელობითი ძალა დაბალია, თუმცა ეს არცაა გასაკვირი, რადგან დასაქმებულთა მოტივაციაზე შრომითი უფლებების დაცვის გარდა სხვა უამრავი ფაქტორი (მატერიალური და/ან არამატერიალური წახალისება, დაწინაურება, ხელფასი და ა.შ.) ახდენს გავლენას, რაც ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენდა, ამიტომაც მოდელში არ ყოფილა გათვალისწინებული.

რეგრესიის ანალიზი აჩვენებს, რომ X_3 და X_5 ცვლადები (დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, თანასწორობა) გავლენას ახდენენ დამოკიდებულ ცვლადზე. ამასთან, ეს გავლენა ორივე ცვლადის შემთხვევაში დადებითი და მნიშვნელოვანია.

როგორც გამოიკვეთა, გამოკითხულთათვის დამსაქმებელთა მხრიდან მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სამუშაო ადგილას თანასწორობის დაცვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დასაქმებულთა მოტივაციაზე. ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან ამ დროს თანამშრომლები თავს დაფასებულად გრძნობენ და თვლიან, რომ მათზე ზრუნავენ, რაც მათ მოტივაციას ჰმატებს.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ დამსაქმებლებმა უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას. ჯანმრთელი და შრომისუნარიანი თანამშრომელი ყოველთვის უფრო მეტად პროდუქტიულია და ამასთან, ნაკლებად იფიქრებს სამუშაოს გამოცვლაზე. შესაბამისად, ორგანიზაცია დიდ სარგებელს ნახავს თანამშრომლების ჯანმრთელობაზე ზრუნვისგან, რადგან ამით მათ მოტივაციას და შესაბამისად, სამსახურისადმი ლოიალურობასა და პროდუქტიულობასაც გაზრდის.

რაც შეეხება სამუშაო ადგილას თანასწორობის პრინციპების დაცვას, ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც დასაქმებულებს უქმნის იმის განცდას, რომ ყველა თანასწორია და განვითარების, დაწინაურების, დაჯილდოების შანსი ყველას თანაბრად აქვს ორგანიზაციაში, მიუხედავად რასობრივი, გენდერული თუ სხვა ტიპის განსხვავებულობებისა.

ორგანიზაციაში, სადაც თანასწორობის პრინციპები არაა დაცული და თანამშრომლებს არა დამსახურების, არამედ სხვა ნიშნით გამოარჩევენ ხოლმე, თანამშრომლები დემოტივირებულნი არიან, რადგან ფიქრობენ, რომ შრომა მაინც არ დაუფასდებათ. კომპანიაში დემოტივირებული თანამშრომლების არსებობა კი ორგანიზაციის საერთო არაეფექტურობას გამოიწვევს.

მთლიანობაში, რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა ორი მთავარი ფაქტორი დასაქმებულთა უფლებებიდან, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამშრომელთა მოტივაციაზე.

რაოდენობრივი კვლევის მეორე ნაწილში გაანალიზებულია რესპოდენტების პასუხები კითხვარში მოცემულ კითხვებზე. მათი გაანალიზება ზოგად წარმოდგენას გვიქმნის შრომითი უფლებების მდგომარეობის შესახებ ქართულ კომპანიებში.


გამოკითხულ რესპოდენტთა 71.8 პროცენტი ქალია, ხოლო 28.2 პროცენტი - კაცი. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (45.6 პროცენტი) 18-24 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნება. გამოკითხულთა 64.4 პროცენტი არამენეჯერულ პოზიციას იკავებს, ხოლო 35.6 პროცენტი მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობს.

გამოკითხულები ძირითადად, დასაქმებული არიან ფინანსურ, საცალო ვაჭრობის, წარმოების, განათლების, ჯანდაცვის, სამართლის, ჟურნალისტიკის სფეროებში.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედს აქვს ძალიან მაღალი მოტივაცია. უმეტესობამ განაცხადა, რომ მათი მოტივაცია მეტ-ნაკლებად მაღალია.

რამდენად მაღალია თქვენი მოტივაცია სამუშაოზე


149 responses



გამოკითხულთა პასუხები აჩვენებს, რომ უმეტესად უსაფრთხო სამუშაო გარემოში უწევთ მუშაობა.

რამდენად უსაფრთხოა გარემო, სადაც მუშაობთ?


149 responses



მსგავსი პასუხები დაფიქსირდა კონკრეტულად რესპოდენტების მიერ შესასრულებელი სამუშაოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

რამდენადაა დაცული შრომის უსაფრთხოება კონკრეტულად თქვენ პოზიციასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისას?


150 responses



რაც შეეხება კითხვას, თუ რამდენად ზრუნავს ორგანიზაცია გამოკითხულთა ჯანმრთელობაზე, უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა. მხოლოდ 18-მა პროცენტმა დააფიქსირა, რომ ორგანიზაცია იშვიათად ან საერთოდ არ ზრუნავს მათ ჯანმრთელობაზე.

რამდენად ზრუნავს ორგანიზაცია თქვენს ჯანმრთელობაზე?


150 responses



მნიშვნელოვანი კითხვა, რაც რესპოდენტების მიმართ იყო დასმული ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას შეეხებოდა. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი, 48 პროცენტი აცხადებს, რომ მათ ზეგანაკვეთური სამუშაო იშვიათად ან ძალიან იშვიათად უნაზღაურდებათ.

რამდენად ხშირად გინაზღაურდებათ ზეგანაკვეთური სამუშაო?


150 responses



გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი აცხადებს, რომ სამუშაო ადგილას თანასწორობის პრინციპები დაცულია, რაც სასიხარულოა, თუმცა გამოკითხულთა დაახლოებით 31 პროცენტი ამ მიმართულებით პრობლემებს ხედავს.

რამდენად დაცულია თანასწორობის პრინციპები სამუშაო ადგილას, რაც გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას?


150 responses



გამოკითხულთა ასევე, დიდი ნაწილი აცხადებს, რომ სამუშაოზე მათი შვებულების უფლება დაცულია.

რამდენადაა სამსახურში თქვენი შვებულების უფლება დაცული?


150 responses



კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულები პრინციპში, იცნობენ შრომის კანონმდებლობას და იციან მათი ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

რამდენად კარგად იცნობთ შრომით კანონმდებლობას?

150 responses



დასკვნა

შრომითი უფლებების დაცვა დასაქმებულებისთვის უსაფრთხო და ღირსეულ სამუშაო პირობებში საქმიანობას უზრუნველყოფს. ასეთ დროს, თანამშრომლები დაცულად გრძნობენ თავს და აფასებენ ხელმძღვანელების მხრიდან მზრუნველობას. ეს ყველაფერი კი მნიშვნელოვნად ამაღლებს დასაქმებულთა მოტივაციას. მოტივირებული თანამშრომელი კი, თავის მხრივ, ბევრად უფრო პროდუქტიულია და ორგანიზაციისთვის ძალიან დიდ ღირებულებას ქმნის.

მოტივირებული თანამშრომლების სამუშაო მორალი მაღალია. ისინი მეტი მონდომებით მუშაობენ და ორგანიზაციის წარმატებისთვის ძალისხმევას არ იშურებენ. ორგანიზაციისადმი მატლი ლოიალურობის დონე მაღალია და ისინი სამსახურის შეცვლაზე ნაკლებად ფიქრობენ.

კვლევამ აჩვენა, რომ თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სამუშაო ადგილას თანასწორი პირობების შექმნა მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს თანამშრომელთა მოტივაციაზე. შესაბამისად, ორგანიზაციებმა ამ მიმართულებით უფრო მეტად უნდა იაქტიურონ, რათა თანამშრომლების მოტივაციის დონე აამაღლონ.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ (17/12/2010);
2. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე, 2020;
3. იმნაძე შ., ზეგანაკვეთური სამუშაო სასამართლო პრაქტიკაში, სამაგისტრო ნაშრომი. 2020.
4. ჭანტურიძე გ., შრომითი უფლებების აღსრულება ტექსტილისა და ვაჭრობის სფეროებში, ანალიტიკური ანგარიში, 2019;
5. Iskamto D. et al., Effect of occupational safety and health on performance: an empirical investigation, International Journal of Islamic Studies and Social Sciences., 2020;
6. Njambi C., Factors influencing employee motivation and its impact on employee performance: a case of Amref Health Africa in Kenya, United States International University – Africa, 2014;
7. Rahmadhan B. A., Ambarwati T., Nurhasanah S., The Effect of Work Safety Climate and Safety Knowledge on Safety Behavior in Production Employees of PT. Sumber Abadi Bersama, Jurnal Manajemen Bisnis dan Kewirausahaan, 2021.

დანართი - კვლევის კითხვარი

- ✓ სქესი
- ✓ ასაკი
- ✓ პოზიცია
- ✓ დასაქმების სფერო

რამდენად მაღალია თქვენი მოტივაცია სამუშაოზე?

- ✓ 5 - ძალიან მაღალი
- ✓ 4 - მაღალი
- ✓ 3 - მეტ-ნაკლებად მაღალი
- ✓ 2 - დაბალი
- ✓ 1 - ძალიან დაბალი

რამდენად უსაფრთხოა გარემო, სადაც მუშაობთ?

- ✓ 5 - ძალიან უსაფრთხოა
- ✓ 4 - უსაფრთხოა
- ✓ 3 - მეტ-ნაკლებად უსაფრთხოა
- ✓ 2 - საფრთხის შემცველია
- ✓ 1 - ძალიან სახიფათოა

რამდენადაა დაცული შრომის უსაფრთხოება კონკრეტულად თქვენ პოზიციასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისას?

- ✓ 5 - სრულიად დაცულია
- ✓ 4 - დაცულია
- ✓ 3 - მეტ-ნაკლებად დაცულია
- ✓ 2 - მცირედაა დაცული
- ✓ 1 - საერთოდ არაა დაცული

რამდენად ზრუნავს ორგანიზაცია თქვენ ჯანმრთელობაზე?

- ✓ 5 - ძალიან ზრუნავს
- ✓ 4 - ზრუნავს
- ✓ 3 - მეტ-ნაკლებად ზრუნავს
- ✓ 2 - იშვიათად ზრუნავს
- ✓ 1 - საერთოდ არ ზრუნავს

რამდენად ხშირად გინაზღაურდებათ ზეგანაკვეთური სამუშაო?

- ✓ 5 - ძალიან ხშირად
- ✓ 4 - ხშირად

- ✓ 3 - მეტ-ნაკლებად ხშირად
- ✓ 2 - იშვიათად
- ✓ 1 - ძალიან იშვიათად

რამდენად დაცულია თანასწორობის პრინციპები სამუშაო ადგილას, რაც გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას?

- ✓ 5 - სრულიად დაცულია
- ✓ 4 - დაცულია
- ✓ 3 - მეტ-ნაკლებად დაცულია
- ✓ 2 - მცირედაა დაცული
- ✓ 1 - საერთოდ არაა დაცული

რამდენადაა სამსახურში თქვენი შვებულების უფლება დაცული?

- ✓ 5 - სრულიად დაცულია
- ✓ 4 - დაცულია
- ✓ 3 - მეტ-ნაკლებად დაცულია
- ✓ 2 - მცირედაა დაცული
- ✓ 1 - საერთოდ არაა დაცული

უჩა თოდუა - მოსამართლის როლი ქონებრივი დავების მორიგებით დასრულების პროცესში *

აბსტრაქტი

სტატია შეეხება მორიგების ინსტიტუტს, როგორც სასამართლოში მიმდინარე დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან და მხარეთა ინტერესების დაცვაზე ორიენტირებულ საშუალებას.

ქონებრივი დავები ყველაზე გავრცელებული კატეგორიაა და მათი სწრაფად დასრულება ორივე მხარისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. ხშირ შემთხვევაში დავის სწრაფად გადაწყვეტის ინტერესი აღემატება სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსის მიმართ ინტერესს. ამ მოცემულობაში მორიგების მიღწევის შესაძლებლობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ მორიგების მიღწევა თავისთავად შეუძლებელია მოსამართლის აქტიური ქმედების გარეშე.

სტატიაში განხილულია მოსამართლის მიერ გასატარებელი ღონისძიებები და ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენების შედეგად მან უნდა უზრუნველყოს მხარეთა პოზიციების დაახლოვება და შეთანხმების მიღწევისთვის სათანადო გარემოს შექმნა.

Abstract

The article deals with the institution of reconciliation as one of the most effective means of resolving an ongoing dispute focused on protecting the interests of both parties.

Property disputes are the most common category of disputes and their speedy resolution is especially important for both parties. In many cases, the interest in a quick resolve of a dispute outweighs the interest in the content of the court decision. In this context, the possibility of reaching a settlement is even more important, but reaching a settlement by itself is impossible without the active action of a judge.

* უჩა თოდუა - თბილისის საქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

The article discusses the measures and tools to be taken by the judge, as a result of which he/she should ensure the convergence of the positions of the parties and create an appropriate environment for reaching an agreement.

შესავალი

კონფლიქტი არის ის, რაც იწვევს სასამართლოსთვის მიმართვას. მოსამართლეს შეუძლია გადაჭრას კონფლიქტი საქმეზე სწორი შედეგის დადგენით, თუმცა კერძოსამართლებრივ დავებში არსებობს კონფლიქტის გადაწყვეტის უფრო მშვიდობიანი, იაფი და სწრაფი საშუალება მორიგების სახით. მორიგება გულისხმობს კონსენსუსის მიღწევას იმგვარ შედეგზე, რომელიც მისაღებია დავის ორივე მხარისთვის. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს წითელ ხაზად გასდევს ნების ავტონომიის პრინციპი. მორიგებაც კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტურ უფლებათა თავისუფალი განკარგვის ნაყოფია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გარანტირებულია მხარეთა უფლება, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დავა მორიგებით დაამთავრონ.⁴⁹ მითითებული ნორმებით აღიარებულია მოდავე მხარეთა შესაძლებლობა, გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, თავად გადაწყვიტონ სარჩელის ბედი.⁵⁰ მორიგება, თუ ის შესაძლებელია, უფრო სრულად წარმოაჩენს და აირეკლავს კერძო სამართლის არსს, ვიდრე დავაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. „საქმის დამთავრება მორიგებით სამართალწარმოების დასრულების არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმაა, ვიდრე საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. პირიქით, მათ თანაბარი დატვირთვა აქვთ, ზოგჯერ კი მორიგება უკეთესი ალტერნატივაა, თუმცა მხოლოდ ერთი პირობით, თუ მორიგების შეთავაზება მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოსამართლის განტვირთვას, მისი მუშაობის შემსუბუქებას, არამედ მხარეთა შორის დავის საგანზე წარმოშობილი კონფლიქტის სამართლიანად მოგვარებას“.⁵¹

⁴⁹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 3 ნაწილი 2 და მუხლი 83 ნაწილი 1.

⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (შემდეგში - სუსგ) №ა-2480-შ-68-2018, 2018 წლის 20 ივლისი, §1.3.

⁵¹ ლიუტრინგჰაუსი პ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, 2007, 133.

მორიგება ნათლად გამოხატავს სამოქალაქო პროცესში მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპის პრიმატს. „სამოქალაქო დავის მორიგების გზით დამთავრება მოდავე სუბიექტთა უფლებამოსილებას წარმოადგენს და ის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის ცალსახა გამოვლინებაა. ასეთ დროს მხარეები თავადვე განსაზღვრავენ სადავო ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივ წინაპირობებს და აზრთა ურთიერთშეჯერების გზით, გარკვეული კომპრომისის გათვალისწინებით თავადვე ადგენენ საქმის გადაწყვეტის მათთვის ყველაზე ხელსაყრელ და ოპტიმალურ შედეგს“.⁵²

წინამდებარე სტატიაში მოცემულია რამდენიმე პრაქტიკული საკითხის გააზრება მასზედ, თუ როგორ შეიძლება წარმართოს წარმატებული მორიგება ქონებრივ დავებში და თუ რა წინააღმდეგობები შეიძლება წარმოიშობა ამ პროცესში.

მოსამართლის მიერ მორიგების პროცესის წარმართვა

მორიგებისთვის აუცილებელია მოსამართლის ქმედითი ძალისხმევა. „უმთავრესი დანიშნულება ამისთანა (მომრიგებელი) მოსამართლისა და უმაღლესი ღირსება მისის მართლმსაჯულებისა ის არის, რომ მშვიდობის მყოფელ შუაკაცად ექმნეს მოდავეთა და მათ შორის მორიგება ჩამოაგდოს“.⁵³ მოსამართლე გულმოდგინედ უნდა მიუდგეს მორიგების პროცესს. არის შემთხვევები, როდესაც დავის ერთ-ერთი მხარე თავად იჩენს მორიგების მიმართ სწრაფვას, თუმცა, უმრავლეს შემთხვევებში, მორიგებისთვის ბიძგის მიცემა სამოსამართლო საქმეა. შეგვიძლია დაფუძვით პრეზუმფცია იმისა, რომ თუ მხარეებს გარე ხელშეწყობის გარეშე შეეძლოთ მორიგება, არც სარჩელის აღძვრა და სასამართლოსთვის მიმართვა გახდებოდა საჭირო. მორიგებისადმი ფორმალურ-პროცესუალურმა მიდგომამ, ანუ მხოლოდ მხარეთა პოზიციების მოსმენამ და მათი უარის შემთხვევაში, პირდაპირ სხდომის შემდეგ სტადიაზე გადასვლამ, შესაძლებელია გამოიწვიოს ის, რომ

⁵² სუსგ №ას-578-546-2012, 2012 წლის 31 მაისი.

⁵³ ჭავჭავაძე ი., ცხოვრება და კანონი, წერილი მეექვსე, მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, 1877-1881, 4.

მოსამართლე ხელიდან გაუშვებს მხარეთა მორიგების შესაძლებლობას და ამით გააგრძელებს იმგვარი დავის განხილვას, რომელიც შესაძლებელია უფრო ადრე, უფრო იაფად და მხარეთათვის მეტად მისაღები შედეგით დასრულებულიყო. მორიგებისადმი გულმოდგინე დამოკიდებულება, ანუ მორიგების პროცესუალური ხელსაწყოების ეფექტიანი გამოყენება, წარმატებული მორიგების შესაძლებლობას აჩენს. ქმედითი ძალისხმევის აუცილებლობა გააზრებული აქვს კანონმდებელს. კერძოდ, კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნაა მოსამართლემ ყველანაირად ხელი შეუწყოს მორიგებას და ამისთვის ყველა კანონით გათვალისწინებული ზომა გამოიყენოს.⁵⁴

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოსამართლეს აღჭურავს მორიგების რამდენიმე პროცესუალური ხელსაწყოთი. კერძოდ, მხარეთა მორიგების მიზნით მოსამართლე უფლებამოსილია, (1) გამოაცხადოს შესვენება და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს; (2) მიუთითოს მოდავეთა საქმის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე; (3) შესთავაზოს მხარეებს მორიგების პირობები; (4) მიუთითოს მხარეებს მორიგების შემთხვევაში მოქმედ პროცესუალურ შედეგებზე; (5) შესთავაზოს მხარეებს საქმის მედიატორისთვის გადაცემა და ა.შ.⁵⁵

წარმატებული მორიგება იწყება საქმის მასალების მაქსიმალურად დეტალური გაცნობით. პირველ რიგში, იმისათვის რათა მოსამართლემ შეძლოს და წარმატებით წარმართოს მორიგების პროცესი, აუცილებელია, რომ იგი შეძლებისდაგვარად დეტალურად იცნობდეს სარჩელს, შესაგებელს და საქმის მასალებს. საქმის გაცნობის პროცესში მოსამართლეს შეუძლია წინდაწინ გამოკვეთოს პოტენციურად მორიგებადი საკითხები და მორიგების შესაძლო წინააღმდეგობანი.

მორიგებისთვის აუცილებელია, მხარეები ენდობოდნენ მოსამართლეს. „ეს დიდი დანიშნულება მართლა მიღწეულ რომ იქნეს საჭიროა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ენდობოდნენ მომრიგებელ მოსამართლეს. თუ მოსამართლე ხალხის თვალში სანდო, სარწმუნო კაცი არ არის,

⁵⁴ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 218 ნაწილი პირველის პირველი წინადადება.

⁵⁵ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 218.

მოსამართლე ამ მომრიგებელ შუაკაცობას ვერ აღასრულებს“.⁵⁶ მოსამართლის მიმართ ნდობა ყალიბდება მრავალი და მათ შორის, ერთი შეხედვით, წვრილმანი გარემოებებით - თანაბრად ანაწილებს თუ არა მოსამართლე ყურადღებას, რამდენად იყენებს ეფექტიან კომუნიკაციას, მისი მიმართვა კატეგორიულია თუ თანამშრომლობითი, იცნობს თუ არა მოსამართლე საქმეს სიღრმისეულად და სხვა. მორიგების, ისევე როგორც საქმის განხილვის პროცესში, მოსამართლემ არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაიკავოს რომელიმე მხარის პოზიცია, რაც არ უნდა მართებულად მიაჩნდეს იგი. მოსამართლის მიმართ ნდობის შერყევა მნიშვნელოვნად ამცირებს მორიგების ალბათობას.

მორიგებას წარმატების ყველაზე დიდი ალბათობა გააჩნია გრძელვადიან ურთიერთობებში. მორიგების წარმართვა შეუძლებელია, თუ ერთადერთი, ვისაც რეალურად მხარეთა მორიგება სურს, თვითონ მოსამართლეა. ყველაზე ძლიერი მოტივატორი იმისა, რომ მხარეებმაც მიმართონ გულწრფელი ძალისხმევა მორიგებისკენ, არის მათ მიერ იმის გააზრება, რომ საქმის მოგება შესაძლოა, მიმდინარე კონფლიქტი კი ამოწუროს, თუმცა „შურისძიების“ სურვილი გააღვიძოს წაგებულ მხარეში და წარმოშვას მომდევნო კონფლიქტების რიგი. ამგვარი შედეგის მოლოდინი, ლოგიკურია, რომ ყველაზე თვალსაჩინოა გრძელვადიან ურთიერთობებში, როგორებიცაა, მაგალითად, საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო და სამეწარმეო (განსაკუთრებით, საწარმოს პარტნიორებს შორის) დავები. სწორედ ამგვარი კატეგორიის დავების მიმართ არსებობს განსაკუთრებული ვარაუდები, რომ არსებობს საქმის მორიგებით დასრულების პერსპექტივა.⁵⁷

ყველა საქმე არ არის მორიგებადი. „მხარეთა მორიგების საკითხი, თავად მხარეთა თავისუფალი ნებიდან გამომდინარე დავის გადაწყვეტის შესაძლო გზაა. დავის მორიგების გზით დასრულება მოწინააღმდეგე მხარესაც უნდა სურდეს“.⁵⁸ რამდენად შესაძლებელია მორიგება, უმრავლეს შემთხვევაში, ვლინდება საქმის მასალებიდან და მხარეთა

⁵⁶ ჭავჭავაძე ი., ცხოვრება და კანონი, წერილი მეექვსე, მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, 1877-1881, 6.

⁵⁷ შეად. ლიუტრინგჰაუსი პ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, 2007, 133-134.

⁵⁸ სუსგ №ას-905-2019, 2019 წლის 30 სექტემბერი, §20.

პოზიციების მოსმენიდან. მაგალითად, თუ მოსარჩელე ითხოვს თანხის დაკისრებას, ხოლო მოპასუხეს წარმოდგენილი აქვს მოთხოვნის უვადაოდ შემწყვეტი შესაგებელი, უთითებს რა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე - ამგვარი საქმე, მაღალი ალბათობით, არ არის მორიგებადი.

მორიგებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მხარეთა ნამდვილი ინტერესის გაგება. არის შემთხვევები, როდესაც მხარეს აღძრული აქვთ სარჩელი ან შეგებებული სარჩელი კონკრეტული მოთხოვნით, თუმცა მის მიერ მოთხოვნის წარმოდგენა განპირობებულია სხვა, ნამდვილი ინტერესის დაკმაყოფილებით სურვილით და დაკმაყოფილების შეუძლებლობით გააზრებით. ამგვარი, ზედაპირიდან დაფარული, ინტერესის გამოკვეთა მოსამართლეს ეხმარება მორიგების პროცესის სწორად და სწრაფად წარმართვაში.

მორიგება არის პროცესი, რომელიც მოითხოვს შექმნილ ვითარებასთან მორიგების შესაძლო პირობების ადაპტაციას. მხარეები, რიგ შემთხვევაში, აცხადებენ რომ სცადეს, თუმცა ვერ მორიგდნენ. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ სასურველია, გამოიკვილოს, თუ რა პირობები იყო ის, რაზეც მხარეები ვერ მორიგდნენ. მოსამართლემ ასეთ დროს შესაძლებელია, აღმოაჩინოს, რომ მხარეთა მიერ მორიგების მიზნით მოაზრებული პირობები რეალურად იმდენად დაახლოებულნი არიან ერთმანეთთან, რომ მცირე ძალისხმევაც კი საკმარისი აღმოჩნდეს მხარეთა მოსარიგებლად. მოსამართლემ უნდა განუმარტოს მხარეებს, რომ მორიგების პირობებზე მსჯელობა ამ პირობებით შებოჭვას არ იწვევს, მანამ უშუალოდ მორიგების აქტი არ იქნება მხარეთა მიერ ხელმოწერილი. აღნიშნული მხარეებსა და სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას იმისა, რომ მორიგების პირობები გახდეს თავისუფალი მსჯელობის საგანი, დაიხვეწოს და რამდენადაც შესაძლებელია გამოირიცხოს მორიგების ჩიხი.

უმჯობესია, მოსამზადებელი სხდომით დაწყება. „სასამართლომ საქმე კიდევ რომ მომზადებულად მიიჩნიოს, თუ არსებობს მხარეთა მორიგების თეორიული შესაძლებლობა მაინც, მას შეუძლია

მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნოს“.⁵⁹ მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე სასამართლოს მორიგების კონტექსტში მეტი პროცესუალური შედეგით შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, ვიდრე მთავარ სხდომაზე. კერძოდ, თუ მხარეები მოსამზადებელ ეტაპზე მორიგდებიან სახელმწიფო ბაჟი ბრუნდება სრულად, ხოლო მთავარ სხდომაზე - ნაწილობრივ.⁶⁰ ამავდროს, მოსამართლეს ყოველთვის შეუძლია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში,⁶¹ რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მოსამზადებელი სხდომით დაწყება არ ხელყოფს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს.

მორიგების პირობების შეთავაზება და დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე მითითება არ წარმოადგენს შემდგომში მოსამართლის აცილების საფუძველს. მოსამართლის მიერ მორიგების პირობების შეთავაზება და დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე მითითება მოსამართლისთვის კანონით მინიჭებული უფლებებია. ის, რომ მოსამართლე იყენებს აღნიშნულ უფლებებს, განსაკუთრებით დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე მითითების თვალსაზრისით, არ გულისხმობს იმას, რომ მოსამართლის გონება, დავის განხილვის გაგრძელების შემთხვევაში, არ იქნება ღია დარწმუნებისთვის. შესაბამისი პროცესუალური ნორმის სიტყვასიტყვითი კონსტრუქციას აღნიშნულზე მეტყველებს. კერძოდ, მოსამართლე მხარეებს უთითებს დავის გადაწყვეტის „შესაძლო“ და არა გარდაუვალ შედეგებზე. „მოსამართლის წინადადება დავის მორიგებით დასრულების თაობაზე არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს მხარის აცილების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის საფუძველი, მაშინაც კი, თუ მოსამართლე გამოხატავს თავის შეხედულებას სამართალწარმოების შემდგომი მიმდინარეობისა და შესაძლო ან სავარაუდო შედეგის შესახებ“.⁶²

მოსამართლის მხრიდან მხარეთა მორიგების მცდელობის არარსებობა/ არასრულობა არ წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების

⁵⁹ გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში. სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, 2010, 34.

⁶⁰ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 49 ნაწილები 1 და 2.

⁶¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 205 ნაწილი 2.

⁶² ლიუტრინგჰაუსი პ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, 2007, 134.

გაუქმების საფუძველს. სასამართლო ვალდებულია, ყველანაირად ხელი შეუწყოს მორიგებას, თუმცა თავად მორიგება არ წარმოადგენს სავალდებულო პროცესუალურ მოთხოვნას. მხარეთა მორიგების ხელშეწყობის ვალდებულების დარღვევა არაერთხელ გამხდარა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი საკასაციო პრეტენზიის საფუძველი, თუმცა არც ერთხელ ყოფილა გაზიარებული, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტავს, რომ (1) თუკი მხარეს რეალურად ჰქონდა სურვილი/პერსპექტივა დავის მორიგების გზით დასრულების თაობაზე, შეეძლო შუამდგომლობით საკასაციო სასამართლოსათვისაც მოემართა;⁶³ (2) მხარეებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზეც შეუძლიათ მიაღწიონ მორიგებას.⁶⁴

სასამართლოს მხრიდან მხარეთა მორიგების მცდელობა შესაძლებელია ბოროტად გამოიყენოს მხარემ. მხარეთა მორიგების მცდელობები, ბუნებრივია, საჭიროებს დროს. ამ მიზნით, შესაძლებელია, გადაიდოს სხდომა და აღნიშნული არაერთხელ მოხდეს. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ დროულად გამოავლინოს მხარეთა მოქმედების კეთილსინდისიერება, რათა მორიგების მცდელობით არ ხელყოს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი. ამ მიზნით, შესაძლებელია მხარეთათვის მითითება იმისა, რომ, თუ შემდეგ სხდომაზეც მხარეთა შორის არ იქნება მიღწეული შეთანხმება, სასამართლო გააგრძელებს საქმის განხილვას და გადავა საქმის არსებით განხილვაზე. აღნიშნული ბუნებრივია ფუჭ დაპირებას არ უნდა წარმოადგენდეს. ასეთ დროს, ერთი მხრივ, მხარეები მობილიზდებიან შესაძლო მორიგების პირობებზე ჩამოსაყალიბებლად და მეორე მხრივ, თუ კონსენსუსი შეუძლებელია, მოსამართლე გააგრძელებს საქმის განხილვას და გამოიტანს გადაწყვეტილებას.

ფსიქოლოგიური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მორიგების პროცესში. „მომრიგებელი მოსამართლე მხარეებს უხსნის თვალსაწიერს

⁶³ სუსგ №ას-1111-1068-2016, 2017 წლის 27 იანვარი, §1.5.

⁶⁴ სუსგ №ას-342-342-2018, 2018 წლის 31 მაისი, §1.4.

მათ პირად, როგორც ერთმანეთზე დამოკიდებულ, ურთიერთობასთან დაკავშირებით. ჰორიზონტის უკვე მსგავსი გაფართოება ამალღებს მხარეთა მოქმედებისა და ქცევის შესაძლებლობებს: მხარეებს შეუძლიათ, გარკვეულწილად, განთავისუფლდნენ საკუთარ თავსა და პირად ურთიერთობასთან არსებული დამოკიდებულებისგან და, ამავდროულად, ახლებურად მოიქცნენ საკუთარ თავსა და მოწინააღმდეგე მხარესთან არსებულ პირად ურთიერთობაში⁶⁵. მხარე, რომელსაც მორიგების პირობებს სთავაზობენ, შესაძლებელია არ დაეთანხმოს მისთვის მისაღებ შეთავაზებასაც კი, მხარეთა შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების გამო, მაგრამ, თუ იდენტურ ან მსგავს პირობებს გააჟღერებს მოსამართლე, აღმოჩნდეს რომ მორიგების პირობები მისაღებია ორივე მხარისთვის. „ხშირად, განსაკუთრებით გაჭიანურებული საქმეების განხილვისას, მხარეები შეზღუდული არიან დავისას და პროცესის მსვლელობისას გამოთქმული აზრებით, დაფიქსირებული პოზიციებით. ამ პოზიციების შეცვლა მათ მიერ განიხილება, როგორც მორალური პასუხისმგებლობა მოწინააღმდეგე მხარისა და საზოგადოების წინაშე. ზოგჯერ მას ამ პოზიციის შეცვლას დავის წაგება ურჩევნია. ასეთ დროს სასამართლოს შეუძლია ძალიან დიდი როლი შეასრულოს. თუ სასამართლო თავის თავზე აიღებს მორიგების წინადადების ჩამოყალიბებას, მხარე თავისუფლდება აღნიშნული ტვირთისგან და შესაძლოა მორიგებასაც დათანხმდეს“⁶⁶. მოსამართლემ მორიგების პროცესში მხედველობაში უნდა მიიღოს მხარეთა შორის კომუნიკაციის დინამიკა და სათანადო ინტერვენციებით უზიძგოს მხარეებს მორიგებისკენ. „ადამიანური ასპექტი შეიძლება წარმოადგენდეს დამხმარე ფაქტორს მოლაპარაკების საწარმოებლად, ან პირიქით ხელისშემშლელი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს მასზე“⁶⁷. მოსამართლის მხრიდან დროული და სათანადო ინტერვენციის გარეშე, შესაძლებელია მორიგების ნაცვლად, კიდევ უფრო მეტად გაღვივდეს მხარეთა შორის არსებული კონფლიქტი.

⁶⁵ შმიტი შ., შულცი კ., მომრიგებელი მოსამართლე, 2019, 30-31.

⁶⁶ გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში. სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, 2010, 36.

⁶⁷ გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში. სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, 2010, 56.

დაუშვებელია, მხარემ მორიგებით უფრო მეტი მიიღოს, ვიდრე მას სასამართლო გადაწყვეტილებით მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში შეეძლო რომ მიეღო. მორიგების პირობები უნდა იყოს კანონშესაბამისი. „სასამართლოს მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტისას, პირველ რიგში, ევალება გაარკვიოს მხარეების შეთანხმება ხომ არ არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ხომ არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ანუ ადგილი ხომ არ აქვს მართლსაწინააღმდეგო ან ამორალურ მორიგებას. ამასთან, სასამართლო ასევე უნდა დარწმუნდეს, ხომ არ არის აღნიშნული მორიგების საფუძველი მოტყუება, იძულება ან შეცდომა“.⁶⁸ სასამართლოს როლი მნიშვნელოვანია მორიგების პირობების ნამდვილობის შეფასების თვალსაზრისით, თუმცა თავად მორიგების მხარეებს არანაკლები პასუხისმგებლობა აკისრიათ იმისა, რომ დარწმუნდნენ მორიგების პირობების სიცხადეში, სისრულეში, ერთმნიშვნელოვნებასა და აღსრულებადობაში. „დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, ის შესაძლო რისკები, რაც მხარეებმა მორიგების პირობების შეთანხმებისას ვერ გაითვალისწინეს, სწორედ მათი სამოქალაქო რისკია და ამ საფუძველით განჩინების გაუქმების შესაძლებლობას მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს“.⁶⁹

დასკვნა

საკითხის შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ მორიგების უპირველესი მიზანი მოდავე მხარეთა შორის მშვიდობის ჩამოგდებაა, თუმცა მორიგების სიკეთე მხოლოდ აღნიშნულით არ შემოიფარგლება. „მოსამართლის მიერ სათანადო განსჯის შემდეგ მხარეთათვის შეთავაზებული და მათთვის მისაღები მორიგება ასევე ემსახურება ზოგადად მართლმსაჯულების ინტერესებსაც, კერძოდ მის განტვირთვას, თუ ამით დაჩქარდება სამართალწარმოების დასრულება და მოსამართლეებს აარიდებს ხანგრძლივ სამართლებრივ დავებს,

⁶⁸ გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში. სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, 2010, 29.

⁶⁹ სუსგ №ას-578-546-2012, 2012 წლის 31 მაისი.

რომლებმაც გასაჩივრების შემთხვევაში რამდენიმე სასამართლო ინსტანცია უნდა გაიარონ. ამასთან, პროცესის მორიგებით დასრულება განამტკიცებს დადებით წარმოდგენას გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეებსა და მთლიანად მართლმსაჯულებაზე, თუ მხარეებს ნათლად განემარტებათ, რომ მოსამართლის გარჯა მიმართული პროცესის მორიგებით დამთავრებისაკენ, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მათ ინტერესებს“.⁷⁰

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ, თუ შესაძლებელია მორიგება კერძოსამართლებრივი დავის გადაჭრის საუკეთესო გზაა და ამ გზით სიარული მხოლოდ მოსამართლის მხრიდან სათანადო ძალისხმევით არის შესაძლებელი.

⁷⁰ ლიუტრინგჰაუსი პ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდика, 2007, 134.

ბიბლიოგრაფია

1. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ., ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში. სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, 2010;
2. ლიუტრინგჰაუსი პ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, 2007;
3. შმიტი შ., შულცი კ., მომრიგებელი მოსამართლე, 2019;
4. ჭავჭავაძე ი., ცხოვრება და კანონი, წერილი მეექვსე, მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, 1877-1881;
5. სუსგ Nას-905-2019, 2019 წლის 30 სექტემბერი;
6. სუსგ Nა-2480-შ-68-2018, 2018 წლის 20 ივლისი;
7. სუსგ Nას-342-342-2018, 2018 წლის 31 მაისი;
8. სუსგ Nას-1111-1068-2016, 2017 წლის 27 იანვარი;
9. სუსგ Nას-578-546-2012, 2012 წლის 31 მაისი.

გვანცა ხასია - ტურისტისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობა მომხმარებლის უფლებების დაცვის კუთხით*

აბსტრაქტი

ტურისტის ინტერესების დასაცავად, მათ შორის მის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია, ტურისტს მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია, შესაბამის დროსა და შესაბამისი ფორმით. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს ინფორმაციის შინაარსზე, რომლის დეტალურ ჩამონათვალს ვხვდებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ მოდის შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტებთან. ტურისტისთვის მიწოდებული ინფორმაცია, ტურისტის თანხმობის შემთხვევაში, იქცევა ხელშეკრულების არსებით პირობებად, ამიტომ მნიშვნელოვანია, ტურისტს ჰქონდეს სათანადო ინფორმაციაზე წვდომა, რათა შეძლოს მისი ინტერესების გათვალისწინებით საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ტურისტის ინფორმირების ვალდებულების მნიშვნელობაზე და ამ სტანდარტის შესაბამისობაზე ევროკავშირის დირექტივებთან.

საკვანძო სიტყვები: ტურისტი, ინფორმირებული ტურისტი, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, მომხმარებელი.

Abstract

In order to protect the interests of the traveller, including making an informed decision, it is important to provide the traveller with proper information, in a reasonable time and in proper manner/shape. Also, content of the information should be devoted attention. A rather detailed list of such information is determined by Civil Code of Georgia, which only partly complies with European standards. The information provided to the traveller becomes essential terms of the contract with the consent of the traveller, so it is crucial for the traveler to have access to the relevant information, as to be able to make

* გვანცა ხასია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

the right decision based on his interests. The research focuses on the importance of the obligation to inform traveller and the compliance of this standard with EU directives.

Keywords: traveller, informed traveller, obligation to provide information, consumer.

შესავალი

თითოეული ქვეყნის ეკონომიკისთვის ტურიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა Covid-19 პანდემიის პირობებში, საზღვრების ჩაკეტვით ტურისტებს შესაძლებლობა შეეზღუდათ, ტურისტული მიზნით სხვადასხვა ქვეყანაში გადაადგილებულიყვნენ, ამ გარემოებამ შესაბამისი უარყოფითი გავლენა მოახდინა თითოეული ქვეყნის ეკონომიკაზე. ტურიზმის სექტორზე საუბრისას კომპლექსურად გასათვალისწინებელია ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორები, ყურადსაღებია ამ პროცესში მონაწილე სუბიექტი - ტურისტი, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობაში მიჩნეულია „სუსტ მხარედ“. მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმები მაქსიმალურად მიმართულია მოხდეს ტურისტის უფლებების დაცვის მიზნით ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრა, რაც გულისხმობს ტურისტის ინტერესების დაცვისთვის პრევენციული ღონისძიებების, ასევე ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი სუბიექტის (ტურისტული საწარმოს) მიმართ პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების რეგულირებას.

აღსანიშნავია, რომ ტურისტი მიმართავს შესაბამის სუბიექტს და იძენს მისგან მომსახურებას, ვინაიდან მას არ გააჩნია საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, თავად დაგეგმოს მოგზაურობა. იმისათვის, რომ მხარეთა შორის დაიდოს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება, ტურისტი უნდა იყოს დეტალურად ინფორმირებული მომსახურების შინაარსის შესახებ, რომელიც მას სხვადასხვა ეტაპზე შესაბამისი ფორმის დაცვით უნდა მიეწოდოს. შესაბამისად, ტურისტი ტურისტული საწარმოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, გახდეს თუ არა ხელშეკრულების მხარე და უჩნდება მოლოდინი, რომ კონტრაქტის ნაკისრ ვალდებულებას ჯეროვნად

შეასრულებს. სწორედ ტურისტული საწარმოს მიერ ტურისტისათვის მიწოდებული ინფორმაცია ხდება ხელშეკრულების არსებითი პირობა და თითოეული ამ პირობის შეუსრულებლობა იწვევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას, რაც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა და ევროკავშირის რეგულაციები განსაზღვრავს ინფორმაციის საკმაოდ ვრცელ და დეტალურ ჩამონათვალს, რომელიც უნდა მიეწოდოს ტურისტს მომსახურების მიღებამდე, ვინაიდან მან შეძლოს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება. მსოფლიოში არსებულმა ვითარებამ განსაკუთრებით აქტუალური გახადა ისეთი ინფორმაციის ცოდნა ტურისტებისთვის, როგორც არის საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული რეგულაციები. წინამდებარე ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურის, ევროკავშირის რეგულაციებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ყურადღება გამახვილდება - ტურისტზე, როგორც მომხმარებელზე და გაანალიზებულია ის ფაქტორები, რაც მას „სუსტ მხარედ“ აქცევს. ასევე, შეფასებულია ტურისტის ინფორმირების ვალდებულების მნიშვნელობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. მნიშვნელოვანია, შეფასდეს საქართველოს კანონმდებლობა რამდენად შესაბამისობაშია ევროკავშირის სტანდარტებთან ტურისტის ინფორმირების ვალდებულებასთან მიმართებით, რათა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის მაქსიმალური ჰარმონიზაცია ევროკავშირის სტანდარტებთან.

1. ტურისტი, როგორც მომხმარებელი

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია - მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.⁷¹ საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 25 მაისს ძალადაკარგულად გამოცხადდა და რეგულაციების განსაზღვრული ნაწილი აისახა საქართველოს კანონში „პროდუქტის

⁷¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 26 პუნქტი 4.

უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“. ამასთან, მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმები გვხვდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, თუმცა ეს ჩამონათვალი არც ისე ფართოა (ქუჩაში დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ტურისტული მომსახურება, პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის და სხვა). საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ევროპული სტანდარტების იმპლემენტაციის ვალდებულება საერთაშორისო ხელშეკრულებით აკისრია.⁷² შესაბამისად მნიშვნელოვანია, მოხდეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესაბამისი სტანდარტების შიდასახელმწიფოებრივ აქტებში ასახვა და მათი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების სათანადო დონეზე საკანონმდებლო რეგულირების მნიშვნელობის აქტუალობა მუდმივად იზრდება, რასაც შიდა ბაზრის მოთხოვნები განაპირობებს.

ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო მომხმარებლის ცნებაში მოიაზრებს მხოლოდ ფიზიკურ პირს, რომელიც პირადი მოხმარების მიზნით შეიძენს პროდუქტს ან/და მომსახურებას და ამ მიზნით მონაწილეობს ბაზრის საქმიანობაში.⁷³ მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივა განსაზღვრავს „მომხმარებლის“ ცნებას და მასში მოიაზრებს მხოლოდ ფიზიკურ პირს, რომელიც მოქმედებს მისი ვაჭრობის, ბიზნესის, ხელობის და პროფესიის მიზნის მიღმა,⁷⁴ თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს დირექტივა არ ვრცელდება ყველა სამართლებრივ ურთიერთობაზე, მათ შორის ტურისტული პაკეტით მოგზაურობაზე, ვინაიდან მასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ტურისტის დაცვის სტანდარტები რეგულირებულია ცალკე

⁷² საუბარია - ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის გაფორმებულ ასოციაციის შესახებ შეთანხმებაზე.

⁷³ EuGH, 3.7.1997, Rs. C-269/95, “Benincasa”. ნანახია: ოპერმანი თ., კლასენი დ. კ., ნეთესჰაიმი მ., ერქვანია თ. და ჯაფარაშვილი ი. (მთარგმნელები), ევროპული სამართალი, 2021, 313-314.

⁷⁴ „On Consumer Rights” Directive 2011/83/EU Of The European Parliament And Of The Council of 25 October 2011, Article 2(1).

დირექტივით.⁷⁵ აღსანიშნავია, რომ ტურისტი არის მომსახურების მიმღები სუბიექტი, რომლის ეს უფლება გამომდინარეობს სერვისების თავისუფალი გადაადგილების უფლებიდან.⁷⁶

„სამოგზაურო პაკეტებისა და მასთან დაკავშირებული სამოგზაურობის შეთანხმებების შესახებ“ დირექტივა არ უარყოფს, რომ ტურისტი არიან მომხმარებელი და უთითებს, რომ ტურისტთა უმრავლესობა, რომლებიც ყიდულობენ ტურისტულ პაკეტს ან მასთან დაკავშირებულ სამოგზაურო ღონისძიებებს, არიან მომხმარებლები ევროკავშირის მომხმარებელთა სამართლის შესაბამისად. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია იმ სირთულეზე, რომელიც არსებობს მომხმარებლისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენლის ერთმანეთისგან გამოჯვანის კუთხით, ვინაიდან მცირე ბიზნესის წარმომადგენლები ჯავშნიან თავიანთ ბიზნესთან დაკავშირებულ მოგზაურობებს იმავე გზებით, როგორც მომხმარებლები.⁷⁷

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მომხმარებლის ცნების შედარებას მოწყვლად ჯგუფებთან, მაშინ როდესაც „სამოგზაურო პაკეტებისა და მასთან დაკავშირებული სამოგზაურობის შეთანხმებების შესახებ“ დირექტივა მოწყვლად ჯგუფში მოიაზრებს მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომლებიც მათი ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო შეიძლება მივაკუთნოთ ასეთ ჯგუფს და ავალდებულებს მოგზაურობის მომწყობს გათვალისწინებულ იქნეს ასეთ პირთა სპეციალური საჭიროებები მოგზაურობის ორგანიზებისას.⁷⁸ რატომ არის ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად ტურისტი მიჩნეული მომხმარებლად, ამ საკითხზე მსჯელობისას მომხმარებელი შედარებულია მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებთან და ყურადღება გამახვილებულია შემდეგ გარემოებაზე - ზოგადად მომხმარებელი ყოველთვის არის უფრო სუსტი

⁷⁵ „On Consumer Rights” Directive 2011/83/EU Of The European Parliament And Of The Council of 25 October 2011, Recital 32.

⁷⁶ Leeuwen V. B., *European Standardisation of Services and its Impact on Private Law: Paradoxes of Convergence (Modern Studies in European Law)*, Bloomsbury, 2017, 118.

⁷⁷ „On Package Travel and Linked Travel Arrangements” Directive (EU) 2015/2302 of 25 November 2015, Recital 7. Goretta M., Lima S., *Traveller Vulnerability in the Context of Travel and Tourism Contracts (A Comparison of Brazilian and EU Law)*, Springer, Brazil, 2018, 90-92.

⁷⁸ „On Package Travel and Linked Travel Arrangements” Directive (EU) 2015/2302 of 25 November 2015, Recital 25.

მხარე ვაჭრობის პროცესში, ვიდრე მიმწოდებელი. ერთ-ერთი გარემოება რაც ტურისტის დაუცველობაში მიგვითითებს არის ის, რომ ტურისტი, როდესაც მოიხმარს საქონელს და იღებს მომსახურებას, ჩვეულებრივ არის მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის და იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, შესაბამისად მას დაცვის სპეციალური გარანტიები და რეგულაციები სჭირდება.⁷⁹

ამასთან, ვინაიდან ტურისტი მიჩნეულია ისეთ მომხმარებლად, რომელიც არის ნაკლებ ინფორმირებულია, მას უნდა მიეწოდოს ტურისტული პაკეტის სპეციფიკიდან გამომდინარე დირექტივით განსაზღვრული სრული ინფორმაცია, იმის მიუხედავად, რომ სხვა ტურისტული პაკეტით სარგებლობისას ტურისტმა უკვე მიიღო იგივე სახის ინფორმაცია.⁸⁰ შესაბამისად, მოლოდინი, რომ ტურისტმა ეს ინფორმაცია იცის ან უნდა იცოდეს, არ ათავისუფლებს ტურისტულ საწარმოს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისაგან.

სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე - როდესაც ტურისტი იძენს ტურისტული მომსახურების პაკეტს, მას მხედველობაში აქვს ყველა შეთავაზებული პირობა, თანხმდება მათზე და მოელის, რომ მომსახურება შეთანხმებული პირობების შესაბამისად განხორციელდება. გასათვალისწინებელია ტურისტის ინტერესი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მოგზაურობა და საამისოდ გამოყოფილი აქვს შესაბამისი დროის შუალედი, დაგეგმილი აქვს კუთვნილი შვებულება და გამოყოფილი აქვს საჭირო ფინანსები. გასათვალისწინებელია ასეთ შემთხვევაში, როდესაც ტურისტული საწარმოს მიერ ხდება მოგზაურობის დაწყებამდე მცირე დროით ადრე მომსახურების რომელიმე, თუნდაც ერთ-ერთი არსებითი პირობის შეცვლა, ტურისტი უწევს, რომ უარი არ თქვას მოგზაურობაზე, რადგან შეცვლილი პირობის მიუღებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი მნიშვნელოვანი ინტერესისთვის ზიანის მიყენება, როგორც არის დასვენებისათვის განსაზღვრული დროის დაკარგვა, რაც დაკავშირებულია დამატებით

⁷⁹ Goretti M., Lima S., Traveller Vulnerability in the Context of Travel and Tourism Contracts (A Comparison of Brazilian and EU Law), Springer, Brazil, 2018, 92.

⁸⁰ Leeuwen van B., European Standardisation of Services and its Impact on Private Law: Paradoxes of Convergence (Modern Studies in European Law), Bloomsbury, 2017, 122.

ძალისხმევასთან, ახალი მოგზაურობის ორგანიზებისათვის ზრუნვასთან, რომელიც, თავის მხრივ, არსებითად დაკავშირებულია დამატებითი დროის გამოყოფასთან და ა.შ., „იგი მზად არის, მიიღოს მისთვის ნაკლებად კომფორტული და ნაკლებად მისაღები ისეთი პირობაც კი, რომელზედაც არ დათანხმდებოდა, ხელშეკრულების დადებისას, რომ ყოფილიყო მისთვის ცნობილი. ამდენად, მოგზაურობის მომწყობს ყოველთვის შეუძლია, ბოროტად გამოიყენოს თავისი მდგომარეობა და ტურისტს „თავს მოახვიოს“ ხელშეკრულების პირობების ისეთი ცვლილება, რომელზედაც იგი იძულებულია, დათანხმდეს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის შესაძლოა, სულაც არ არის ეს ცვლილება მისაღები.“⁸¹ ზემოაღნიშნული მსჯელობა, ამყარებს პოზიციას, თუ რატომ არის ტურისტი სუსტი მხარე, ვინაიდან მას შესაძლოა ხელშეკრულების დადებამდე მიეწოდა ყველა კანონით განსაზღვრული ინფორმაცია, რომელიც მისი მხრიდან მოწონებული იქნა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ხდება მათი მოულოდნელი ცვლილება ტურისტული საწარმოს მხრიდან ტურისტი თითქოს იძულებულია, დათანხმდეს მას, რაც მის დაუცველობასა და სისუსტეზე მიუთითებს, ვინაიდან დაგეგმილი მოგზაურობა, რომლის მიმართაც მას განსაკუთრებული მოლოდინები გააჩნია სრულიად არ გაუფასურდეს. ამასთან, ინფორმაციის სიმცირე და მისი დაუცველობა, რაც ვლინდება მუდმივი საცხოვრებლის ფარგლებს მოგზაურობაში ასევე წარმოადგენს მისი სუსტ მხარედ მიჩნევის სრულიად გონივრულ საფუძველს.

2. ტურისტის ინფორმირების ვალდებულების მნიშვნელობა

იმ პირობებში, როდესაც თანამედროვე ეპოქაში ადამიანები ყოველდღიურად შეიძენენ სხვადასხვა პროდუქტს თუ მომსახურებას, უფრო მეტად აქტუალური ხდება მომხმარებელთა უფლებებზე ზრუნვა, ვინაიდან ისინი ყოველდღიურად შეიძენენ სხვადასხვა პროდუქციას განსხვავებული პირობებით, შესაბამისად, მათ სახელმწიფოსგან სჭირდებათ განსაკუთრებული მხარდაჭერა სათანადო ინფორმაციისა

⁸¹ თბილისის სააკველიციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №28/4762-12.

და სხვა დახმარების არარსებობის პირობებში.⁸² სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობა იმ გარემოებით საბუთდება, რომ ურთიერთობაში მონაწილე ერთი მხარე მიჩნეულია სუსტ მხარედ, ხოლო მეორეს შედარებით მეტი ძალაუფლება გააჩნია, შესაბამისად მომხმარებლისგან განსხვავებით მეწარმე სუბიექტი ძლიერი მხარეა.⁸³

აღსანიშნავია, რომ მეცნიერებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულებამ, რომელიც არაერთი ევროპული დირექტივით არის აღიარებული, შესაძლოა გამოიწვიოს ტურისტის “ინფორმაციით გადატვირთვა“, რაც მომხმარებლისთვის წარუმატებელი შედეგის მომტანია, ვინაიდან ასეთ დროს არსებობს რეალური რისკი, რომ მან ვერ შეძლოს მიწოდებული ინფორმაციის ყოველმხრივ გაანალიზება და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა. ეკონომიკური გაგებით ტურისტის უკმაყოფილება პირდაპირ კავშირშია ბაზრის წარუმატებლობასთან. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ როგორც „ინფორმაციით გადატვირთვას“ გააჩნია თავისი რისკები ასევე მომეტებული საფრთხის შემცველია ტურისტისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებაც, რაც ასევე იწვევს ბაზრის წარუმატებლობასა და მომხმარებლის უკმაყოფილებას. აღნიშნული საკითხის ანალიზის შედეგად ჩნდება ლოგიკური კითხვა - შეუძლია კი უკეთ ინფორმირებულ მოხმარებელს მეტად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება?⁸⁴

სასამართლო გადაწყვეტილებებში ინფორმაციის მოდელის საფუძველზე ვხვდებით მომხმარებლის შეფასებას, როგორც საშუალოდ ინფორმირებული, ყურადღებიანი და მგმობიარე მოქალაქე.⁸⁵ ინფორმირების ვალდებულება მიჩნეულია ყველაზე მინიმალურ ბერკეტად, რომელმაც

⁸² ოპერმანი თ., კლასენი დ. კ., ნეთესჰაიმი მ., ერქვანია თ. და ჯაფარაშვილი ი. (მთარგმნელები), ევროპული სამართალი, 2021, 812-814.

⁸³ ზაალიშვილი ვ., ლაკერბაია თ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 114.

⁸⁴ Whitford W., The Function of Disclosure Regulation in Consumer Transactions, Wisconsin Law Review, 1973, 400-70. Grether D. M., Schwarz A. and Wilde L., The Irrelevance of Information Overload: an Analysis of Search and Disclosure, Southern California Law Review, 1986, 277—303. ნანახია: Sefton-Green R. (Ed), Mistake, Fraud and Duties to Inform in European Contract Law, Cambridge University Press, 2005, 396

⁸⁵ Z.B. EuGH, 3.7.1997, Rs. C-220/98, “Estee Lauder”; Seibt, GRUR 2002, 265. ნანახია: ოპერმანი თ., კლასენი დ. კ., ნეთესჰაიმი მ., ერქვანია თ. და ჯაფარაშვილი ი. (მთარგმნელები), ევროპული სამართალი, 2021, 313-314.

უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის თვითგამორკვევა და შექმნას შესაძლებლობა, შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინებით ტურისტმა მიიღოს მის ინტერესებზე მორგებული საუკეთესო გადაწყვეტილება.⁸⁶

მომხმარებლის უფლებებზე ზრუნვა სახელმწიფოს ვალდებულება და ამავდროულად მიზანია, რომლის მიღწევის ერთ-ერთ ბერკეტი ბაზრის საჭიროებებზე მორგებული რეგულაციების მიღებაა, რომელიც შექმნის შესაბამისი სუბიექტების დაცვის ეფექტიან საშუალებებს. მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულება კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტურისტის უფლებების დაცვა, თავის მხრივ ამ ვალდებულებას პრევენციული დანიშნულებაც გააჩნია, დაცული იქნეს ტურისტი სამომავლო იმედგაცრუებისგან - წარუმატებელი და გაუფასურებელი მოგზაურობისაგან. შესაბამისად რისკების მინიმალიზაციისთვის არსებითია ტურისტი მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს იმ მომსახურების მახასიათებლის შესახებ, რომელსაც ის შეიძენს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს დასაბუთებული მოლოდინი, რომ ინფორმირებულ მომხმარებელს მეტი შესაძლებლობა აქვს მოახდინოს საკუთარი სურვილების უკეთ რეალიზაცია და მიიღოს ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება.

3. ტურისტის ინფორმირების ვალდებულება ევროკავშირის დირექტივებში -ზოგადი მიმოხილვა

აღსანიშნავია, რომ 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან ევროპულმა საზოგადოებამ აქტიურად დაიწყო დირექტივების მიღება, რომელიც არეგულირებდა კერძო სამართლის ისეთ ძირითად სფეროებს როგორც არის პასუხისმგებლობა წუნდებულ პროდუქტისთვის, სამომხმარებლო კრედიტი, არასამართლიანი პირობები ხელშეკრულებებში, სამოგზაურო პაკეტი და სხვა.⁸⁷

⁸⁶ Micklitz HW, Stuyck J, Terryn E., Consumer law (cases, materials and text). Hart Publishing, Oxford, 2010, 213-215. ნაწახი: Maria J., Serrat B., Selling Tourism Services at a Distance (An Analysis of the EU Consumer Acquis), Springer, Spain, 2012, 51.

⁸⁷ Zimmermann R., The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, New York, 2005, 19.

ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე საქართველოს აკისრია ვალდებულება სხვადასხვა სფეროების მარეგულირებელი აქტების იმპლემენტაციის, მათ შორისაა „სამოგზაურო პაკეტების, დასვენებისა და ტურების პაკეტების შესახებ“ 90/314/EEC დირექტივა.⁸⁸ ზემოაღნიშნული დირექტივა „სამოგზაურო პაკეტების, დასვენებისა და ტურების პაკეტების შესახებ“ ანულირებული იქნა „სამოგზაურო პაკეტი და დაკავშირებული სამოგზაურო შეთანხმებები“ 2015/230 დირექტივით, რომლის მიღების მიზანს წარმოადგენდა მარეგულირებელი ნორმების მორგება ევროპული სახელმწიფოების შიდა ბაზრის საჭიროებებთან, ამასთან დირექტივის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა ის ხარვეზები, რომლებიც არსებობდა წინა დირექტივის ფარგლებში. აღნიშნული დირექტივა არეგულირებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის ტურისტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ „სამოგზაურო პაკეტების, დასვენებისა და ტურების პაკეტების შესახებ“ 90/314/EEC დირექტივა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან მიმართებით რამდენიმე ეტაპს გამოყოფს - პირველი ეს ეხება ინფორმაციას, რომელიც დაიტანება ბროშურაზე, რომელიც ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისათვის. ამასთან გასაზღვრულია, რომ ინფორმაცია მომსახურების ღირებულებასთან და ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის დანიშნულების ადგილი, განთავსების ტიპი და სხვა უნდა იყოს მომხმარებლისთვის აღქმადი და გასაგები. მეორე ეტაპზე, ყურადღება გამახვილებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე მისაწოდებელ ინფორმაციაზე, რომელიც მოიცავს სამოგზაურო დოკუმენტაციას, ვიზასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და სხვა. შემდეგ ეტაპზე ყურადღება ეთმობა უშუალოდ მოგზაურობის დაწყებამდე ტურისტისთვის მისაწოდებელ ინფორმაციას, როგორც არის შუალედური გაჩერებების ადგილისა და დროის შესახებ ინფორმაცია და სხვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ

⁸⁸ 1990 წლის 13 ივნისის საბჭოს 90/314/EEC დირექტივა „მოგზაურობის, არდადეგებისა და ტურების პაკეტების შესახებ“ იმპლემენტირების ვალდებულება საქართველოს გააჩნია ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი №4 შესაბამისად, შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან 5 წლის განმავლობაში, მაშინ როცა აღნიშნული დირექტივა ამ ვადის განმავლობაში ანულირებულად გამოცხადდა.

დირექტივა განსაზღვრავს მოთხოვნას დირექტივის დანართით განსაზღვრული ინფორმაცია ასახული იქნეს შესაბამისად ხელშეკრულებაში, თავის მხრივ, ხელშეკრულება ტურისტის ინფორმირების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს და ეს მოთხოვნა მიმართულია მისი ინტერესების დაცვისაკენ.⁸⁹

„სამოგზაურო პაკეტებისა და მასთან დაკავშირებული სამოგზაურო შეთანხმებების შესახებ“ დირექტივის პრეამბულაში ვკითხულობთ, რომ იმისათვის, რომ გაიზარდოს სიცხადის კომპონენტი ტურისტისათვის და მას საშუალება მიეცეს, გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი სხვადასხვა ტიპის შემოთავაზებული სამოგზაურო ღონისძიებების შესახებ მოვაჭრეებმა, თუ ისინი სთავაზობენ სამოგზაურო პაკეტს ან მასთან დაკავშირებულ სამოგზაურო შეთანხმებებს, უნდა მიაწოდონ ტურისტს ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დონეზე მათ დაცვას, სანამ ტურისტი დათანხმდება საფასურის გადახდას. ამასთან, მოვაჭრეების განცხადება სამოგზაურო პროდუქტის სამართლებრივი ბუნების შესახებ, რომელიც შესათავაზებლად არის გამოტანილი უნდა წარმოადგენდეს რეალურ ინფორმაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში იქ სადაც არ ხდება ტურისტისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ უნდა განახორციელოს სამართლებრივი ჩარევა.⁹⁰

აღსანიშნავია, რომ ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფონზე, რომელიც ადვილად იძლევა განახლების საშუალებას, ახალი დირექტივით აღარ აწესებს ბროშურის შინაარსთან მიმართებით კონკრეტული წესების განსაზღვრის ვალდებულებას.⁹¹ ამასთან, დირექტივამ გააფართოვა იმ ინფორმაციათა ჩამონათვალი, რომლის შესახებაც ინფორმირებული უნდა იყოს პოტენციური ტურისტი. ვინაიდან, ასოცირების შესახებ შეთანხმების IX თავი ეთმობა „ტურიზმს“ და ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია ტურიზმის მიმართულებით ის ძირითადი საკითხები, რომლის მიმართულებითაც მხარეები

⁸⁹ „On Package Travel, Package Holidays and Package Tours“ Council Directive 90/314/EEC of 13 June 1990, Articles 3 and 4.

⁹⁰ „On Package Travel and Linked Travel Arrangements“ Directive (EU) 2015/2302 of 25 November 2015, Recital 16.

⁹¹ „On Package Travel and Linked Travel Arrangements“ Directive (EU) 2015/2302 of 25 November 2015, Recital 26.

გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს, რაც მოიცავს შესაბამისი ევროპული სტანდარტების იმპლემენტაციას, მნიშვნელოვანია, შესაბამისი რეგულაციების ასახვაც საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით მოხდეს საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ სსკ-ში.⁹² მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ეფუძნება გერმანიის სამოქალაქო კოდექსს, რომელშიც 1979 წელს, დამატა ქვეკარი „ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების“ შესახებ,⁹³ მასში არ მომხდარა სრულად ევროპული სტანდარტების ასახვა, მაგალითისთვის ტურისტული მომსახურების, ასევე ტაიმშერის ხელშეკრულება არ შეიცავს მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალს, რაც სამოქალაქო-სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდებისა და მითითების ვალდებულებების შესახებ დადგენილებაში არის ასახული, მაშინ როდესაც ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და შესაბამისი შინაარსი ჩვენ შემთხვევაში სსკ-ში ავსახეთ.⁹⁴

4. ტურისტის ინფორმირების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობაში და გამოწვევები

4.1. შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის ტურისტისთვის მიწოდების აკრძალვა

სსკ-ში ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებში ბოლო ცვლილებები განხორციელდა 2006 წელს, შესაბამისად იმპლემენტირებული არ არის ის ევროპული სტანდარტები, რომელსაც გვთავაზობს „სამოგზაურო პაკეტებისა და მასთან დაკავშირებული სამოგზაურობის შეთანხმებების შესახებ“ დირექტივა, მათ შორის ტურისტის ინფორმირების ნაწილში გარკვეული მოთხოვნები.

სსკ-ის 657¹-ე მუხლი განსაზღვრავს ტურისტისთვის არასათანადო ინფორმაციის მიწოდების აკრძალვის ვალდებულებას, რომელიც

⁹² უფრო ვრცლად იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმების 328-331 მუხლები.

⁹³ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 651ა-ე პარაგრაფი, პირველი ველი, 489.

⁹⁴ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 651ა-ე პარაგრაფი, მე-2 ველი, 490. Zimmermann R., *The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives*, Oxford University Press, New York, 2005, 24.

შემდგომ აზუსტებს თუ რა მოიაზრება ტერმინში „არასათანადო“. მოგზაურობის მომწყობი ახორციელებს ტურისტისთვის მოგზაურობასთან დაკავშირებულ მომსახურების შეთავაზებას, შესაბამისად ტურისტის სურვილის შესაბამისად ყალიბდება ტურისტული პაკეტი, შესაბამისად მოგზაურობის მომწყობმა შესაბამისი მომსახურების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს ტურისტისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, რომელიც არ უნდა შეიცავდეს ყალბ, არასათანადო და შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ყველა საჭირო ინფორმაცია მოიცავს ნებისმიერ აღწერილობით ფორმას, ღირებულებას და მხარეთა შეთანხმების გათვალისწინებით არსებით პირობებს. აღწერილობით ფორმაში შესაძლოა მოვიაზროთ ნებისმიერი წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შექმნილი და გავრცელებული დოკუმენტი/მასალა, რომელიც შეიცავს რელევანტურ ინფორმაციას.⁹⁵ აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ მიწოდებული ინფორმაცია არ უნდა იყოს „არასათანადო“, რაშიც უნდა მოვიაზროთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც სამოგზაურობა პაკეტთან არ არის დაკავშირებული ან შესაბამის ეტაპზე არ არსებობს მისი მიწოდების ვალდებულება, რისი მიზანიც არის დავიცვათ მომხმარებელი ზედმეტი ინფორმაციისგან გადატვირთვისგან. ხოლო ინფორმაცია, რომელიც თავისი შინაარსით არ შეესაბამება რეალობას წარმოადგენს ყალბ და შეცდომაში შემყვან ინფორმაციას.

მნიშვნელოვანია, რომ მიწოდებული ინფორმაცია იმგვარად იყოს ჩამოყალიბებული, რომ ნებისმიერ პოტენციურ მომხმარებელს, მიუხედავად მათი პროფესიისა, შესაძლებლობა ჰქონდეს აღიქვას და გაიაზროს შეთავაზების რეალური შინაარსი. იმისათვის, რომ მომხმარებლისათვის შეთავაზებული პირობები აღქმადი იყოს მნიშვნელობა ენიჭება შრიფტის ზომასაც კი, ვინაიდან მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნეს მისი გაცნობის შესაძლებლობა ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

⁹⁵ ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ელ. ვერსია 657¹-ე მუხლის). ხელმისაწვდომია: GCCC.GE

4.2. მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსი

სსკ განსაზღვრავს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ცნებას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოგზაურობის მომწყობის (ტურისტული საწარმოს) ვალდებულებაზე გაუწიოს ტურისტს (მოგზაურს) შეთანხმებული მომსახურება, ხოლო ტურისტი სანაცვლოდ ვალდებულია გაწეული მომსახურებისთვის გადაუხადოს მოგზაურობის მომწყობს შეთანხმებული ანაზღაურება.⁹⁶ აღნიშნული ნორმა შემოფარგლება მხოლოდ ხელშეკრულების მხარეების ვალდებულებებზე მითითებით, ისე რომ არ განსაზღვრავს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის კონკრეტულ შინაარსს და მოგზაურობის მომწყობის მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესასრულებელი მოქმედებების მკაფიო ჩამონათვალს. ამავე დროს, სსკ-ის 657-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია იმ ვალდებულებების საკმაოდ დეტალური ჩამონათვალი, რომელიც ეკისრება მოგზაურობის მომწყობს ამ ხელშეკრულების ფარგლებში, თუმცა ხაზგასასმელია, რომ ამ ნორმით არ ხდება ყველა შესაძლო ვალდებულებაზე (მოქმედებაზე) მითითება და მხარეთა თავისუფალი ნებაზეა დამოკიდებული სხვადასხვა კომპონენტზე შეთანხმება, რომელიც შეთანხმების შედეგად გათვალისწინებული იქნება ტურისტული პაკეტით. აღნიშნული ნორმის ანალიზის შედეგად სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილება უთითებს, რომ ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისას გასათვალისწინებელია როგორც ის ნორმატიული წინაპირობები, რომელსაც ეს მუხლი შეიცავს, ასევე მხედველობაშია მისაღები ტურისტის ინდივიდუალური ინტერესი, რომელიც მას ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების მიმართ გააჩნია. სავარაუდო ტურისტის ნება, მიიღოს მონაწილეობა მოგზაურობაში, და ამავედროულად მოლოდინები ყალიბდება შეთავაზებული ტურისტული პაკეტის ყველა კომპონენტის (პირობის) ერთობლივი გათვალისწინებით. კანონით განსაზღვრულ ინფორმაციასთან მიმართებით ტურისტისთვის ინფორმაციის მიწოდება კი გულისხმობს, რომ ტურისტმა მოიწონა ეს პირობები და რის შემდეგაც ეს პირობები იქცევა ხელშეკრულების არსებით პირობებად, რომელიც უნდა შესრულდეს კონტრაქტის მიერ

⁹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 657-ე ნაწილი პირველი.

ჯეროვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში ტურისტს წარმოეშობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნის უფლება.⁹⁷

სსკ-ს 657¹-657² მუხლები განსაზღვრავს ტურისტული საწარმოს ვალდებულებას ტურისტისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების შესახებ. აღნიშნული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ყურადღებას ამახვილებს მიწოდებული ინფორმაციის ფორმაზე, ვადასა და შინაარსზე. თითოეული მოთხოვნის შესრულება ემსახურება ტურისტს, როგორც სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი სუსტი მხარის ინტერესების დაცვას. სამართალმა უნდა განსაზღვროს ისეთი პრევენციული ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება სუსტი მხარის მხარდაჭერისკენ - დაცული იქნეს მომავალი იმედგაცრუებისგან. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ვალდებულება დეტალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების სახით არსებობს, რომლის დარღვევა ზიანის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ტურისტისთვის. ინფორმირების ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს არასწორი ინფორმაციის ან არსებით საკითხთან მიმართებით ინფორმაციის მიუწოდებლობაში, რაც საბოლოო ჯამში არაჯეროვნად დაორგანიზებულ მოგზაურობას გულისხმობს, რომლის შედეგი შევებულების უსარგებლოდ დაკარგვა ან/და გაუფასურებული მოგზაურობა, ასევე ხარვეზის შედეგად მოგზაურობის მნიშვნელობის შემცირება შეიძლება იყოს.

როგორც აღინიშნა, სსკ-ის 657² მუხლი ყურადღებას ამახვილებს ვადაზე რა ვადაშიც ტურისტს უნდა მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია და ამავდროულად, განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომლის შესახებაც ტურისტი უნდა იყოს ინფორმაციით უზრუნველყოფილი. პირველ ეტაპზე ყურადღება გამახვილებულია ტურისტისთვის „ხელშეკრულების დადებამდე“ მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალზე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია „მოგზაურობის დაწყებამდე“ მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალი. აღსანიშნავია, რომ 657² მუხლი მე-2 ნაწილი ერთი მხრივ ადგენს, რომ ტურისტს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს „მოგზაურობის დაწყებამდე“, ხოლო

⁹⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლი 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №28/4762-12.

მეორე მხრივ დათქმას აკეთებს, რომ მოგზაურობის დაწყებამდე „გონივრულ ვადაში“ უნდა მოხდეს შესაბამისი ინფორმაციის ტურისტისათვის მიწოდება.

ამასთან, სსკ-ის 657² მუხლის პირველი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს, ინფორმაციის მიწოდების ფორმაზე და ადგენს, რომ ტურისტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს „წერილობით ან ტურისტისთვის მისაღები სხვა ფორმით“. აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც რეგულირებულია სსკ-ის 657-667-ე მუხლებით არ შეიცავს იმპერატიულ დათქმას, თუ რა ფორმით უნდა დაიდოს ხელშეკრულება. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე მხარეებს მინიჭებული აქვთ თავისუფლება თავად განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების ფორმა. მხოლოდ ამ ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებიდან 657² მუხლის პირველი ნაწილი ამახვილებს ყურადღებას ინფორმაციის მიწოდების ფორმაზე და განსაზღვრავს, რომ ინფორმაცია ტურისტს უნდა მიეწოდოს წერილობით ან სხვა სათანადო ფორმით. ამ ნორმის მიზანია ტურისტისთვის მტკიცების პროცესის გამარტივება და მისი ინტერესების მაქსიმალურად დაცვის უზრუნველყოფა (ხელმისაწვდომი და აღქმადი იყოს შესაბამისი ინფორმაცია). ამ ნორმის თანახმად „სხვა ფორმაც“ შესაძლოა იყოს დასაშვები, შესაბამისად ჩნდება კითხვა თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს „სხვა ფორმაში“? ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში ცხადია გასაკვირი არ არის, რომ ტურისტისთვის წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიწოდება ბეჭდური ფორმით აღარ არის აქტუალური და ტურისტული საწარმოების მხრიდან მისი ჩანაცვლება ხდება ინტერნეტის, განსაკუთრებით ელექტონული ფოსტის გამოყენებით.⁹⁸ ცხადია, რომ ნებისმიერი ფორმა, რომელიც არჩეულ იქნება ტურისტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად, პირველ რიგში ტურისტისათვის უნდა იყოს მისაღები, შესაბამისად მას უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა ეს ინფორმაცია მიიღოს და გაეცნოს დაუბრკოლებლად.

⁹⁸ Maria J., Serrat B., *Selling Tourism Services at a Distance (An Analysis of the EU Consumer Acquis)*, Springer, Spain, 2012, 65.

გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რომელიც რეგულირებულია სსკ-ის 657² არსებობს მხოლოდ ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში, რაც გულისხმობს ორი ან მეტი კომპონენტისაგან შემდგარ მომსახურებას. თუ ხდება მხოლოდ ერთი კომპონენტის შექმნა, მაგალითისთვის მხოლოდ ავიაბილეთების შექმნა, ტურისტულ საწარმოს არ წარმოეშობა ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, მათ შორის პასპორტთან და ვიზასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, ვინაიდან ასეთ დროს სახეზე გვაქვს ნასყიდობის და არა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება, შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები.⁹⁹

სსკ-ის 657²-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული თითოეული ინფორმაცია შესაძლოა საქმის გარემოებების შესაბამისად საკმაოდ ფართოდ იყოს განმარტებული, მაგალითისთვის ტურისტს უნდა მიეწოდოს პასპორტთან და ვიზასთან, აგრეთვე მოგზაურობისათვის აუცილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია. სასამართლო განმარტა, რომ მოსარჩელემ ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების დადებით მოპასუხეს შეუკვეთა მოგზაურობის ორგანიზება იმდაგვარად, რომ ამ უკანასკნელს, როგორც შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების მქონე პირს ეზრუნა უხარვეზო მოგზაურობის მოწყობისათვის ტურისტის სასარგებლოდ. სასამართლო მიიჩნევს, რომ პასპორტთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ ტურისტისთვის დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაში იგულისხმება ტურისტული საწარმოს მიერ ტურისტისთვის ისეთი ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რომლის არსებობის გარეშეც მოგზაურობა ვერ შედგება, ასეთად მიიჩნევა მათ შორის პასპორტის მოქმედების ვადასთან დაკავშირებული ინფორმაცია.¹⁰⁰ შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ვალდებულებაში იგულისხმება როგორც ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება პასპორტის ქონასთან დაკავშირებით,

⁹⁹ სუსგ №ას-129-121-2017, 28 თებერვალი, 2018 წელი.

¹⁰⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/16914-15.

არამედ პასპორტის ვადასთან მიმართებითაც, ვინაიდან ორივე გარემოება წარმოადგენს მოგზაურობის ხელშემშლელ გარემოებას.

მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს სხვადასხვა ეტაპზე ერთი და იგივე ინფორმაციის მიწოდების, ვინაიდან მომხმარებელმა უნდა მიიღოს და დაამუშაოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც შესაბამისი ეტაპისთვის არის გათვალისწინებული, რაც დაეხმარება მას მართებული გადაწყვეტილების მიღებაში. ამასთან, სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ინფორმაციის მიწოდებით უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის გადატვირთვის თავიდან აცილების რისკი. ლოგიკურია, რომ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც პირველ ეტაპზე უნდა მიეწოდოს მომხმარებელს წარმოადგენს ისეთ ძირითად ინფორმაციას, რომელიც მომხმარებელს დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში, წარმოადგენს თუ არა შემოთავაზებული ტურისტული პაკეტით განსაზღვრული მომსახურება მისთვის მისაღებ შეთავაზებას.¹⁰¹

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე საუბრისას გასათვალისწინებელია კეთილსინდისიერების პრინციპი, აღნიშნულმა პრინციპმა ტურისტული საწარმო უნდა „აიძულოს“ ტურისტის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით დაგეგმოს ტური და მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ იქნება შეცდომაში შემყვანი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა წარმოიშვას მატერიალური და არამატერიალური ზიანი¹⁰² მოთხოვნის შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობები. საინტერესოა, სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ერთ-ერთ საქმეზე - მხარეთა შორის დაიდო ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება. ტურისტული საწარმო ინფორმირებული იყო ტურისტების სურვილის შესახებ, რომელთაც სინას მთის მონახულება სურდათ. ტურისტულმა საწარმომ ტურისტებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ისინი მარტივად და მაქსიმალურად მცირე დანახარჯებით შეძლებდნენ მათთვის სასურველი ადგილის მონახულებას. ადგილზე ჩასულმა ტურისტებმა აღმოაჩინეს, რომ სინას მთის

¹⁰¹ Maria J., Serrat B., *Selling Tourism Services at a Distance (An Analysis of the EU Consumer Acquis)*, Springer, Spain, 2012, 60.

¹⁰² ამ საკითხთან მიმართებით იხ. ვრცლად ხასია გ., მოგზაურობის მომწყობის პასუხისმგებლობა ტურისტის შვებულების უსარგებლოდ დაკარგვის გამო, სამართლის ჟურნალი, 2021, 101.

მონახულება იყო რთულად დასაორგანიზებელი და შესაბამის ადგილზე მისვლა დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან. სასამართლომ აღნიშნა, ტურისტული მოგზაურობის მომწყობი არის ისეთი სუბიექტი, რომელსაც გააჩნია საკმარისი ცოდნა, ინფორმაცია და საჭირო გამოცდილება ტურების ორგანიზების მხრივ, სწორედ ამიტომ იწყებს ის ტურისტულ საქმიანობას და სთავაზობს ტურისტებს შესაბამისი მომსახურების გაწევას. თავის მხრივ ტურისტები ენდობა მოგზაურობის მომწყობს და მიმართავს მას ტურის ორგანიზებისათვის და ექვევებ არ აყენებს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციის ნამდვილობასა და უტყუარობას. შესაბამისად, ვინაიდან ტურისტთა მიზანს წარმოადგენდა კონკრეტული ტურისტული ადგილის მონახულება, მათთვის უნდა მომხდარიყო კეთილსინდისიერების პრინციპისა და კანონის მოთხოვნების შესაბამისად შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ტურისტის, როგორც კონტრაქტის, საუკეთესო ინტერესების დაცვა. შესაბამისი ინფორმაციის ცოდნის შემთხვევაში შესაძლოა ტურისტებს არ დაედოთ ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება შესაბამის კომპანიასთან ან აერჩია სამოგზაუროდ სრულიად სხვა ადგილი, შესაბამისად არასწორი ინფორმაციის მიწოდებამ გამოიწვია მიზნის მიუღწევლობა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მოგზაურობის მნიშვნელობას და იწვევს ტურისტის უკმაყოფილებას.¹⁰³

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ტურისტისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის საკმარის ფართო ჩამონათვალს განსაზღვრავს, არსებული რედაქცია სრულად არ შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს, კერძოდ სსკ-ში ასახული არ არის შემდეგ ინფორმაციაზე მითითების ვალდებულება - სადაც განთავსება არის გათვალისწინებული ღამეების რაოდენობა, გამოსაყენებელი ტრანსპორტის კატეგორია, გამგზავრების და დაბრუნების ადგილი და დრო, შესაძლებლობის შემთხვევაში საცხოვრებლის ტურისტული კატეგორიის შესახებ ინფორმაცია სამოგზაურო ქვეყნის წესების შესაბამისად, მოგზაურობის მომწყობის ან მოვაჭრის მეილი, თუ მომსახურების მიღება დამოკიდებულია ეფექტურ ზეპირ კომუნიკაციაზე რა ენაზე უნდა განხორციელდეს ის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის

¹⁰³ სუსგ №ას-1102-1059-2016, 14 მარტი, 2017 წელი.

შემთხვევაში რამდენად შესაფერისია მოგზაურობა მოგზაურის საჭიროებებთან, ვიზის მოთხოვნებთან დაკავშირებით სავარაუდოდ რო, რაც საჭიროა სტანდარტულად მის მისაღებად, მოგზაურის უფლებაზე მითითება, რომ მას მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და სხვა საკითხები.¹⁰⁴ ამასთან, განსხვავებით სსკ-სგან ევროკავშირის დირექტივა შეიცავს ორგანიზატორის ვალდებულებაზე მითითებას ტურისტული პაკეტით გათვალისწინებული მოგზაურობის დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე ტურისტს მიეწოდოს ყველა საჭირო ქვითარი, ბილეთი თუ ვაუჩერი, რომელიც საჭიროა შესაბამისი მომსახურების მისაღებად. ამასთან, ინფორმირებული იქნეს ტურისტი გამგზავრების და ჩასვლის დროის შესახებ.¹⁰⁵

ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მტკიცების ტვირთი, რომ განხორციელდა ტურისტის ინფორმირების ვალდებულება დადგენილი წესის შესაბამისად მოვაჭრეზეა.¹⁰⁶ შესაბამისად მოვაჭრის ინტერესშია ინფორმაციის მიწოდება განხორციელდეს იმ ფორმით, რაც სამომავლოდ მას მტკიცების პროცესს გაუმარტივებს, რომ მისი მხრიდან უხარვეზო მოგზაურობა იქნა შეთავაზებული და ყველა ვალდებულება ჯეროვნად შესრულდა.

დასკვნა

როგორც კვლევის ეტაპზე გამოიკვეთა წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული, კერძოდ დღეს საქართველოში არ არსებობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი, რომელიც შესაბამის პოზიტიურ როლს ითამაშებდა მომხმარებელთა უფლებების სათანადოდ დაცვის კუთხით. მართალია, მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელ რიგ ნორმებს ვხვდებით სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში, მათ შორის სსკ-ში, თუმცა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მაგალითზე შეგვიძლია

¹⁰⁴ On Package Travel and Linked Travel Arrangements” Directive (EU) 2015/2302 of 25 November 2015, Article 5 (1).

¹⁰⁵ On Package Travel and Linked Travel Arrangements” Directive (EU) 2015/2302 of 25 November 2015, Article 7 (5).

¹⁰⁶ „On Package Travel and Linked Travel Arrangements” Directive (EU) 2015/2302 of 25 November 2015, Article 8.

ვთქვათ, რომ ამ ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულება ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან მხოლოდ ეფექტიანი მექანიზმების დანერგვის გზით არის შესაძლებელია მომხმარებელთა უფლებებზე ზრუნვა. სამართლებრივ ურთიერთობაში ტურისტის მიჩნეულია სუსტ მხარედ, შესაბამისად მას სახელმწიფოსგან განსაკუთრებული დაცვის სტანდარტები და მხარდაჭერა სჭირდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, რომელიც მორგებულია თანამედროვე შიდა ბაზრის საჭიროებებზე.

ნაშრომში განხილულ იქნა ტურისტის, როგორც მომხმარებლის სამართლებრივი სტატუსი იმ გარემოებებზე მითითებით, რაც მას სამართლებრივ ურთიერთობაში სუსტ მხარედ აქცევს. აღნიშნულის გათვალისწინებით მსჯელობა შეეხო ტურისტის უფლების დაცვის ისეთ მექანიზმს, როგორც ინფორმირების ვალდებულებაა და სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე განხილულ იქნა მისი მნიშვნელობა სუსტი მხარის ინტერესების დაცვის კუთხით. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობაში გაწერილი ინფორმირების ვალდებულება შედარებულ იქნა ევროკავშირის სტანდარტთან, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ სსკ-ში უნდა განხორციელდეს რისი ცვლილებები და გაფართოვდეს ტურისტისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის წრე, შესაბამისად გახდეს მეტად დეტალიზირებული. ასევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსში გაჩნდეს ჩანაწერი მტკიცების ტვირთან დაკავშირებით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ტურისტის, როგორც მომხმარებლის უფლებების დაცვის მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობას.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია (24/08/1995);
2. ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის გაფორმებულ ასოცირების შესახებ შეთანხმება (27/06/2014);
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (26/06/1997);
4. „On Package Travel and Linked Travel Arrangements” Directive(EU) 2015/2302 of 25 November 2015;
5. „On Consumer Rights” Directive 2011/83/EU Of The European Parliament And Of The Council of 25 October 2011;
6. “On Package Travel, Package Holidays and Package Tours” Council Directive 90/314/EEC of 13 June 1990;
7. ზაალიშვილი ვ., ლაკერბაია თ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018;
8. კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014;
9. ოპერმანი თ., კლასენი დ. კ., ნეთესჰაიმი მ., ერქვანია თ. და ჯაფარაშვილი ი. (მთარგმნელები), ევროპული სამართალი, 2021;
10. ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ელ. ვერსია 657¹-ე მუხლის). ხელმისაწვდომია: GCCC.GE;
11. Goretta M., Lima S., Traveller Vulnerability in the Context of Travel and Tourism Contracts (A Comparison of Brazilian and EU Law), Springer, Brazil, 2018;
12. Leeuwen V. B, European Standardisation of Services and its Impact on Private Law: Paradoxes of Convergence (Modern Studies in European Law), Bloomsbury, 2017;
13. Maria J., Serrat B., Selling Tourism Services at a Distance (An Analysis of the EU Consumer Acquis), Springer, Spain, 2012;
14. Sefton-Green R. (Ed), Mistake, Fraud and Duties to Inform in European Contract Law, Cambridge University Press, 2005;
15. Zimmermann R., The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, New York, 2005;

16. სუსგ №ას-129-121-2017, 28 თებერვალი, 2018 წელი;
17. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/16914-15;
18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლი 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/4762-12.

ნატო ჭითანავა - უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის სამართლებრივი ასპექტები *

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ერთ-ერთ ძირითად უფლებას - საკუთრების უფლებას, კერძოდ მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივ ბუნებას.

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა სამართლებრივ დოქტრინებში გავრცელებული საკუთრების სამართლებრივი ბუნება, ნივთთა კლასიფიკაცია, საკუთრების უფლების შექმნის ასპექტები.

სტატიის შესწავლის საგანს წარმოადგენს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის მომწესრიგებელი ქართული კანონმდებლობის განხილვა და შედარება სხვა ქვეყნების სამართლებრივ ნორმებთან.

კვლევის მიზანია ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის საფუძვლების განსაზღვრა, ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის გზების შედარება და საკუთრების ინსტიტუტის მიმოხილვა უძველესი დროიდან დღემდე.

კვლევის ამოცანაა მატერიალურ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის სამართლებრივი ბუნების გაანალიზება, არსებობის შემთხვევაში მარეგულირებელ ნორმებში ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

საკვანძო სიტყვები: საკუთრება, ქონება, ხელშეკრულება.

Abstract

The present paper deals with one of the essential rights - the right of ownership, in particular the legal nature of the origin of this right on movable and immovable property.

The paper discusses the legal nature of property spread in various legal doctrines, classification of items, aspects of the acquisition of property rights.

* ნატო ჭითანავა - შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

The object of the article is comparison of Georgian legal norms regulating the purchase of property on movable and immovable property with the legal norms of other countries.

The aim of the research is to determine the basics of acquiring ownership of things, to compare the ways of acquiring ownership of things, and to review the institution of ownership from ancient times to the present day.

The aim of the research is to analyse the legal nature of the acquisition of ownership of material things, to formulate appropriate recommendations to eliminate the deficiencies in the regulatory norms, if any.

Keywords: Property, Contract.

შესავალი

მნიშვნელოვანია, რომ საკუთრების უფლებით თავისუფლად სარგებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ უნდა შექმნას სათანადო საკანონმდებლო სისტემა, თუმცა უნდა მოახერხოს ბალანსის დაცვა და არ ჩაერიოს საკუთრების უფლებით დაცულ სფეროებში.

ვფიქრობ, საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა შესაძლებელია ქონების თავისუფალი გასხვისება/შემქენისა და ამ ქონების არამართლზომიერი ხელყოფისგან დაცვის გზით.

საკუთრების უფლების კონსტიტუციური გარანტიის ქვეშ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, ასევე ძლიერი საბაზრო ეკონომიკის საფუძველი. საკუთრების უფლება წარმოადგენს პირის შესაძლებლობას, გაასხვისოს/შეიძინოს ქონება, გახდეს მესაკუთრე ან გადასცეს საკუთრების უფლება სხვას.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია, მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმენის აქტუალური სამართლებრივი საკითხები, რაც მოიცავს საკუთრების სამართლებრივ ბუნებას, ქონების ცნებას, ნივთთა სახეებს, მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმენის წესს, აგრეთვე საკუთრების უფლების შექმენასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების იდენტიფიკაციასა და

ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

კვლევის მეთოდად არჩეულია ზოგად-სამეცნიერო მეთოდები, კერძოდ ისტორიული მეთოდის დახმარებით აღწერილია ზოგადად საკუთრების ინსტიტუტის, ასევე მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის მარეგულირებელი ნორმების განვითარების ისტორიული მიმოხილვა უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე.

ნორმატიული მეთოდის საშუალებით გაანალიზდა საკუთრების შეძენის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მნიშვნელობა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

შედარებითი მეთოდის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის მომწესრიგებელი ნორმების შედარება სხვა ქვეყნების სამართლის ნორმებთან.

1. საკუთრების სამართლებრივი ბუნება

კითხვაზე - „რა არის საკუთრება?“ პასუხი ერთი შეხედვით ძალიან მარტივი მოგვეჩვენება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვიცით თუ რა არის საკუთრება, მაგრამ ზუსტად აღწერა რთულია. თუ მივიღებთ დავალებას, სწრაფად ჩამოვწეროთ რა ქონება გვაქვს? თითოეული ჩვენთაგანი ჩამოწერს ისეთ ნივთებს, როგორცაა ტანსაცმელი, ფული, კომპიუტერი, წიგნები და სხვა. ეს ყველაფერი არის ის, რაც ადამიანთა უძრავლესობას ჰგონია „ქონება“ და ის, რაც ადამიანთა „საკუთრებაშია“. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ განვიხილავთ "საკუთრებას" ორ ასპექტში, პირველი, როგორც არსებითი სახელი ანუ "ჩემი ქონება მოიცავს შემდეგს: წიგნი, კომპიუტერი..." ხოლო მეორე, არსებული სამართლებრივი ურთიერთობის აღწერისას პირსა და ნივთს შორის კავშირი ანუ „მე მაქვს ქონება: ის მიწის ნაკვეთი ჩემი საკუთრებაა“.¹⁰⁷

საკუთრების უფლება კაცობრიობის ისტორიაში აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან საკუთრების ცნების გაგება არაერთგვაროვანია, რადგან, მას ხან აიგივებენ მატერიალურ კეთილდღეობასთან, ხან კი

¹⁰⁷ Weir M., Concepts of property, 2001.

ომთან. საკუთრების ცნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ დიდ რომაელ იურისტებს, რომლებმაც მას უწოდეს “*dominium*” და პირველად გამოიყენეს უძრავ ქონების მიმართებით.¹⁰⁸

ძველ ქართულ სამართალში დაცულია - უნიკალური საარქივო მასალა, კერძოდ ნასყიდობის წიგნები, საიდანაც იკითხება, რომ მიუხედავად, იმისა გლეხის ქონებაზე ბატონს თავისუფლად მიუწვდებოდა ხელი - „სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდებოდა“, ვალდებული იყო „... ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს“ პრინციპი დაეცვა.¹⁰⁹

თანამედროვე ქართულ სამართალში საკუთრების უფლების შინაარსი მოიცავს მის პოზიტიურ და ნეგატიურ გაგებას. მესაკუთრე უფლებამოსილია, როგორც კანონისმიერი, ასევე, სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით ისე, რომ არ დაუშვას სხვა პირების მხრიდან საკუთარი ქონებით სარგებლობა და განკარგვა.¹¹⁰

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, საკუთრების უფლების შინაარსის ნაწილში განსაზღვრავს მესაკუთრის უფლებამოსილებას, განკარგოს და ისარგებლოს საკუთრებით იმ ფარგლებში, რომ არ დაუშვას სხვა პირების მიერ ზემოქმედება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელ ზიანთან შედარებით მიყენებული ზიანი ნაკლებია.¹¹¹

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი საკუთრების უფლებას განმარტავს, როგორც ნივთებით სარგებლობის აბსოლუტურ უფლებას.¹¹²

რომ საკუთრება ხშირად განისაზღვრება, როგორც პირის უფლება ნივთზე. საკუთრების ცნების განმარტებასთან დაკავშირებული სირთულეები დიდი ხანია აწუხებს იურიდიულ თეორეტიკოსებს. იგივე

¹⁰⁸ ზარანდია თ., საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით. სსუ-ს შრომები, ტომი V, 2008 . 750-759.

¹⁰⁹ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, 35.

¹¹⁰ თოთლაძე ლ., რუსიაშვილი გ., ჭეჭელაშვილი ზ., შოთაძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ელ. ვერსია 170-ე მუხლის). ხელმისაწვდომია: GCCC.GE

¹¹¹ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 688.

¹¹² ზარანდია თ., საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით. სსუ-ს შრომები, ტომი V, 2008, 750-759.

პრობლემა დგას არადასავლურ ქვეყნებში, კერძოდ რუსეთის ფედერაციაში სიტყვა საკუთრებას (sobstvennost) შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა, როგორც ნივთების, ასევე საკუთრების უფლების აღსანიშნავად. თანამედროვე რუსეთში ტერმინი საკუთრება გაგებულისა, როგორც ეკონომიკური ურთიერთობები ნივთის მფლობელსა და ყველა სხვა პირს შორის ამ ნივთთან მიმართებაში.¹¹³

სრული საკუთრება არის კონსტიტუციით დაცული უფლება, რომელიც განისაზღვრება, როგორც „საკუთრებით სარგებლობისა და განკარგვის უფლება ყველაზე აბსოლუტური ფორმით, იმ პირობით, რომ არ იქნება გამოყენებული ის, რაც აკრძალულია კანონებითა და რეგულაციებით“. როგორც აბსოლუტური უფლება, ის მფლობელს ანიჭებს აქტივის გამოყენებას, ამ აქტივის ნაყოფის მიღებისა და მისი განკარგვის უფლებას.¹¹⁴

2. ქონება. უძრავი და მოძრავი ნივთების ცნება

ტერმინი „ქონება“ საკმარისად ყოვლისმომცველია და მოიცავს ქონების ყველა სახეობას, უძრავს და მოძრავს, და ყველაფერს, რისი ფლობაც ერთ ადამიანს შეუძლია და გადასცემს მეორეს. ის ვრცელდება უფლებისა და ინტერესის ყველა სახეობაზე.¹¹⁵ ნივთები შეიძლება იყოს მატერიალური ანუ აღქმადი, როგორცაა მიწა, ქარხანა, ძვირფასი ბეჭედი, ასევე შეიძლება იყოს არამატერიალური, როგორცაა აქციები, წილები.

საკუთრების უფლების ობიექტებია ნივთები, რომელთა დაყოფა მოძრავ და უძრავ ნივთებად რომის სამართლიდან მომდინარეობს.¹¹⁶

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, საჯარო საკუთრება იყო მთავარი მახასიათებელი, რაც განასხვავებდა საბჭოთა სამართალს სხვა სახელმწიფოების სამართლისგან. საბჭოთა სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებდა სოციალისტურ საკუთრებას და ინდივიდუალურ კერძო საკუთრებას. სოციალისტური საკუთრების ქვეშ

¹¹³ Donahue C., Property law, 2008.

¹¹⁴ Gregory A., Acquisition and transfer of property interests.

¹¹⁵ Weir M., Concepts of property, 2001

¹¹⁶ ჩიტოშვილი თ., უძრავ ქონებაზე საკუთრების საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2006, 123.

იგულისხმებოდა - სახელმწიფო საკუთრება და კოლექტიური საკუთრება. კერძო საკუთრებას კი მიეკუთვნებოდა სამომხმარებლო საქონელი, მანქანა, სახლი და სხვა არსებობისთვის აუცილებელი ნივთები.¹¹⁷

მოგვიანებით, კომუნიზმის დაცემით, კერძო საკუთრებამ მოიპოვა აღმავლობა, როგორც არასდროს კერძო საკუთრება საკუთრების გარკვეული ფორმით გახდა დასაშვები.¹¹⁸

მიუხედავად განსხვავებისა, საერთო სამართლის სისტემა და კონტინენტური ევროპის სამართალი თანხმდება, რომ საკუთრების განსაკუთრებული ობიექტია მიწა.

თანამედროვე ქართული კანონმდებლობაც მატერიალურ ნივთებს ჰყოფს მოძრავ და უძრავ ნივთებად. ხოლო უძრავ ნივთებს მიაკუთვნებს მიწის ნაკვეთს, მიწაში არსებულ წიაღისეულს, მიწაზე აღმოცენებულ მცენარეებს, ასევე მიწაზე მყარად მდგომ შენობა-ნაგებობებს.¹¹⁹ „საჯარო რეესტრის“ შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, უძრავი ნივთია მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე. ამასთან, როგორც მშენებარე, ასევე აშენებული ან დანგრეული ნაგებობები, და შენობების ხაზობრივი ნაგებობა. ხაზობრივ ნაგებობებს მიეკუთვნება საკომუნიკაციო ნაგებობები, საავტომობილო გზები, რკინიგზა, მილსადენები, გვირაბები, საჰაერო-საბაგირო გზები, ელექტროგადამცემი, კავშირგაბმულობის ხაზები, ფუნქციური, დამბა, არხი. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ხაზობრივი ნაგებობები წარმოადგენს უძრავი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილს., ხოლო „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში მოცემული ლეგალური დეფინიციის საფუძველზე მცენარეები არ მიეკუთვნება უძრავ ნივთებს.¹²⁰

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მითითებულია მხოლოდ უძრავი ნივთების ცნებას და არაფერს ამბობს მოძრავი ნივთების დეფინიციასზე. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ამ დუმილით მიგვითითებს, რომ მოძრავ ნივთად შეიძლება ჩავთვალოთ ის ნივთები, რომლებიც არ ითვლება

¹¹⁷ Maggs P. B., Soviet law, 2017.

¹¹⁸ Gregory A., Aspects of property law in communist and postcommunist countries

¹¹⁹ სსკ-ის მუხლი 149.

¹²⁰ თოთლაძე ლ., რუსიაშვილი გ., ჭეჭელაშვილი ზ., შოთაძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ელ. ვერსია 149-ე მუხლის). ხელმისაწვდომია: GCCC.GE

უძრავად.¹²¹ ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ნებისმიერი ნივთი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არ მიეკუთვნება უძრავს, გარდა მექანიკური სატრანსპორტო, საფრენო და მცურავი საშუალებებისა არის მოძრავი ნივთი.

მოძრავი ნივთის სამართლის ობიექტად მიჩნევისთვის, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: პირველი, დაშვებული უნდა იყოს სამართლებრივ ბრუნვაში, მეორე - არსებობდეს მატერიალური ფორმით, მესამე - შესაძლებელი უნდა იყოს მისი მესამე პირებისთვის გადაცემა და მეოთხე - შესაძლებელი უნდა იყოს მისი განსაზღვრა სხვადასხვა ფორმით.¹²²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება ისეთი რამ, როგორცაა მიწა ან შენობები, რომლებიც მიჩნეულია, რომ სტაციონარულია სივრცეში; ხოლო მოძრავი ნივთები იქნება ისეთი საგნები, როგორცაა პირადი ნივთები, რომელთა სივრცეში გადატანა შესაძლებელია. თუმცა, საკანონმდებლო დონეზე განმარტების დაზუსტება სავსებით მისაღებია, სადაც ჩაიწერება, რომ განსაზღვრული ნივთი რომელ კატეგორიას მიეკუთვნება.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სხეულებრივი საგნები მიიჩნევა ნივთებად, ბუნებით უძრავ ნივთად - მხოლოდ მიწა და მოხმარებად ნივთების ცნებაში გულისმობხს მოძრავ ნივთებს.¹²³ ამასთან, უძრავი ნივთის მიმართ მოქმედი წესები ვრცელდება მხოლოდ მიწის ნაკვეთზე, ასევე იმ უფლებებზე, რომელიც მიწასთანაა დაკავშირებული. საფრანგეთის კანონმდებლობაც იცნობს ნივთების დაყოფას უძრავ და მოძრავ ნივთებად. საფრანგეთის კანონმდებლობა ქონებას მიიჩნევს უძრავად, თუ ის ბუნებით უძრავი ნივთია (მიწა, შენობა-ნაგებობა, წყლის და ქარის წისქვილები და სხვა.), დანიშნულებითაა უძრავი ნივთი (ცხოველი) და საგნობრივად უძრავი ნივთია (უზუფრუქტი, სერვიტუტი და სხვა).¹²⁴

¹²¹ ზოიბე ბ., ქართული სანივთო სამართალი, 2003, 32-35.

¹²² შოთაძე თ., სანივთო სამართალი, 2014, 63.

¹²³ Gregory A., Acquisition and transfer of property interests.

¹²⁴ შოთაძე თ., სანივთო სამართალი, 2014, 87-89.

3. საკუთრების უფლების შექმნის წინაპირობები

ქართული კანონმდებლობით, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ზუსტადაა დადგენილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმით არეგულირებს მოძრავ და უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის სამართლებრივ გზებს. კერძოდ, კოდექსით განსაზღვრული მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის საფუძვლები არ ადგენს მათ შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როგორცაა ავტომობილის შექმნისთვის გასავლელი პროცედურები, რომლითაც უზრუნველყოფილია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამართლებრივი საფუძველი და შინაარსობრივად ადმინისტრაციული სამართალს განეკუთვნება.¹²⁵

მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების გასხვისების უფლება გულისხმობს, სუბიექტებმა თავისუფლად ნამდვილი ნების საფუძველზე დადონ ხელშეკრულება. სანამ საკუთრების უფლების გადაცემა არ განხორციელდება, თავდაპირველ მესაკუთრეს უფლება აქვს ქონებაზე, ხოლო საკუთრების გასხვისების დაპირებისას გვაქვს უბრალოდ აღსასრულებელი ვალდებულება ქონების გადაცემაზე. საკუთრების უფლების შექმნის წინაპირობა შეიძლება იყოს: 1. მხარეებს შორის ხელშეკრულების დადება, ჩვეულებრივ, როდესაც ისინი შეთანხმდნენ გასაყიდი ნივთის ფასზე და გადაცემის პირობებზე, 2. მყიდველის მიერ ნივთის საფასურის გადახდა, 3. გამყიდველის მიერ მყიდველისთვის ნივთის გადაცემა საკუთრებაში. ანგლო-ამერიკულ სამართალში მნიშვნელოვანია საკუთრების გადაცემისას დადგინდეს: პირველი, არის ეს ნასყიდობა თუ ჩუქება, მეორე, არის ეს პირადი (მოძრავი) თუ უძრავი (უძრავი) საკუთრება და მესამე, ურთიერთობაში მონაწილე მხარეები არიან თუ არა სპეციალური უფლებით აღჭურვილი.¹²⁶

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილ პირს უნდა ჰქონდეს ნივთზე საკუთრების უფლება, რათა განახორციელოს

¹²⁵ სუსგ Nას-914-954-2011, 2011 წლის 27 ოქტომბერი.

¹²⁶ Gregory A., Acquisition and transfer of property interests.

საკუთრების უფლების გადაცემა. ამასთან, მესაკუთრესა და შემძენს შორის აუცილებელია შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ხდება ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემა.

4. უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენა

ეროვნული კანონმდებლობა, გერმანული კანონმდებლობის მსგავსად, განსხვავებულად არეგულირებს საკუთრების უფლების შეძენას უძრავი ნივთისა და მოძრავი ნივთის მიმართ¹²⁷.

საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებულ უფლებებს შორისაა უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის შემთხვევა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენისთვის აუცილებელია, განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შესაბამისი ინფორმაციის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.¹²⁸

გერმანული სისტემით საკუთრების უფლების შეძენის/მოპოვების მიზნით, უფლების გადაცემა არ ხდება მანამ, სანამ არ დარეგისტრირდება სპეციალურ სისტემაში. გერმანული სისტემა ითვალისწინებს მიწის საკუთრების უფლებისა და საავტომობილო უფლების რეგისტრაციას სპეციალურ სისტემებში.¹²⁹ მიწის ნაკვეთზე საკუთრების გადაცემა ინგლისში რეგულირდება საკუთრების რეგისტრაციის სისტემით. კანადასა და შერეთებულ შტატებში ცალკეული აქტებით აღირიცხება და ფართოდ გამოიყენება საკუთრების დაზღვევა მყიდველის უფლებების დასაცავად.¹³⁰ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინგლისური მიწის რეგისტრაციის სისტემა ჰგავს გერმანულ სისტემას.¹³¹

უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემისათვის ძირითადი ინსტრუმენტია წერილობითი შეთანხმება, როგორცაა, ხელშეკრულება, აქტი.

¹²⁷ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 24-26.

¹²⁸ სსკ-ის მუხლი 183.

¹²⁹ Gregory A., Acquisition and transfer of property interests.

¹³⁰ Kiralfy A.R., Glendon M.A., Lewis A.D.E., Comparisons of modern English, American, and Commonwealth law.

¹³¹ Gregory A., Acquisition and transfer of property interests.

ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, აქტი იყო ხელშეკრულება ან ვალდებულება ბეჭდით დამოწმებული და ბეჭედი ჯერ კიდევ საჭიროა ინგლისში, თუმცა აღარ არის საჭირო შეერთებული შტატების უმეტეს ადგილებში. ზოგიერთ შემთხვევაში, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად, როგორც წესი, არ არის აუცილებელი ანაზღაურება (მაგალითად, ჩუქების ხელშეკრულება) და არც მოწმეები.¹³²

უძრავი ქონების გაყიდვა ანგლო-ამერიკულ სამართალში რადიკალურად განსხვავებული წესითა დარეგულირებული საქონლის გაყიდვისთან მიმართებით. როგორც ანგლო-ამერიკულ, ისე ფრანგულ სამართალში ხელშეკრულება ემსახურება ნივთის საკუთრების უფლების გადაცემას, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. ანგლო-ამერიკულ იურისდიქცია ითვალისწინებს, რომ მიწის ნაკვეთის ინტერესების უმეტესობის გადაცემა განხორციელდეს წერილობით ფორმით, მაგალითად, აქტით, კონტრაქტით.¹³³

უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკაში უძრავი ქონების გაყიდვის პროცესს ყოველთვის წინ უძღვის ხელშეკრულების დადება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა შეთანხმების პირობებს, მათ შორის ხელშეკრულების საგანს, ღირებულებას, ფასს და სხვა არსებით პირობებს. ხელშეკრულებაში ფიქსირდება თარიღი, რომელიც მიუთითებებს შეთანხმების დროს. ასევე ეთითება შესრულების ვადა, რომლის დაცვა აუცილებელია მხარეთა მიერ. ვინაიდან, ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესრულება სავალდებულოა, თუ რომელიმე მხარე ვერ ასრულებს, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია აიძულოს შესრულება. მაგრამ შესრულების იძულების უნარი არ არის იგივე, რაც ჰქონდეს კანონიერი (განსხვავებით სამართლიანი) საკუთრების უფლება.

საფრანგეთის კანონმდებლობაში უძრავი ნივთზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელია ხელშეკრულების დადება, რომლის შემდგომი რეგისტრაცია ემსახურება ამ უფლების დაცვას. გერმანულ კანონმდებლობაში ნასყიდობის და გადაცემის ხელშეკრულება კონცეპტუალურად განსხვავებულია, მაგრამ პრაქტიკაში ისინი ხშირად

¹³² Ray M., Deed, written legal instrument, 2018.

¹³³ Gregory A., Acquisition and transfer of property interests.

ერწყმის ერთსა და იმავე გარიგებას. საკუთრების უფლების გადაცემა არ არის ძალაში მესამე პირებისთვის ან თვით მხარეებს შორისაც კი, სანამ ტრანზაქცია არ დარეგისტრირდება Grundbuch-ში.¹³⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ფრანგულ, ისე გერმანულ სამართალში ხელშეკრულებასა და მის საბოლოო დასრულებას შორის დრო შესამჩნევად უფრო მოკლეა, ვიდრე ანგლო-ამერიკულ სისტემაში. ეს შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას იმით, რომ საჯარო აღრიცხვისა და რეგისტრაციის სისტემები უფრო ეფექტურია (მიუხედავად მათი ფუნქციონირების განსხვავებებისა).

ეროვნული კანონმდებლობით, საჯარო რეესტრის უპირველესი დანიშნულება არის, რეგისტრაციას დაქვემდებარებული ყველა უფლება ასახოს სწორად, მათ შორის უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება. საჯარო რეესტრის საჯაროობის პრინციპის საფუძველზე, შემძენი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას იძენს რეგისტრაციის მომენტიდან. კანონმდებლობა საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფციის პრინციპის თანახმად, ვიდრე არ დამტკიცდება რეესტრის ჩანაწერის უზუსტობა, მანამდე მესამე პირებისათვის რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად. ამდენად საჯარო რეესტრი ერთის მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გარანტის ფუნქციას ასრულებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი სრულ კონსენსუსშია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან. ¹³⁵

მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლო განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ უფლების შემძენს ტვირთად აწევს არა ყოველგვარი უზუსტო მონაცემის ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შეძენის ნამდვილობას. ჩანაწერის უზუსტობის ცოდნა ნიშნავს იმ გარემოებათა ცოდნას, რის გამოც ჩანაწერია უზუსტო, თავის მხრივ, შემძენს არ უნდა მოეთხოვოს იმაზე მეტის ცოდნა, რაც გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება.¹³⁶

საკუთრების უფლების დაცვისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რომლითაც ხდება

¹³⁴ Gregory A., Acquisition and transfer of property interests.

¹³⁵ სუსგ Nას-189-182-2013, 2014 წლის 16 იანვარი.

¹³⁶ სუსგ Nას-189-182-2013, 2014 წლის 16 იანვარი.

საკუთრების უფლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქართული სამართლისგან განსხვავებით, გერმანული სამართალი იცნობს უფლებათა რეგისტრაციამდე დაცვის საშუალებებს, როგორცაა წინასწარი ჩანაწერები („ლოდინის უფლება“). აღსანიშნავია, რომ უფლების წარმოშობის თაობაზე გარიგების დადებიდან რეგისტრაციის სრული პროცედურების დასრულებამდე დროის მონაკვეთი, გარკვეულწილად საფრთხის შემცველია, რადგან შესაძლებელია ამ პერიოდში განხორციელდეს ქონების ყადაღა და სხვა.¹³⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ რეგისტრაციის ინსტიტუტმა წარმატებით იმუშაოს და შესაძლებელი გახდეს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაცვა, აუცილებელია ამ უფლების დაცვა რეგისტრაციის პროცესში.

5. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნა

მოძრავი ნივთების შექმნისთვის დადგენილი წესის თანახმად, მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე უნდა გადასცეს შემძენს შეთანხმებულ ნივთზე საკუთრების უფლება. კანონმდებლობით ამომწურავადაა დადგენილი, თუ რა იგულისხმება საკუთრების უფლების გადაცემაში და ასეთად მიჩნეულია პირველი, პირდაპირ მფლობელობაში შემძენისათვის ნივთის გადაცემა; მეორე, ხელშეკრულებით არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა, როდესაც თავდაპირველი მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად და მესამე, მესაკუთრის მხრიდან შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის მინიჭება.¹³⁸

ანგლო-ამერიკული სამართალში მოძრავი ნივთის შექმნის წინაპირობაა როგორც ხელშეკრულება, ასევე ნივთის გადაცემის ფაქტი. ამასთან, როგორც ანგლო-ამერიკულ, ისე ფრანგულ სამართალში, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ხელშეკრულება ემსახურება ნივთზე საკუთრების უფლების შექმნას/გადაცემას. გერმანული სამოქალაქო

¹³⁷ ლაფაჩი ე., უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე, 2016 , 123-126.

¹³⁸ სუსგ Nას-658-625-2014, 2014 წლის 05 დეკემბერი.

კანონმდებლობით ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისთვის აუცილებელი პირობაა მხარეთა შორის შეთანხმება.¹³⁹

გამყიდველის ვალდებულებაა, მყიდველს გადასცეს როგორც ნივთობრივად, ასევე უფლებრივად უნაკლო ნივთი.¹⁴⁰ ნივთის უფლებრივად ნაკლიანად მიჩნევისათვის მესამე პირს უნდა ჰქონდეს სამართლებრივად დასაბუთებული, ნამდვილი პრეტენზია ნივთზე.¹⁴¹ მართალია კანონმდებელი შემძენს არ ავალდებულებს, მაგრამ ვინაიდან, მის ინტერესებშივეა როგორც უფლებრივად, ისე ნივთობრივად უნაკლო ნივთის შეძენა, მინიმალური წინდახედულობის გამოჩენა მართებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ნივთის ვიზუალურ დათვალიერებაში.¹⁴² კოდექსის აღნიშნული მოთხოვნა (გამყიდველის ვალდებულება) სავალდებულოა და იმპერატიული.

დასკვნა

კვლევამ ცხადყო, რომ საკუთრების ნებისმიერი ცნება, გარდა აღწერილობისა, დამოკიდებულია სახელმწიფოს კულტურაზე, რომელშიც ის გვხვდება. კვლევა, გვამლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დასაზუსტებელია საკუთრების უფლების შინაარსი.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში, გვაქვს მცდელობა, ნორმატიულად განისაზღვროს მოძრავი ნივთის განმარტება, ჩატარებული კვლევა გვამლევს იმის თქმის საშუალებას, რომ უმჯობესი იქნება საკანონმდებლო ჩანაწერით განისაზღვროს უფრო დეტალურად იმ ნივთთა კატეგორია, რომელსაც მივაკუთვნებთ მოძრავ ნივთებს.

ფიქრობ, მიზანშეწონილია სამოქალაქო კოდექსით განისაზღვროს ნივთების კლასიფიკაცია არა მარტო მათი ბუნებრივი თვისებებით

¹³⁹ ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე, 1994, 171-172.

¹⁴⁰ სსკ-ის მუხლი 489.

¹⁴¹ სუსგ Nას-658-625-2014, 2014 წლის 05 დეკემბერი.

¹⁴² სუსგ Nას-567-535-2012, 2012 წლის 01 აგვისტო.

(მოდრავი და უმდრავი), არამედ ნივთის მესაკუთრის ვინაობის მიხედვით (საჯარო და კერძო ნივთები).

გერმანული სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, ქართულ სამოქალაქო კოდექსში მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის შესახებ მხარეთა შეთანხმების თაობაზე ჩანაწერის არარსებობა, ვფიქრობ შეიძლება, კანონმდებლობის ხარვეზად მივიჩნიოთ და გერმანული კანონმდებლობის მსგავსად გავაჩინოთ კოდექსში მსგავსი ჩანაწერი.

ვინაიდან უმდრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაცვის გარანტი არის საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია, მიზანშეწონილად მივიჩნევ, საკანონმდებლო ჩანაწერის საფუძველზე თანაბარი საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები შევქმნათ რეგისტრაციამდე და რეგისტრაციის შემდეგ.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (26/06/1997);
2. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“(19/12/2008);
3. ზარანდია თ., საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით, სსუ-ს შრომები, ტომი V, 2008;
4. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005;
5. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2003;
6. კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014;
7. ლაფაჩი ე., უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე, თბილისი, 2016;
8. ჩიტოშვილი თ., უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2006;
9. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე, თბილისი, „სამართალი“, 1994;
10. თოთლაძე ლ., რუსიაშვილი გ., ჭეჭელაშვილი ზ., შოთაძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ხელმისაწვდომია: GCCC.GE;
11. სუსგ Nas-914-954-2011, 2011 წლის 27 ოქტომბერი;
12. სუსგ Nas-189-182-2013, 2014 წლის 16 იანვარი;
13. სუსგ Nas-658-625-2014, 2014 წლის 05 დეკემბერი;
14. სუსგ Nas-567-535-2012, 2012 წლის 01 აგვისტო;
15. Donahue C., Property law, 2008
<https://www.britannica.com/topic/property-law> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
16. Gregory A., Acquisition and transfer of property interests.
<https://www.britannica.com/topic/property-law/Aspects-of-property->

-
- law-in-communist-and-postcommunist-countries [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
17. Weir M., Concepts of property, 2001
<https://www.britannica.com/topic/possession-property-law>
 18. Kiralfy A.R., Glendon M.A., Lewis A.D.E., Comparisons of modern English, American, and Common wealth law.
<https://www.britannica.com/topic/common-law/Comparisons-of-modern-English-American-and-Commonwealth-law> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
 19. Ray M., Deed, written legal instrument, The Editors of Encyclopaedia Britannica, 2018 <https://www.britannica.com/topic/deed> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
 20. Maggs P.B., Soviet law, 2017 <https://www.britannica.com/topic/Soviet-law> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
 21. Gregory A., Aspects of property law in communist and postcommunist countries <https://www.britannica.com/topic/property-law/Aspects-of-property-law-in-communist-and-postcommunist-countries> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022].

დავით მეზვრიშვილი - ცრუმაგიერი პირის მიმართ გასატარებელი იძულებითი ღონისძიებების გამოყენების დროს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის სტანდარტი *

აბსტრაქტი

გადასახადების ადმინისტრირება სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, რომელსაც სსიპ შემოსავლების სამსახური ახორციელებს. საგადასახადო ორგანოს ფუნქციაა, შექმნას გადასახადების ამოღების ეფექტიანი სისტემა, ხოლო გადასახადების გადახდისგან თავის არიდების შემთხვევაში უზრუნველყოს ეფექტიანი იძულებითი ღონისძიებების გატარება.

საგადასახადო ურთიერთობების ერთ-ერთი გამორჩეულად რთული და სპეციფიკური გამოხატულებაა ცრუმაგიერი პირის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარება. ამ დროს სახელმწიფოს ამოცანაა, უზრუნველყოს ერთის მხრივ საგადასახადო დავალიანების ეფექტიანად ამოღება, ხოლო მეორეს მხრივ, დაიცვას საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი და დაცულ სფეროში ჩარევა არ იყოს არაპროპორციული.

კვლევის მიზანია, არსებული პრაქტიკის განზოგადება და რეკომენდაციების შემუშავება, რათა ცრუმაგიერი პირის მიმართ გატარებულმა იძულებითმა არ გამოიწვიოს გადასახადის გადამხდელის ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევა.

Abstract

Tax administration is one of the main tasks of the state, which is performed by the LEPL Revenue Service. The function of the tax authority is to create an effective system of tax collection, and to ensure effective enforcement measures in case of tax evasion.

One of the uniquely complex and specific manifestations of tax relations is the enforcement of coercive measures against a straw person for a taxpayer. At this time, the task of the state is to ensure the effective collection of tax debt on one

* დავით მეზვრიშვილი - სამართლის მაგისტრი, ადვოკატი (იურიდიული ფირმის “Legal Company” დამფუძნებელი პარტნიორი)/აუდიტორი.

hand, and on the other hand, to protect the balance of public and private interests and not to interfere disproportionately in the protected area.

The aim of the research is to generalize the existing practice and to make recommendations so that the coercion against a straw person for a taxpayer would not lead to unjustified interference in the field of essential rights of a taxpayer.

შესავალი

საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობები გადასახადების გადახდის უპირობო და სავალდებულო ხასიათის პრინციპზეა აგებული. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის ვალდებულებას კანონით დადგენილი წესით და ოდენობითა.¹⁴³ აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებული რესურსის მართვა/განკარგვა, რაც გულისხმობს აღნიშნული რესურსის მოხმარებას საზოგადოებისთვის სასარგებლო სფეროების განვითარებისთვის - სახელმწიფოს განვითარების საწინდარია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (შემდგომში საგადასახადო კოდექსი) 238-ე მუხლი საგადასახადო ორგანოს ანიჭებს უფლებას, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად გადასახადის გადამხდელის მიმართ განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანების დაფარვას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საგადასახადო კოდექსის მიხედვით სახელმწიფო იტოვებს უფლებას საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოყენებული იქნას მესამე პირებთან დაკავშირებით, თუ დადასტურდა, რომ ეს პირები მოსალოდნელი ან არსებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით გამოიყენება.

¹⁴³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 67.

საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ვინაიდან საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების შეზღუდვის ხარჯზე უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, შეიცავს საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსის დარღვევის რეალურ რისკს.

1. ცრუმაგიერი პირის სამართლებრივი სტატუსი

1.1. საკანონმდებლო რეგულირება

საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლი ადგენს გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად მიჩნევის სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული ნორმის თანახმად, პირი გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად “მიიჩნევა, თუ ის მოსალოდნელი ან არსებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით გამოიყენება”.¹⁴⁴

ხსენებული მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, იმისათვის რომ პირი ცრუმაგიერად იქნეს მიჩნეული, სახეზე უნდა იყოს შემდეგი ორი წინაპირობა:

1. გადასახადის გადამხდელს უნდა ერიცხებოდეს საგადასახადო დავალიანება (არსებული ან მოსალოდნელი);
2. გადასახადის გადამხდელი კონკრეტული პირის მეშვეობით თავს უნდა არიდებდეს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სუბიექტის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად ცნობის მიზანია ცრუმაგიერი პირის ქონების მიმართ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების მიმართვა. იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირის

¹⁴⁴ საგადასახადო კოდექსი, მუხლი 246, ნაწილი 1.

ცრუმაგიერ პირად ცნობით საგადასახადო ორგანოს მიერ არ მოხდეს მის საკუთრების უფლებაში დაუსაბუთებელი და უკანონო ჩარევა, პირის ცრუმაგიერ პირად აღიარებაზე დაწესებულია სასამართლო კონტროლი.

ამასთან, იმისათვის, რომ დადასტურდეს ცრუმაგიერობის ფაქტი, სავალდებულოა დადგინდეს, რომ მოპასუხეები საერთო ეკონომიური ინტერესების საფუძველზე მოქმედებდნენ გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით. შესაბამისად, პირთა ცრუმაგიერად ცნობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ მხარეს - საერთო განზრახვას, ანუ ორი სუბიექტის თანხმედრ სურვილს, რომ მართლსაწინააღმდეგო შეთანხმებით თავიდან აირიდონ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ცრუმაგიერ პირად მიჩნევის წინაპირობაა იძულების ღონისძიებების გამოყენებამდე გადასახადის გადახდევინების თავის არიდებისკენ მიმართული რეალური პირის ქმედება.¹⁴⁵ ქონების განრიდების¹⁴⁶ ჭრილში უაღრესად მნიშვნელოვანია შემხვედრი დაკმაყოფილების გარეშე სუბიექტთა შორის ქონების გადაცემის ფაქტის დადასტურება.¹⁴⁷ აქ მოიაზრება შემთხვევა, როდესაც პირი ფორმალურად ქონების მესაკუთრეა, თუმცა რეალურად არ იღებს სარგებელს, სარგებლის რეალური მიმღებად კვლავ რჩება ის გადასახადის გადამხდელი, რომელიც ქონების განრიდებით ცდილობს საგადასახადო პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას.¹⁴⁸

¹⁴⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (სუსგ), Nბს-1378(კ-18), 2019 წლის 22 იანვარი.

¹⁴⁶ საგადასახადო სამართლის მიზნებისთვის, ცრუმაგიერი პირის ინსტიტუტთან მიმართებაში ტერმინი „განრიდება“ გულისხმობს იძულებითი ღონისძიების ობიექტი ქონების გამოგალკეევებას ქონების იმ წრიდან, რომელზეც შეიძლება მიმართული იყოს იძულებითი ღონისძიებები.

¹⁴⁷ თუნდაც საგადასახადო დავალიანების მქონე სუბიექტი არ არის შეზღუდული, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს აქტივები, თუ მის მიმართ არ არის გამოყენებული შესაბამისი უზრუნველყოფის ღონისძიებები. სწორედ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით, საგადასახადო ორგანომ სანქციების ამოქმედებამდე უნდა შეაფასოს, კონკრეტული ტრანზაქცია თავისი შინაარსის კერძო-სამართლებრივი გარიგებაა, თუ გადასახადების გადახდისგან თავის არიდების მოტივით განხორციელებული მოქმედება.

¹⁴⁸ სუსგ Nბს-1378(კ-18), 2019 წლის 22 იანვარი.

1.2. ერთგვაროვანი პრაქტიკა ცრუმაგიერი პირის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო N3/ზ-246-19წ. საქმეზე განმარტავს, რომ ფიზიკური პირების და მეწარმე სუბიექტების ცრუმაგიერ პირებად აღიარების განსხვავებული საფუძვლების მიხედვით განსხვავებულია მათი პასუხისმგებლობის ფარგლებიც. ბიზნეს საქმიანობის ჩანაცვლების დროს უმეტესად ხდება საზოგადოების სამართლებრივი ფორმის და/ან სახელწოდების შეცვლა, რაც თავისთავად ფორმალურ ხასიათს ატარებს და რეალურ სამართლებრივ შედეგებს არ ისახავს მიზნად. ამდენად, ობიექტურად შესაძლებელია ამ პირთა ერთ მეწარმე სუბიექტად განხილვა, შესაბამისად, მათ მთელი თავიანთი ქონებით უნდა აგონ პასუხი არსებული საგადასახადო ვალდებულებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული სასაქონლო ოპერაციიდან გამომდინარე ხდება გადასახადის გადამხდელების ცრუმაგიერ პირებად ცნობა, იქმნება არსებითად განსხვავებული მდგომარეობა - კერძოდ, ურთიერთდამოკიდებული პირები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საიდენტიფიკაციო მონაცემებით და როგორც წესი, ერთჯერადი ან ხანგრძლივი ფიქტიური სასაქონლო ოპერაციების გზით ვლინდება სარგებლის მიღების მიზნით საგადასახადო დავალიანების მქონე მეწარმე სუბიექტთან მართლსაწინააღმდეგო შეთანხმების დადება. ზემოდასახელებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების პირობებში გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების ცრუმაგიერ პირზე სრულად გადაკისრება გამოიწვევდა სახელმწიფოსა და მეწარმე სუბიექტს შორის ინტერესთა ბალანსის დარღვევას, ანუ ვერ მოხერხდებოდა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს ამოცანაა, დაიცვას თანაზომიერების პრინციპი, რათა ცრუმაგიერი მფლობელობის დადგენის საშუალებით მისაღები სიკეთე არ აღემატებოდეს კერძო პირის შეზღუდული უფლების დაცვის ინტერესს.^{149 150}

¹⁴⁹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/ზ-246-19წ., 2019 წლის, 02 აგვისტო.

¹⁵⁰ ამავე გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განმარტავს, რომ „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს საგადასახადო ვალდებულება ეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომლებიც ითვალისწინებს

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განმარტავს, რომ პირთის ცრუმაგიერად ცნობა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად საგადასახადო იღებს უფლებას, ცრუმაგიერ პირთა მიმართ გამოიყენოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიება. ამ პროცესს ახლავს რისკებიც, უზრუნველყოფის ღონისძიების კანონის დარღვევით გამოყენება შესაძლოა გახდეს გადასახადის გადამხდელის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების გაუმართლებელი ხელყოფის წინაპირობა. საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლი საკუთრების უფლების დაცვის გარანტია, ისევე როგორც 67-ე მუხლი უზრუნველყოფს გადასახადის გადახდის გარდუვალობას. ამგვარი დავის განსაკუთრებულ სირთულეს და მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება არ უნდა არღვევდეს ბალანსს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის, კერძოდ, სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის და გადასახადის გადამხდელის, როგორც მოვალის კანონიერ ინტერესებს შორის. საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმები იცავს სახელმწიფოს კანონიერ ინტერესს. ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გადასახადის გადამხდელის მიმართ შეზღუდვების დაწესების საშუალებით კანონმდებელი უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის სავალდებულო წესით შენატანს.¹⁵¹

საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „ცრუმაგიერ პირად ცნობა უშუალოდ არის დაკავშირებული პირის საკუთრების უფლების შეზღუდვასთან, მის ქონებაზე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან. შესაბამისად, აუცილებელია, აღნიშნული ფაქტის დადგენა კანონით გათვალისწინებული ყველა დანაწესის სრული დაცვით, ფაქტობრივი

გადასახადის გადახდას. შესაბამისად პალატა მიიჩნევს, რომ ამ გარემოებიდან გამომდინარე ცრუმაგიერი მფლობელობის დადგენის შემთხვევაში უნდა აღდგეს ის მგომარობა (Status quo), რაც მეწარმე სუბიექტებს შორის არამართლზომიერი კავშირის დამყარებამდე არსებობდა, რასაც სწორედ სასაქონლო/ფინანსური ოპერაციის ფარგლებში საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრება უზრუნველყოფს“.

¹⁵¹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N38/2818-18, 2018 წლის 30 ნოემბერი.

გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად. აღნიშნული ასევე დაკავშირებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან, ვინაიდან მხოლოდ კონკრეტული ფაქტის საფუძველზე პირთა ერთმანეთის ცრუმაგიერად ცნობამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაუცველ მდგომარეობაში ყოფნა, მისი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების უკანონო ხელყოფა“.¹⁵²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცრუმაგიერობის საკითხის განხილვის დროს აუცილებელია კერძო და საჯარო ინტერესს შორის ბალანსის დაცვა, რომ ერთის მხრივ საფრთხე არ შეექმნას საქართველოს კონსტიტუციის იმპერატიული დანაწესის შესრულებას გადასახადებისა და მოსაკრებლების სავალდებულო გადახდევინებასთან დაკავშირებით, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვა.

საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „საკუთრების უფლების კონსტიტუციური გარანტია პირველ რიგში სახელმწიფოს მიმართ მოქმედ ნეგატიურ აკრძალვას გულისხმობს (საკუთრების უფლების ნეგატიური ასპექტი). მოქალაქეს აქვს გარანტია, რომ სახელმწიფო მის კერძო საკუთრებას არ ხელყოფს და ამისთვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით სარგებლობს. ამავდროულად ეს გარანტია სახელმწიფოს ავალდებულებს მოახდინოს უფლების პოზიტიური იმპლემენტაცია კანონმდებლობაში (საკუთრების უფლების პოზიტიური ასპექტი), კონსტიტუციური სამართლებრივი წესრიგის შესაბამისად.“¹⁵³

2. დაცულ სფეროში ჩარევის პროპორციულობის საკითხი

ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩარევის დასაშვებობა არ გულისხმობს კანონმდებლის სრულ თავისუფლებას და ამოვარდნას კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოებიდან. „კანონმდებლის მიერ გამოხატული პოზიცია უნდა იყოს დაბალანსებული, მკაფიო, გარკვეული და არ უნდა

¹⁵² სუსგ №ზს-1462(კ-18), 2019 წლის 21 თებერვალი.

¹⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/384, 2007 წლის 2 ივლისი, II.პ.7.

იმლეოდეს თვითნებობისა და ნორმის ბოროტად, არამიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობას¹⁵⁴, თანაზომიერების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან მომდინარეობს, მისი ძირითადი დატვირთვა არის ადამიანის უფლებების შეზღუდვისას სახელმწიფოს ფარგლების განსაზღვრა, უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია, რომ არ დაირღვეს ის სამართლიანი ბალანსი, წონასწორობა, რომელიც უნდა არსებობდეს საკუთრების უფლების დაცვასა და საერთო ინტერესებს შორის. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმია. ზუსტად ამიტომ მას კონსტიტუციური კონტროლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.¹⁵⁵

სახელმწიფო ვალდებულია, დაცულ სფეროში ჩარევის დროს დაიცვას თანაზომიერების პრინციპი და მის შესაბამისად იმოქმედოს. სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს როგორც შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობა, ისე შეზღუდვის საშუალების აუცილებლობა და პროპორციულობა. სახელმწიფოს მიერ დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა განპირობებული უნდა იყოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით. კერძო საკუთრება თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების ის ქვაკუთხედი, რომელსაც ეფუძნება ეკონომიკური თავისუფლება და სამოქალაქო ბრუნვის უწყვეტობა. შესაბამისად, ის არა მხოლოდ თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების, არამედ დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების არსებობის ერთ-ერთი წინაპირობაა. ამდენად, კერძო ინტერესის სათანადო დონეზე დაცვა ერთგვარად უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების დაკმაყოფილებასაც. საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი გარანტიების სიმყარე პირდაპირპროპორციულად განაპირობებს სამართლის სუბიექტების

¹⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/1-370, 382, 390, 402, 405, 2007 წლის 18 მაისი, II-15.

¹⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/3/393,397, 2006 წლის 16 დეკემბერი.

თავისუფალ მონაწილეობას სხვადასხვა ტრანზაქციებში, რაც თავის- თავად უზრუნველყოფს ლეგიტიმური საჯარო მიზნის - სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მიღწევას.¹⁵⁶

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი ქმნის კერძო საკუთრების, როგორც ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიებს. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების დაცვა პიროვნების თავისუფალი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“.¹⁵⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას“.¹⁵⁸

ანალოგიურ სტანდარტებს ამკვიდრებს საერთო ევროპული სივრცის კანონმდებლობაც. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით განისაზღვრება, რომ „ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით მშვიდობიანად

¹⁵⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/384, 2007 წლის 2 ივლისი.

¹⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/384, 2007 წლის 2 ივლისი, II-5.

¹⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №512 2012 წლის 26 ივნისი.

სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. თუმცა ზემოხსენებული დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, მიიღოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა და მოსაკრებლების, ან ჯარიმების გადახდების უზრუნველსაყოფად.¹⁵⁹ აღნიშნული დებულება ევროპულმა სასამართლომ განმარტა საქმეზე – სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ,¹⁶⁰ რომლის 61-ე პუნქტის თანახმად, იგი მოიცავს სამ წესს: პირველი ზოგადი ხასიათის წესი, ახდენს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის პრინციპის დეკლარირებას; მეორე ეთმობა ქონების ჩამორთმევას, რაც სასამართლოს განმარტებით გარკვეული წინაპირობების არსებობაზეა დამოკიდებული; მესამე აღიარებს ზოგადი ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფოს მიერ ქონების გამოყენების კონტროლის დასაშვებობას მიზნის შესაბამისი ღონისძიებების გამოყენებით. წარმოდგენილი ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საკუთრების უფლებაში ჩარევისა ფარგლების დადგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლებაში ჩარევისას უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

- საზოგადოებრივი საჭიროება, რომელიც ემსახურება კანონიერ მიზანს;
- დაცულ სფეროში ჩარევა მხოლოდ კანონით განსაზღვრული ფორმით და პროცედურების შესაბამისად;
- საკუთრების ჩამორთმევა საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით.¹⁶¹

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საკუთრების უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურობდეს კანონიერ მიზანს და დაფუძნებული უნდა იყოს კანონზე, კანონი კი უნდა იყოს ნათელი და

¹⁵⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (04. ნოემბერი, 1950წ. რომი) პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

¹⁶⁰ იხ. Case of Sporrang & Lonroth VS Sweden, 23 September 1982.

¹⁶¹ იხ. სუსგ №8-845(კ-19) 2020 წლის 01 ოქტომბერი.

არაორაზროვანი. საკუთრების უფლების განხილვასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურა უნდა იყოს სამართლიანი და კანონიერი. სახელმწიფოს არ აქვს თვითნებობის უფლება. საკუთრების უფლებაში ჩარევისას, კანონთან ერთად, აუცილებელია არსებობდეს საჯარო ინტერესი – კონკრეტული პირის საკუთრების უფლებაში ჩარევა გამართლებული უნდა იყოს საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანით.¹⁶²

ტერმინ „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებასთან“ დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კონსტიტუცია არ შეიცავს მის მკაცრ დეფინიციას. ამასთან, მისი შინაარსი ცვალებადია სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გავლენით და სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით ახდენს კანონმდებელიც მის დეფინირებას. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ აპრიორი არ გულისხმობს მთლიანი საზოგადოების საჭიროებას, არამედ შესაძლოა გულისხმობდეს საზოგადოების გარკვეული წრისთვის არსებულ აუცილებლობას.¹⁶³

ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო ლეგიტიმური მიზნის არსებობა, თავისთავადად, არ არის საკმარისი უფლებამემზღვეველი რეგულაციის კონსტიტუციურად მიჩნევისათვის, არამედ აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს გამოსადეგობის მოთხოვნასაც“.¹⁶⁴ „თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნაა, რომ არსებობდეს ლოგიკური კავშირი გამოყენებულ უფლებამემზღვეველ ღონისძიებასა და იმ ლეგიტიმურ საჯარო მიზანს შორის, რომელსაც ამ ღონისძიების გამოყენება ემსახურებოდა. აუცილებელია, სადავოდ გამხდარი რეგულაციით შესაძლებელი იყოს ლეგიტიმური მიზნების რეალიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ უფლებაში ჩარევის ღონისძიება არ არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალება, რაც გამოიწვევს ამ

¹⁶² საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საკუთრების უფლება საქართველოში, 2007, 9.

¹⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/1-370, 382, 390, 402, 405, 2007 წლის 18 მაისი, II-15.

¹⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/2/1475, 2020 წლის 12 ნოემბერი.

ღონისძიების მიჩნევას აღნიშნული უფლების გაუმართლებელ, თვითნებურ შეზღუდვად.¹⁶⁵

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკანონმდებლო რეგულაციების და სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, ასევე საკუთრების უფლების კონსტრუქციურ-სამართლებრივი მნიშვნელობის და საჯარო მმართველობის პირობებში ინტერესთა ბალანსის აუცილებლობის გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ აუცილებელია ცრუმაგიერ პირად აღიარების კონკრეტული, განსაზღვრადი მექანიზმის არსებობა. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანია სამართლის განსაზღვრადობის პრინციპის რეალიზაციის და ერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით.

მოქმედი კანონმდებლობა არ მიუთითებს კონკრეტულ გარემოებებზე, რომელთა ერთობლიობა ქმნის ცრუმაგიერ პირებად აღიარების საფუძველს. თუმცა საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმებისა და დადგენილი სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებისათვის სახეზე უნდა იყოს კუმულატიურად შემდეგი გარემოებები:

- არსებული ან მოსალოდნელი საგადასახადო დავალიანება;
- კონკრეტული პირის მეშვეობით გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდება;
- სუბიექტური მხარე - ორი ან მეტი სუბიექტს საერთო განზრახვა მართლსაწინააღმდეგო შეთანხმებით საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით;
- განრიდების დადასტურებული ფაქტი;
- გარიგების მოჩვენებითი ხასიათი - სუბიექტთა შორის ქონების გადაცემა შემხვედრი დაკმაყოფილების გარეშე.

¹⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/2/1475, 2020 წლის 12 ნოემბერი.

- სამეწარმეო სუბიექტების ან ფიზიკური პირების ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის მათი პასუხისმგებლობის ფარგლების მკაფიოდ გამიჯვნა;
- თანაზომიერების პრინციპის დაცვა - სიკეთე, რომლის მიღწევასაც ემსახურება ცრუმაგიერი მფლობელობის დადგენა, არ აღემატებოდეს კერძო პირის შებლადული უფლების დაცვის ინტერესს;
- კონსტიტუციით დებულებების კოლიზიის დაუშვებლობა (საკუთრების უფლების და გადასახადების გადახდის სავალდებულობის კონკურენციის საკითხი).

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია (24/08/1995);
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (17/09/2010);
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (04 ნოემბერი, 1950 წ., რომი) და მისი პირველი დამატებითი ოქმი (20 მარტი, 1952 წ., პარიზი);
4. სუსგ Nზს-845(კ-19), 2020 წლის 01 ოქტომბერი;
5. სუსგ Nზს-1462(კ-18), 2019 წლის 21 თებერვალი;
6. სუსგ Nზს-1378(კ-18), 2019 წლის 22 იანვარი;
7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/ზ-246-19წ., 2019 წლის, 02 აგვისტო;
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3ზ/2818-18, 2018 წლის 30 ნოემბერი;
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/2/1475, 2020 წლის 12 ნოემბერი (შპს „ბექანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“);
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №512 2012 წლის 26 ივნისი (დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ);
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/384, 2007 წლის 2 ივლისი, (საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), II-5;
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/1-370,382,390, 402,405, 2007 წლის 18 მაისი, („საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), II-15;

13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/3/393,397, 2006 წლის 16 დეკემბერი (საქართველოს მოქალაქეები-ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ);
14. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საკუთრების უფლება საქართველოში, 2007;
15. Case Sporrong & Lonnroth VS Sweden, 23 September 1982;

ქრისტიანე უბილავა - თანამედროვე კორპორაციული მართვის მსოფლიო ტენდენციები *

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება - თანამედროვე კორპორაციული მართვის მსოფლიო ტენდენციებს. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ტექნიკურმა პროგრესმა განსაკუთრებით შეუწყო ხელი გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებას, რომლის ერთ-ერთი შედეგიც საერთაშორისო დონეზე სამეწარმეო ურთიერთობათა განვითარება და ბიზნესისათვის ე.წ. „ნაციონალიზმის ჩარჩოების“ თანდათანობითი ჩამოშორებაა. სამეწარმეო სუბიექტებისათვის კი, კომერციული ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, წლების განმავლობაში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა ამ ურთიერთობების რეგულირების სათანადო, ეფექტიანი რეჟიმის არსებობა, რაც ხელს შეუწყობდა ურთიერთობათა ეფექტურობის გაზრდას, ფორმალური პროცედურების თანდათანობით აღმოფხვრას და კონკრეტული სამართალურ-თიერთობის მხარეებისათვის მინიმალური დროის მონაკვეთში სასურველი მიზნის მიღწევას.

სტატიაში მთავარი ყურადღება დათმობილია კორპორაციული მართვის მოდელების არსისა და დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიმოხილვაზე, ვინაიდან ეფექტიანი და ბენეფიტური მართვის მოდელი წარმოადგენს საკორპორაციო სამართლებრივ ურთიერთობებში წარმატების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს.

სტატიის შესწავლის საგანს წარმოადგენს თანამედროვე პერიოდში დაგროვილი კორპორაციული მართვის მოდელების ანალიზი, რომლებიც წარმატების მომტანია სხვადასხვა ქვეყნის კორპორაციული სამართლებრივი მიმართულებით. დროთა განმავლობაში იხვეწება ურთიერთობები, ყალიბდება კორპორატიული კულტურა და მუშავდება სამართლებრივი რეგულირების წესები.

* ქრისტიანე უბილავა - ჩარლზის უნივერსიტეტის (ჩეხეთი) სამართლის და ბიზნესის სკოლის სამართლის მაგისტრი.

ნაშრომის კვლევის მიზანია საწარმოებისათვის კორპორატიული მართვის მოდელების შესწავლა, თითოეული სისტემისთვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისებების წარმოჩენა. კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მეცნიერთა შორის დღემდე დავის საგნად აღქმული საკითხის ანალიზი, კერძოდ, კომპანიის მართვის რომელ სისტემას უნდა მიენიჭოს უპირატესობა - ერთსაფეხურიანს, ორსაფეხურიანს თუ შერეული მართვის მოდელს, თუ ვინ უნდა განახორციელოს კონტროლი მართვის ორგანოებზე და უნდა ერთვებოდეს თუ არა აქციონერთა საერთო კრება უშუალოდ კომპანიის მართვის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: კორპორაცია, მოდელი, სისტემა, ორგანო.

Abstract

This article addresses an important corporate legal issue such as the global trends in modern corporate governance. Since the second half of the twentieth century, technical progress has especially helped to accelerate the process of globalization, one of the results of which has been the development of entrepreneurial relations at the international level and the so-called There is a gradual removal of the "framework of nationalism". For business entities, with the development of commercial relations, it became more and more important over the years to have a proper, effective regime to regulate these relations, which would help increase the efficiency of the relationship, gradually eliminate formal procedures and achieve a minimum time for specific parties.

The article focuses on reviewing the essence and characteristics of corporate governance models, as an effective and beneficial management model is one of the most important tools for success in corporate legal relationships.

The subject of the article is the analysis of corporate governance models accumulated in the modern period, which are successful in the field of corporate law in different countries. Over time, relationships improve, corporate culture develops, and rules of legal regulation are developed.

The purpose of this paper is to study the corporate governance models for enterprises, to show the positive and negative characteristics of each system.

The main task of the research is to analyze the issue perceived as a subject of dispute among scientists, in particular, which company management system should be preferred - one-tier, two-tier, or mixed management model, who should exercise control over governing bodies and whether the general meeting of shareholders should be directly involved in the company.

Keywords: corporation, model, system, body.

შესავალი

კორპორაციული მართვის მიზანია შეინარჩუნოს ბალანსი ეკონომიკურ და სოციალურ, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. კორპორაციული მართვის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს რესურსების ეფექტური მართვა და ანგარიშვალდებულება მართვის პროცესში.¹⁶⁶ კორპორაციული მართვა ყველა განვითარებულ მართლწესრიგის სისტემის მიერ არის მოწესრიგებული, თუმცა მიუხედავად ამისა ამ ტერმინის ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს. როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ კორპორაციული მართვის პრინციპებში არის ნათქვამი, კორპორაციული მართვა უზრუნველყოფს კომპანიის სტრატეგიულ მართვას და ეფექტურ მონიტორინგს.¹⁶⁷ ყველა ქვეყანა თავისებურად განსაზღვრავს მის შინაარსს. ერთ-ერთი განმარტებით, ეს არის სისტემა რომელიც გამოიყენება კომპანიის მართვისა და კონტროლისთვის. კარგი კორპორაციული მართვა ხელს უწყობს კორპორაციის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, უზრუნველყოფს შესაბამისობას ადგილობრივ კანონმდებლობასთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, უზრუნველყოფს კარგ დაგეგმვასა და შიდა აუდიტის სისტემებს, ოპტიმიზებულ დანახარჯებს და ადეკვატურ საკადრო პოლიტიკას.¹⁶⁸

კორპორაციული მართვის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ მიუხედავად სამართლის სისტემებს შორის არსებული აშკარა განსხვავებებისა, როგორც არსებობს, მაგალითად, კონტინენტური და

¹⁶⁶ Smerdon R., A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 3.

¹⁶⁷ ეთგო-ს კორპორაციული მართვის პრინციპები, 2015, მუხლი 6.

¹⁶⁸ ეთგო-ს კორპორაციული მართვის პრინციპები, 2015, 71-72.

საერთო სამართლის სისტემებს შორის, ექვგარეშეა სამეწარმეო ურთიერთობათა უნიფიცირების ტენდენცია, რაც საკორპორაციო სამართალსა და კორპორაციულ მართვას ორივე სამართლის სისტემის ქვეყნებისა და მათი რეზიდენტი კომპანიებისათვის თანაბარმნიშვნელოვნად აქტუალურს ხდის. საკითხის აქტუალობა საკმაოდ დიდია საერთაშორის მასშტაბზეც, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 40 ქვეყანამ შექმნა ახალი კორპორაციული მართვის სისტემა და მიღებული იქნა 100 ზე მეტი კორპორაციული მართვის კოდექსი.¹⁶⁹

შესაბამისად, მიუხედავად სამეწარმეო სუბიექტებისა და კომერციული ურთიერთობების უნიფიკაციის ზემოაღნიშნული ტენდენციისა, კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე შექმნილი კომპანიებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი განსხვავდება იმ მართლწესრიგის მიხედვით, რომელთაც ეს კომპანიები მიეკუთვნება. შესაბამისად, საინტერესოა სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახისათვის დამახასიათებელი საკანონმდებლო და პრაქტიკული საკითხების შედარება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ თავდაპირველად შემუშავდა გერმანული მოდელის მიხედვით, ხოლო მოგვიანებით განხორციელდა რიგი ცვლილებები და დამატებები, რომელთაგან ზოგიერთი საერთო სამართლისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა. ამასთან, მოცემული საკითხის კვლევა მით უფრო საინტერესოა იმ ფონზე, რომ 2022 წლის იანვრიდან ძალაში შედის ახალი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, საინტერესოა აღნიშნული კანონისა და მისი ცვლილებების ეფექტურობის კვლევა კორპორაციულ მართვის თეორიულ საკითხებთან და დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკასთან შედარების საფუძველზე.

ზოგადად, კორპორაციული მართვის მიზნად პარტნიორების/აქციონერებისა და კომპანიის მენეჯმენტის/დირექტორების ინტერესთა ბალანსის უზრუნველყოფა, მიიჩნევა, მაგრამ ეს განმარტება დღეს

¹⁶⁹ Enriques L., Volpin P., Corporate Governance Reforms in Continental Europe, Journal of Economic Perspectives, Volume 21, Number 1, 2007, 117–140.

ზედმეტად პრიმიტიულად ითვლება, რადგან კომპანიის ყოველდღიური ფუნქციონირება არ მოიცავს ურთიერთობებს მხოლოდ მენეჯერებსა და აქციონერებს შორის, არამედ მასში ჩართულნი არიან კომპანიის დასაქმებულები, მიმწოდებლები, ინვესტორები და თვით სახელმწიფოც; მის ხასიათს კი სამართლებრივი, ინსტიტუციური და ეთიკური გარემოებები განსაზღვრავს. შესაბამისად, კორპორაციული მართვა ურთიერთობათა ფართო სპექტრს მოიცავს და მისი მნიშვნელობაც სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული.

ნაშრომის მიზანია კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების მეტ-ნაკლებად ამომწურავი განხილვა, რაც მოიცავს კორპორაციული მართვის ცნებას, მნიშვნელობას, მიზანს, მართვის არსებულ მოდელებს და მართვის ორგანოებს შორის ფუნქციების განაწილებას, აგრეთვე უფლებამოსილებათა განაწილებასთან დაკავშირებულ ისეთ პრობლემურ საკითხებს, როგორცაა ეფექტური კონტროლი და სამართლიანი ანაზღაურება.

ნაშრომში ძირითადად გამოყენებული იქნება ლოგიკურ-თეორიული ანალიზისა და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. ლოგიკურ-თეორიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით განხილული იქნება კორპორაციული მართვის ზოგადი საკითხები, როგორცაა ცნება, მიზანი და მნიშვნელობა, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, მათი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ხოლო შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით განხილული იქნება სხვადასხვა სამართლის სისტემის ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები და პრაქტიკა.

1. კორპორაციული მართვის განსაზღვრება

„კორპორაციული მართვა“ მსოფლიო სამართლებრივ სივრცეში ახლად დამკვიდრებული ტერმინია.¹⁷⁰ McKinsey- ის 2002 წლის კვლევის მიხედვით, გამოკითხულ ინვესტორთა 45 % მა აღნიშნა, რომ ის ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს

¹⁷⁰ ჰოპკინსი კ., კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და რბილი სამართალი, 2005, 17.

კორპორაციულ მართვას.¹⁷¹ ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორის ანდრეი შლეიფერის და ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის რობერტ ვიშნის საერთო განმარტებით, „კორპორაციული მართვა“ – არის სისტემა, რომელიც იკვლევს იმ გზებს რომლის მეშვეობითაც კორპორაციის ინვესტორები იქმნიან გარანტიებს, რომ მათი ინვესტიციის შედეგად ისინი მიიღებენ მოგებას.¹⁷² აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, ევროპის ფასიანი ქაღალდების დილერთა ასოციაციის მიერ მიღებულ კორპორაციული მართვის პრინციპებსა და რეკომენდაციებში ნათქვამია, რომ კორპორაციული მართვის ამოსავალი წერტილია კორპორაციის აქციონერთა წინაშე პასუხისმგებლობის ფორმების დადგენა, რამეთუ აღმასრულებელი ორგანო არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ყველა დაინტერესებული პირის წინაშე – თანამშრომლები, კლიენტები, კრედიტორები და ა.შ.¹⁷³ არ არსებობს კორპორაციული მართვის ერთმნიშვნელოვანი განმარტება, რომლის გამოყენებაც შეიძლება ყველა სიტუაციასა და იურისდიქციაში. დღეს არსებული სხვადასხვა განმარტება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინსტიტუტზე ან ავტორზე, ისევე როგორც ქვეყანასა და სამართლებრივ ტრადიციაზე.¹⁷⁴

მიუხედავად არაერთგვაროვანი განმარტებებისა და აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც შესაძლებელია კორპორაციული მართვის ტერმინის შიგნით არსებითი ელემენტების გამოყოფა, კონკრეტულად კი: ხელმძღვანელობა და კონტროლი. ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებაა და კორპორაციული მართვის უცვლელ ელემენტებს წარმოადგენენ, რომლის მეშვეობითაც ხდება კორპორაციის შიგნით სხვადასხვა ორგანოებსა და დაინტერესებულ პირებს შორის ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირება და ურთიერთობის მოწესრიგება. აღსანიშნავია, რომ კორპორაციული მართვის სრულყოფის, მართვის მინიმალური სტანდარტების დაწესებისა და

¹⁷¹ კარუნა დ., შედარებითი საკორპორაციო სამართალი: ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, 48.

¹⁷² Goergen M., What do we know about different systems of corporate governance?, 2007, 1.

¹⁷³ EASD – Corporate Governance – Principles and Recommendations, 2001.

¹⁷⁴ Ramsay I. M., Corporate Governance and Duties of Corporate Directors, Centre For Corporate Law and Securities Regulation, Faculty of Law, the University of Melbourne, 1997, 28.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის მოქმედი საკორპორაციო სამართლის ჰარმონიზაციისთვის ხელის შეწყობის მიზნით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD - ეთგო) მიერ 1999 წელს მიღებულ იქნა კორპორაციული მართვის პრინციპები, რომელიც რედაქციულად 2004 წელს განახლდა.¹⁷⁵

შესაბამისად, კორპორაციული მართვის ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს. კორპორაციული მართვა დაკავშირებულია იმგვარ ფუნდამენტურ საკითხებთან, როგორსაც წარმოადგენს კომპანიის კარგი საქმიანი რეპუტაცია ბაზარზე (ე.წ. „გუდვილი“), კომპანიის ეფექტური ფუნქციონირება, ინვესტორთა და ზოგადად, გარე კაპიტალის მოზიდვა.¹⁷⁶

2. კორპორაციული მართვის სისტემების ისტორიული ანალიზი

კორპორაციული მართვის სისტემა ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ კორპორაციული მართვის განვითარება ხორციელდებოდა კორპორაციული კრახის ან/და სისტემური კრიზისის საპასუხოდ. პირველი, დოკუმენტურად სათანადოდ ასახული კრახი დაფიქსირდა 100-იან წლებში ინგლისში, რომელიც ცნობილი იყო როგორც „სამხრეთის ზღვის ბუმტი“. ამან რევოლუციური ზეგავლენა მოახდინა ამ ქვეყნის ბიზნესის კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. ანალოგიურად, ამერიკის შეერთებული შტატების ფასიანი ქაღალდების კანონის დიდი ნაწილის შემუშავება მოჰყვა 1929 წელს საფონდო ბირჟის კრახს. კრიზისის ნაკლებობა არც შემდგომ წლებში ყოფილა - აღსანიშნავია XX საუკუნის 70-იანი წლების მეორადი საბანკო კრიზისი დიდ ბრიტანეთში, 80-იან წლებში დანაზოგებისა და საკრედიტო კრახი აშშ-ში და 1998 წლის ფინანსური კრიზისი რუსეთში. კორპორაციული მართვის ისტორია მოიცავს ცნობილი კომპანიების ფინანსური სკანდალების სერიას. მისი მაგალითებია გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში „მაქსველ ჯგუფის“ მიერ გაზეთების გამომცემელი

¹⁷⁵ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საკონსულტაციო პროგრამა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, 2010, 10.

¹⁷⁶ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა "სამართალი", 2006, 25.

„მირორ ჯგუფის“ საპენსიო ფონდის მითვისება; „ბერინგს ბანკის“ კოლაფსი. კორპორაციული მართვის მნიშვნელობა და მისი სრულყოფისა და დახვეწის გზების ძიება განსაკუთრებით აქტუალური გახდა გასული ათწლეულის დასაწყისში, როდესაც აშშ-დან აგორებული კრიზისი თითქმის მთელ მსოფლიოზე აისახა.¹⁷⁷

XXI საუკუნე დაიწყო ენრონის შოკისმომგვრელი კრახით აშშ-ში, საფრანგეთში გაკოტრების პირას მივიდა „ვივენდი უნივერსალი“, აღსანიშნავია იტალიაში მომხდარი ბოლოდროინდელი „პარმალატის“ სკანდალი. თითოეულ ამ კორპორაციულ სკანდალს, რომელიც არაკომპეტენტურობის ან თაღლითობის გამო მოხდა, შედეგად მოჰყვა მართვის ახალი სისტემების შემუშავება, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული კორპორაციული მართვის კოდექსები და სარბენს-ოქსლის აქტი. მასშტაბის მიხედვით კოდექსების ნაკრები საერთაშორისოა. ზემოაღნიშნულიდან მხოლოდ ეთგო-ეს პრინციპები ეხება როგორც პოლიტიკის შემუშავებლებს, ისე ბიზნესს და ფოკუსირებულია მმართველობის მთლიან სისტემაზე (აქციონერთა უფლებები, დაკავშირებული მხარეები, ინფორმაციის გამჟღავნება და საბჭოს პრაქტიკა). ეთგო-ს პრინციპებმა, როგორც კორპორაციული მართვის სისტემამ და სახელმძღვანელომ, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 1999 წელს გამოქვეყნებული და 2004 წელს გადამუშავებული პრინციპები მომზადდა სანიმუშო მართვის პრინციპებზე დამყარებული მითითებების სახით. ეთგო-ს კორპორაციული მართვის სისტემა ემყარება ოთხ ძირითად ღირებულებას, როგორცაა: სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება. მართვის ბევრი ეროვნული კოდექსი, მათ შორის საქართველოს კორპორაციული მართვის კოდექსი, შემუშავდა ეთგო-ს პრინციპების საფუძველზე. ეთგო-ს პრინციპები ასრულებს შესანიშნავი სახელმძღვანელოს როლს საერთაშორისო პრაქტიკისთვის და რეკომენდებული საკითხავია მათთვის, ვინც დაინტერესებულია იმ პრინციპების შესწავლაში, რომელიც საფუძვლად უდევს ეროვნულ სტანდარტებს.

¹⁷⁷ Hamilton R.W., Corporation's Law, St. Paul, „West Group“, 2000, 446.

3. კორპორაციული მართვის მოდელების ზოგადი მიმოხილვა

ისტორიულად კორპორაციის მართველ ორგანოთა სამართლებრივი რეგულირების საკითხში ევროპა და საერთო სამართალი სხვადასხვა გზით წავიდნენ. ევროპამ აირჩია საკანონმდებლო რეგულირების გზა, ხოლო საერთო სამართალი ნაკლებად ერეოდა შიდა კორპორაციულ ურთიერთობებში, საერთო სამართალში დღემდე ამ ურთიერთობების იმპერატიული სახელმწიფო მოწესრიგება უარყოფითად ფასდება.¹⁷⁸

თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში კორპორაციული მართვის სხვადასხვა მეთოდები არის ჩამოყალიბებული. მათ შორის ძირითადი განსხვავებები ეფუძნება ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციებს შორის ურთიერთმიმართებას და მათ გადანაწილებას სხვადასხვა ორგანოებს შორის.¹⁷⁹ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია საერთო სამართლისა და კონტინენტურ ევროპული სამართლის სისტემები. ფრანკფურტისა და ლონდონის საფონდო ბირჟებზე განთავსებული უმსხვილესი კორპორაციების ფინანსური მოღვაწეობა ბოლო 400 წლის მანძილზე მკვეთრად ადასტურებს, რომ ორივე სისტემა წარმატებულად ფუნქციონირებს.¹⁸⁰ კორპორაციული მართვის სხვადასხვა სისტემას განასხვავებენ, რომელიც ფაქტობრივად, სხვადასხვა ეკონომიკური თუ სამართლებრივი გარემოს ერთგვარი გამოძახილია. ერთმანეთისგან განსხვავდება მართვის მონისტური ანუ ერთსაფეხურიანი, უნიტარული და მართვის დუალისტური ანუ ორსაფეხურიანი მმართველობა, რომლებთან მეტნაკლებად შესაბამისობაში მოდის საკანონმდებლო და თვითრეგულირებადი მოდელების სახეები, თუმცა მათ შორის არსობრივი სხვაობა მაინც შენარჩუნებულია. ამასთან, ერთმანეთთან არ უნდა გაიგივდეს კორპორაციული მართვა და მენეჯერიალისტური ურთიერთობა კორპორაციაში. კორპორაციული მართვა ორიენტირებულია კომპანიის სტრუქტურისა და პროცესების გამჭვირვალე, სამართლიან და ანგარიშვალდებულ კორპორაციულ ქმედებათა უზრუნველსაყოფად.

¹⁷⁸ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა "სამართალი", 2006, 107-109.

¹⁷⁹ Hansmann H., Kraakman R., What is Corporate Law? Yale Law School, Center for Law, Economics and Public Policy Research Paper No. 300, 2004, 11.

¹⁸⁰ Jungmann C., The Effectiveness of Corporate Governance in One-tier and Two-tier Board Systems, 2006, 426.

მის საპირწონედ, მენეჯერიალიზმი მიმართულია სამეწარმეო საქმიანობის ყოველდღიური ფუნქციონირების გაძლიერებისკენ. კორპორაციული მართვა კომპანიის ისეთი ტიპის ხელმძღვანელობას მოიცავს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების აქციონერთა ინტერესების ფარგლებში მართვას.

4. ერთსაფეხურიანი კორპორატიული მართვის მოდელი

ერთსაფეხურიანი, იგივე უნიტარული, მონისტური, ანგლო-ამერიკული მოდელი კანონმდებლობით გათვალისწინებული მართვის ორი ორგანოს სახით გამოირჩევა - ეს არის აქციონერთა საერთო კრება (shareholders' meeting), რომელიც კომპანიის მართვის ძირითადი ორგანოა და დირექცია (board of directors) აქციონერთა საერთო კრების მიერ დაკომპლექტებული დირექტორთა საბჭო.¹⁸¹ ერთსაფეხურიანი სისტემის ყველაზე ნათელი მაგალითი არის დიდი ბრიტანეთის და აშშ-ს საკორპორაციო სამართალი. ამ სისტემის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში რომ ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციები თავმოყრილია ერთი ორგანოს ხელში. კორპორაციების მართვის ერთსაფეხურიანი სისტემისათვის დამახასიათებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული მართვის ორი ორგანო - პარტნიორთა/ აქციონერთა საერთო კრება (Share holder's meeting) და მის მიერ დაკომპლექტებული ბორდი ანუ დირექტორთა საბჭო (Bord of directors). კორპორაციის უშუალო მართვას ახორციელებს ბორდი, რომელიც ასევე ითავსებს, კონტინენტური ევროპის კანონმდებლობით, სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციასაც. შესაბამისად, მოცემული მოდელი წარმოადგენს ორრგოლიან სისტემას აქციონერთა საერთო კრებისა და დირექტორთა საბჭოს სახით.

ბორდის შემადგენლობაში თავის მხრივ გამოიყოფა ორი ტიპის დირექტორები, ესენია - შიდა დირექტორები და მოწვეული დირექტორები, რომლებიც არ არიან კორპორაციის თანამშრომლები (Inside directors, Outside directors).¹⁸² დიდ ბრიტანეთში მას მოიხსენიებენ

¹⁸¹ Hopt K., Leyens P., "Board Models in Europe", Working Paper N°18, 2004, 11.

¹⁸² ჭანტურია ლ., კორპორატიული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა "სამართალი", 2006, 115.

როგორც აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს (Executive and Non-executive directors).¹⁸³ შიდა დირექტორები თავიდან ბოლომდე ჩართულები არიან კორპორაციის ყოველდღიურ მართვაში და ამავე დროს არიან ფინანსურად დამოკიდებულნი კორპორაციაზე, ისინი არიან კორპორაციის თანამშრომლები რომელსაც ხელფასს უხდის კორპორაცია. რის გამოც ისინი ვალდებულნი არიან მთელი დრო მიუძღვნან კორპორაციას.¹⁸⁴ ხოლო გარე დირექტორები წარმოადგენენ მოწვეულ პირებს, რომლებიც კორპორაციასთან ფინანსურ დამოკიდებულებაში არ იმყოფებიან.

არააღმასრულებელი დირექტორები არ მიიჩნევიან კორპორაციის თანამშრომლებად და დაკავებულნი არიან კორპორაციის ძირითადი სტრატეგიისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მონიტორინგით.¹⁸⁵ ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსის მიხედვით არააღმასრულებელი დირექტორების მთავარი ფუნქციაა დეტალურად გააკონტროლოს აღმასრულებელ დირექტორთა მოქმედებები, შეაფასოს რისკები და მონიტორინგი გაუწიოს ყოველდღიურ მენეჯმენტს, ამავე დროს ისინი წყვეტენ აღმასრულებელ დირექტორთა სათანადო ანაზღაურების საკითხს და აგრეთვე აქვთ გადაამწყვეტი მნიშვნელობა აღმასრულებელ დირექტორთა დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხში.¹⁸⁶ დიდ ბრიტანეთში მიმდინარეობდა მსჯელობები არააღმასრულებელ დირექტორთა ზუსტ ფუნქციებზე, კონკრეტულად კი იმაზე თუ რით განსხვავდება აღმასრულებელი და არააღმასრულებელი დირექტორების საქმიანობა? ბრიტანეთის კორპორაციული მართვის გაერთიანებული კოდექსი ამბობს, რომ არა აღმასრულებელი დირექტორები კონსტრუქციულად უნდა ეკამათონ აღმასრულებელ დირექტორებს და დაეხმარონ მათ ხელსაყრელი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში. მათ გულდასმით უნდა გააკრიტიკონ მენეჯმენტის მოქმედებები და მონიტორინგი გაუწიონ მას.¹⁸⁷ საბოლოოდ შეგვიძლია გამოვყოთ

¹⁸³ UK Combined Code of Corporate Governance, Sec A., 2016, 7.

¹⁸⁴ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა "სამართალი", 2006, 117.

¹⁸⁵ Jungmann C., "The Effectiveness of Corporate Governance in One-tier and Two-tier Board Systems", 2006, 436.

¹⁸⁶ UK Combined Code of Corporate Governance, art. B.2.1 D.2.1., 2016, 7.

¹⁸⁷ UK Combined Code of Corporate Governance, art., A.1. 2016.

არააღმასრულებელ დირექტორთა ორი ძირითადი ფუნქცია კორპორაციებში, ესენია: აღმასრულებელი დირექტორების კონტროლი და ამავე დროს კორპორაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღება და დახმარება.

დირექტორებს კორპორაციის წინაშე ეკისრებათ ფიდუციური მოვალეობები, რომელთაგან უმთავრეს წარმოადგენს ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობა.¹⁸⁸ ზრუნვის მოვალეობა მოიცავს დათქმას, რომლის მიხედვით დირექტორმა ნაკისრი უფლებამოსილებები და ვალდებულებები უნდა შეასრულოს გონიერი ადამიანის სტანდარტის შესაბამისად. აღნიშნული კი გულისხმობს იმგვარი ზრუნვის განხორციელებას, როგორსაც ადგილი ექნებოდა მის პირობებში მყოფი სალად მოაზროვნე პირის ადგილას. თავის მხრივ, გონიერი ადამიანის სტანდარტი მოიცავს ორ კრიტერიუმს, როგორცაა: სუბიექტური და ობიექტური კომპონენტი. სუბიექტურ კომპონენტში მოიაზრება შინაგანი რწმენა ზრუნვითი ქმედების განხორციელებაზე, ხოლო ობიექტური კომპონენტი თავის მხრივ, მოიაზრებს იდენტურ გარემოებებსა და ვითარებას, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს დირექტორი და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

5. ორსაფეხურიანი კორპორაციული მართვის მოდელი

კორპორაციული მართვის ორსაფეხურიანი მოდელი (two-tier system), რომელსაც სხვანაირად დუალისტურ მოდელსაც უწოდებენ, ძირითადად კონტინენტური სამართლის მქონე ქვეყნებში აღმოცენდა და განვითარდა. განსაკუთრებით, აღნიშნული მოდელი გერმანული კანონმდებლობიდან იღებს სათავეს.¹⁸⁹ შესაბამისად, (გერმანული მოდელი) - მოიცავს აქციონერთა საერთო კრებას, დირექციას (გამგეობას - der Vorstand) და სამეთვალყურეო საბჭოს (der Aufsichtsrat). კორპორაციული მართვის სამრგოლიანი სისტემა მიჯნავს კომპანიის მართვისა და კონტროლის ფუნქციებს სრულიად დამოუკიდებელი მართვის ორგანოების - დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო

¹⁸⁸ Соколов В., Акт Сарбайнса – Оксли//Юрист и бухгалтер, N 12, 2003, 56.

¹⁸⁹ ადამია ნ., სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა, ერთ და ორდონიანი სამეთვალყურეო საბჭო, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2010, 38.

საბჭოს მეშვეობით. მოცემულ ორგანოებს შორის არ არსებობს იერარქიული ურთიერთდაქვემდებარე, ისინი თანასწორუფლებიან ორგანოებად მიიჩნევიან და შესაბამისად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ მათთვის კანონით ან წესდებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს. დირექტორთა საბჭო ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების წინაშე. სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქცია კი უმთავრესად გამოიხატება დირექტორთა საბჭოს კონტროლში. ამ ორ ორგანოს მკვეთრად განსხვავებული უფლებამოსილება აქვს და მათი შემადგენლობა არ შეიძლება იყოს შერეული - ანუ, აღმასრულებელი საბჭოს წევრები არ უნდა იყვნენ წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოში და პირიქით. ორსაფეხურიანი სისტემის უპირატესობა კონტროლის მკაფიო მექანიზმია, მაგრამ მას ხშირად აკრიტიკებენ გადაწყვეტილების მიღების არასაკმარისი შესაძლებლობის გამო. კორპორაციული მართვის აღნიშნული მოდელი გამოიყენებოდა საქართველოშიც ჰიბრიდულ სისტემაზე გადასვლამდე.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, დირექტორატი წარმოადგენს იმ წესების ერთობლიობას, რომლებიც ეხმარებიან მმართველ ორგანოებს კომპანიის საუკეთესო ინტერესების აღსრულება-განხორციელებაში.¹⁹⁰ გერმანიის ფედერალური სასმართლო (BGH-Der Bundesgerichtshof) გადაწყვეტილებაში ტერმინის “კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით” გამოყენებით მხარს უჭერს ე.წ. Stakeholder Theory –ის ანუ კორპორაციული მართვის მოდელს, რაც გულისხმობს კომპანიის მართვის პროცესში ისეთი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებას, როგორებიც არიან დასაქმებულები, კრედიტორები, მიმწოდებლები, ასევე საჯარო ინტერესი და ა.შ.¹⁹¹ დირექტორთა ვალდებულება არ მოიცავს მხოლოდ აქციონერთა ინტერესების შესაბამის მოქმედებას. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, არსებობს Shareholder Theory, რომლის თანახმადაც დირექტორატი ვალდებულია მოქმედებდეს აქციონერთა

¹⁹⁰ ადამია ნ., სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა, ერთ და ორდონიანი სამეთვალყურეო საბჭო, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2010, 41.

¹⁹¹ Allen W., Modern Corporate Governance and the Erosion of the Business Judgment Rule in Delaware Corporate Law, , Comparative research in Law and Political Economy, 2008, 16.

საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. აშშ Shareholder Theory-ის მიმდევარია, გერმანია კი Stakeholder Theory-ს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო ბრიტანეთი კი ცდილობს ოქროს შუალედის მიგნებას აღნიშნულ ორ თეორიას შორის. გერმანიაში მოქმედი სისტემის თანახმად, აქციონერების მხრიდან კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება დელეგირებულია დირექტორატზე, ხოლო მისი საქმიანობის კონტროლი კი - სამეთვალყურეო საბჭოზე. ფუნქციათა ამგვარი გადანაწილება ამ ორ ორგანოს შორის, რომელთა არსებობაც სავალდებულოა, ას წელზე მეტს ითვლის და არასოდეს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ გერმანიაში საკორპორციო სამართლის რეფორმირებისას.¹⁹² უფრო მეტიც, შედარებით-სამართლებრივი პერსპექტივის თვალსაზრისით იგი შეიძლება განვიხილოთ განსაკუთრებულ და სპეციალურ რეგულირებად, ვინაიდან ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში, ასევე შვეიცარიასა და სხვა მრავალ ქვეყანაში, არსებობს მხოლოდ ერთი ორგანო, ბორდი(საბჭო), რომელიც ახორციელებს მართვასაც და კონტროლსაც. ასევე საყოველთაოდ ცნობილია, რომ გაცხარებული კამათი მიმდინარეობს მსოფლიოში ამ ორი მოდელის დადებით და უარყოფით მხარეებზე.¹⁹³ გერმანული კორპორაციული მართვის მოდელი განეკუთვნება კლასიკურ Stakeholder მოდელს.

ორსაფეხურიანი სისტემისთვის დამახასიათებელია ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის უფრო მაღალი ხარისხი, რაც მიიღწევა მართვისა და კონტროლის ფუნქციების მკაცრი ურთიერთგამიჯვნით. კომპანიის მართვის ორსაფეხურიანი კლასიკური სისტემის პირობებში ინტერესთა კონფლიქტის დაშვება თეორიულადაც რთულია: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან აქციონერების მიერ, ხოლო დირექტორები - სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს დირექტორატის მუშაობას, რომლის წევრთა გათავისუფლება ან მათ მიერ პოზიციის შენარჩუნება პირდაპირ არის დამოკიდებული კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაზე. თუმცა, კომპანიის მართვის ორსაფეხურიანი სისტემის პირობებში ხშირად

¹⁹² Hopt K., Corporate Governance in Germany in: Capital Markets and Company Law, Oxford University Press, New York, 2003, 292.

¹⁹³ Girasa C., Corporate Governance and Finance Law, Palgrave&Macmillan, New York, 2013, 98.

საუბრობენ ე.წ. „სტრუქტურულ სისუსტეზე“, რაც ორი განცალკევებული ორგანოს, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ერთდროულად არსებობას და ფუნქციონირებას უკავშირდება. მთავარი პრობლემა ის არის, რომ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები მხოლოდ post factum ხასიათს ატარებს და შესაბამისად, შესაძლოა, ამას შედეგად მოჰყვეს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება, რაც გაართულებს კონტრაქტებთან ურთიერთობას და ეს, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება თავად კომპანიაზე. ორსაფეხურიანი სისტემის ნაკლად მიიჩნევა აგრეთვე ე.წ. „ინფორმაციული ასიმეტრია“, რადგან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ეფექტური კონტროლისათვის სრული გამჭვირვალობა აუცილებელი, რისი მიღწევაც მხოლოდ დირექტორთა საბჭოს მიერ განხორციელებული ანგარიშების მეშვეობით თითქმის შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ Enron-ის კოლაფსის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ არასრული ანგარიშების გამოქვეყნება გახდა, რაც ობიექტურად არ ასახავდა კომპანიის რეალურ მდგომარეობას და მის შიგნით მიმდინარე პროცესებს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული კორპორაციული მართვის მოდელი ნაკლებად ეფექტური და მოქნილია ამერიკულ მართვის მოდელთან შედარებით. გერმანიაში კომპანიები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ჰყავდეთ მრავალფეროვანი აქციონერები და, შესაბამისად, მიიღონ შენატანი მათგან. ბიზნესი არ განიცდის ეფექტს შერწყმად აუფლებათა შედეგად, რის გამოც, კომპანიამ, რომელიც ვერ მუშაობს ეფექტურად, შესაძლოა კვლავაც გააგრძელოს არაეფექტური საქმიანობა. ბანკების მხრიდან მნიშვნელოვანი გავლენა მენეჯმენტზე აიძულებს მათ მოხდინონ ინვესტირება უსაფრთხო ოპერაციებში და თავი შეიკავონ სარისკო ინვესტირებისაგან,¹⁹⁴ რომელსაც, როგორც წესი, შესაძლოა მეტი სარგებელი ჰქონდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უნდა არსებობდეს ბალანსი ეფექტიანობასა და კონტროლს შორის, როდესაც კომპანიის პრობლემები და ინტერესთა კონფლიქტი დიდია, აქციონერებმა შეიძლება აირჩიონ

¹⁹⁴ Girasa C., “Corporate Governance and Finance Law”, Palgrave&Macmillan, New York, 2013, 98.

ორსაფეხურიანი სისტემა, მაგრამ უნდა გააცნობიერონ, რომ მკაცრი მონიტორინგის მართვის სისტემამ შეიძლება მენეჯერები შეაფერხოს და ბიზნესოპერაციები და მიღებული გადაწყვეტილებები არაეფექტიანი გახადოს.

6. შერეული კორპორაციული მართვის მოდელი

ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი სისტემების გარდა ბევრი ქვეყანა აღიარებს მართვის მესამე სტრუქტურას - შერეულ, იგივე ჰიბრიდულ სისტემას, რომელიც ზემოაღნიშნული ორი მოდელის ნაზავია.¹⁹⁵ ჰიბრიდული სისტემა შემოღებულ იქნა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონითაც. კანონის დებულებების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში უნდა შეიქმნას, სხვა შემთხვევებში კომპანიას შეიძლება მხოლოდ აღმასრულებელი საბჭო ჰყავდეს.

კორპორაციული მართვის შერეულ, იგივე ჰიბრიდულ, ფრანგულ, მოდელს არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს. კორპორაციული მართვის შერეული, იგივე ჰიბრიდული მოდელი გულისხმობს კორპორაციულ მართვაში ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი სისტემისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების ჰიბრიდულ, კუმულატიურ ვარიანტს. კორპორატიული მართვის შერეული სისტემის დროს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა აქციონერთა ნებასა და კანონით მიერ განსაზღვრულ გარკვეულ წინაპირობებზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კორპორატიული მართვის ჰიბრიდული მოდელი აირჩია საქართველომ. ამ ცვლილებათა აკვარგიანობაზე დღემდე მსჯელობენ მეცნიერები.

კორპორაციული მართვის ფრანგული მოდელი ხასიათდება იმით, რომ საზოგადოებას კანონით დადგენილი ორი სისტემიდან შეუძლია მართვის ერთ-ერთი მოდელი აირჩიოს: მართვის ერთსაფეხურიანი ან ორსაფეხურიანი სისტემა. პირველი ვარიანტი – ეგრეთწოდებული კლასიკური მართვაა, როდესაც კორპორაციის მართვას დირექტორთა,

¹⁹⁵ კოკაია ლ., კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები, 2017.

იგივე ადმინისტრაციის საბჭო ახორციელებს, რომელიც ირჩევს პრეზიდენტს. მეორე ვარიანტია ახალი ტიპის მართვა, რომელიც გერმანული კანონმდებლობიდანაა ნასესხები, როდესაც კომპანიას ხელმძღვანელობს დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო კი მისი საქმიანობის კონტროლს ახორციელებს.

საინტერესოდ მივიჩნევ განვიხილოთ საქართველოს მაგალითი. მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული დებულებების ანალიზიდან გამომდინარე სახეზეა კორპორატიული მართვის ჰიბრიდული მოდელი, კერძოდ, მშკ-ის 55-ე მუხლის 1¹ თანახმად, „სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში კანონით დადგენილი მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები წესდებით გადანაწილდება საწარმოს მართვის სხვა ორგანოებზე.“¹⁹⁶ მოცემული დათქმა ნამდვილად მიგვითითებს შერეული მოდელის არსებობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის იანვრიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ძალადაკარგულად ცხადდება, შესაბამისად ამოქმედდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს 2021 წლის კანონი. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია განვიხილოთ კანონპროექტში არსებული დათქმები კორპორაციული მართვის მოდელებთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონპროექტის 182-ე მუხლის თანახმად, „სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს მართვის დუალისტური ან მონისტური სისტემა. დუალისტურია მართვის სისტემა, როდესაც სააქციო საზოგადოებას, საერთო კრებისა და ხელმძღვანელი ორგანოს გარდა, ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. მონისტურია მართვის სისტემა, როდესაც სააქციო საზოგადოებას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო.“¹⁹⁷ ასევე საინტერესოა კანონპროექტის 248-ე მუხლი, რომლის თანახმად, „1. კოოპერატივს შეიძლება ჰქონდეს მართვის მონისტური ან დუალისტური სისტემა. 2. კოოპერატივის მართვის დუალისტური სისტემის შემთხვევაში ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციები განაწილებულია ხელმძღვანელ ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. 3. წესდებაში უნდა აღინიშნოს კოოპერატივის მართვის სისტემის არჩევის შესახებ. თუ წესდებაში არ არის აღნიშნული

¹⁹⁶ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 55.

¹⁹⁷ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი, მუხლი 182.

კოოპერატივის მართვის სისტემის არჩევის შესახებ, ივარაუდება, რომ გამოიყენება კოოპერატივის მართვის დუალისტური სისტემა.¹⁹⁸

დასკვნა

კორპორაციული მართვის ძირითად მიზნად შეიძლება განისაზღვროს კომპანიის მმართველი ორგანოების ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფა, რათა თავიდან იქნას აცილებული კომპანიის მენეჯერთა მხრიდან თავიანთი დომინირებული მდგომარეობისა და მინდობილი საკუთრების ბოროტად გამოყენება პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც პრაქტიკაში არცთუ იშვიათია.¹⁹⁹ სხვადასხვა მართლწესრიგს შორის განსხვავების და იმ სპეციფიური ნიშან-თვისებების მიუხედავად, რომლებიც კომპანიებს ახასიათებს და განპირობებულია ფინანსური ბაზრისა და ბიზნესკულტურას შორის არსებული განსხვავებებით, კორპორაციების/კომპანიების უნიფიკაცია მაინც თვალსაჩინოა. გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციული მართვა სწორედ კომპანიის საქმიანობასა და მის შიდა თუ გარე ურთიერთობების რეგულირებას გულისხმობს, მნიშვნელოვანია ობიექტური წარმოდგენის შექმნა ამ კომპანიებზე და იმ შეზღუდვებისა თუ თავისებურებების გათვალისწინება, რაც ზემოთაღნიშნული ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე არსებობს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ბიზნეს-კორპორაციის ხუთი ძირითადი ნიშან-თვისება: იურიდიულ პირად აღიარება; შეზღუდული პასუხისმგებლობა; ტრანსფერაბელური (გადაცემადი) წილები; დელეგირებული მართვა; ინვესტორული საკუთრება.

კომპანიები, თავიანთი შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპიდან და აქციონერთა წინაშე არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, მოტივირებულნი არიან, რომ დაამყარონ გრძელვადიანი ურთიერთობები, რაც ხელს შეუწყობს აქციონერთა სტაბილური შემოსავლის უზრუნველყოფას. ურთიერთობების დამყარება კი სწორედ დელეგირებული მენეჯმენტის საშუალებით ხდება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სწორად ფორმირებული მართვის ორგანოების მნიშვნელობას

¹⁹⁸ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი, მუხლი 248.

¹⁹⁹ ჟღენტი კ., კორპორაციული მართვის ღიაობა და ინფორმაციული გამჭვირვალობა საქართველოში: გამოწვევები და სრულყოფის გზები, სადოქტორო ნაშრომი, 2016, 19.

კომპანიის წარმატებული საქმიანობისათვის. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია აქციონერთა შესაძლებლობების სწორად გადანაწილებაც, რადგან (ა) არ მოხდეს მაკონტროლებელი აქციონერების მიერ უმცირესობაში მყოფი აქციონერების ინტერესთა უგულვებელყოფა და (ბ) თავიდან იქნას აცილებული დირექტორთა როლის დაკნინება აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილების გაუმართლებლად გაფართოების შედეგად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ კორპორაციული მართვის მექანიზმის შემუშავებისას მხედველობაში იქნას მიღებული ყველა ზემოთჩამოთვლილი სტანდარტი, რათა კორპორაციამ ეფექტურად აუწყოს ფეხი ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, რადგან პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სწორედ ეს არის კომერციული ურთიერთობების გამარტივებისა და პოზიტიური ურთიერთმოქმედების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა.

ზემოაღნიშნული ცხადჰყოფს, რომ კორპორაციული მართვის იდეალური სისტემა არ არსებობს. კორპორაციული მართვის თითოეულ სისტემას გააჩნია თავისი სუსტი და ძლიერი მხარე, რაც კომპანიის მართვას უკავშირდება და რთულია, ცალსახად აღინიშნოს, რომელი მეთოდია უფრო წარმატებული და ეფექტური. თითოეული სისტემა საუკუნეზე მეტ არსებობის ისტორიას ითვლის და არ არსებობს კვლევა, რომელიც ცალსახად დაადასტურებდა ერთ-ერთი სისტემის ეჭვგარეშე ეფექტურობას კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. ვფიქრობ, იმ საკითხთან მიმართებაში, რომელიც ეხება მსჯელობას – თუ რომელი მოდელის არსებობაა საქართველოსთვის უფრო ეფექტური და წარმატებული, უპრიანი იქნება პირველ რიგში გათვალისწინებული იქნას ქვეყანაში არსებული სიტუაცია. სწორედ, ქვეყანას უნდა მოვარგოთ აღნიშნული სისტემებიდან რომელიმე, ან ამ ორივე სისტემებისათვის დამახასიათებელი რომელიმე ცალკეული მეთოდები, და არა პირიქით – ქვეყანა მოერგოს რომელიმე სისტემას.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ” (28/10/1994);
2. საქართველოს კანონი “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” (24/12/1998);
3. კარუნა დ., შედარებითი საკორპორაციო სამართალი: ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013;
4. კოკაია ლ., კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები, 2017, <https://bm.ge/ka/article/korporaciuli-martvis-tanamedrove-sistemebi-/15934> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.02.2022];
5. ჟღენტი კ., კორპორაციული მართვის ღიაობა და ინფორმაციული გამჭვირვალობა საქართველოში: გამოწვევები და სრულყოფის გზები, სადოქტორო ნაშრომი, 2016;
6. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, სამართალი, 2006;
7. ჰოპტი კ., კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და რბილი სამართალი, 2005;
8. ადამია ნ., სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა, ერთ და ორდონიანი სამეთვალყურეო საბჭო, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2010;
9. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საკონსულტაციო პროგრამა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, „კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო“, 2010;
10. საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები;
11. ეთგო-ს კორპორაციული მართვის პრინციპები, 2004;
12. Delaware General Corporation Law of 1899, United States Congress;
13. Model Business Corporation Act of 2002, United States Congress;
14. Revised Model Business Corporation Act, United States Congress;
15. Companies Act 2006;
16. G20/OECD Principles of Corporate Governance, 2015;
17. UK Combined Code of Corporate Governance, Sec A., 2016;

18. Allen W., *Modern Corporate Governance and the Erosion of the Business Judgment Rule in Delaware Corporate Law*, Comparative research in Law and Political Economy, 2008;
19. Enriques L., Volpin P., *Corporate Governance Reforms in Continental Europe*, Journal of Economic Perspectives, Volume 21, Number 1, 2007;
20. EASD – *Corporate Governance – Principles and Recommendations*, 2001;
21. Girasa C., *Corporate Governance and Finance Law*, Palgrave&Macmillan, New York, 2013;
22. Goergen M., *What do we know about different systems of corporate governance?*, 2007;
23. Hamilton R.W., *Corporation's Law*, St. Paul, „West Group“, 2000;
24. Hansmann H., Kraakman R., *What is Corporate Law?*, Yale Law School, Center for Law, Economics and Public Policy Research Paper No. 300, 2004;
25. Hopt K., Leyens P., *Board Models in Europe*, Working Paper N°18, 2004;
26. Hopt K., *Corporate Governance in Germany in: Capital Markets and Company Law*, Oxford University Press, New York, 2003;
27. Jungmann C., *The Effectiveness of Corporate Governance in One-tier and Two-tier Board Systems*, 2006;
28. Ramsay I.M., *Corporate Governance and Duties of Corporate Directors*, Centre For Corporate Law and Securities Regulation, Faculty of Law, the University of Melbourne, 1997;
29. Smerdon R., *A practical Guide to Corporate Governance*, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010;
30. Соколов В., *Акт Сарбайнса – Оксли//Юрист и бухгалтер*, N 12, 2003.

Mariam Pilishvili - Multinational Corporations as a Primary Players in the Global Economy and Issues of Protection of Personal Data *

აბსტრაქტი

ინტერნაციონალური კორპორაციული გლობალური ბიზნეს მაზრის მთავარი მოთამაშეები არიან, რომელთა თანამშრომელთა წრე ასეულობით სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეს აერთიანებს, ხოლო მომხმარებელთა გლობალური ქსელი მილიონობით მომხმარებელს მოიცავს.

ასეთი ბიზნეს სუბიექტების ბაზარზე ფუნქციონირება მუდმივად საჭიროებს სხვადასხვა ტიპის პერსონალური მონაცემის დამუშავებას, რაც თავისთავად საკმაოდ დიდ რისკებს შეიცავს არამიზნობრივი დამუშავების თვალსაზრისით.

წინამდებარე სტატია შეეხება მულტი-ეთნიკურ კორპორაციებს, როგორც მსოფლიო ეკონომიკური ბაზრის ძირითად სუბიექტების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სპეციფიკას, რისკებს და გაანალიზებულია საერთაშორისო სამართლის რეგულაციებთან მიმართებით.

Abstract

Multinational companies with a staff of hundreds of citizens from different countries and a global network of millions of customers represent core players of global business market.

The operation of such business entities in the market requires constant processing of different types of personal data, which in itself carries quite serious risks in terms of improper processing.

This article deals with issues regarding risks and specifics of data processing by multinational corporations as key players in the global economic market, in line with the rules of international law.

* Mariam Pilishvili - LL.M European and International Business Law, University of Debrecen.

Introduction

In the present time, globalization has played an essential role in development and improvement of modern world's economy. The process of shifting from the national economic interests to its new stage – to the global market is quite large, in which multinational companies (hereinafter referred as MNC) play a key role. It is noteworthy that through the process of globalization the role and place of MNC is significantly growing due to the fact that those types of corporations are extending the process of globalization itself and becoming more and more large-scale. Majority of them have large branches and sales abroad, which makes these types of companies a compelling part of global relationships and exactly those entities are playing a leading role in the system of uniting regional and global markets.

In the age of technologies, the factor of MNC is becoming increasingly serious in the development of both national and global economies, as it improves the reliability of its sustainable adoption. Whereas, private enterprises and other types of industrial enterprises exist throughout the world, some of them run a business in the homeland, while others invest overseas. Thus, multinational corporations control manufacturing resources placed minimum in two countries. In addition, MNC's production operations, which account for the majority of the world-produced exports, have contributed to the expansion of global commerce. The above-mentioned businesses have a significant impact on the worldwide labour market's structure. Furthermore, in the procedure of economic connections among countries are the core purposes of the MNC together with the process of globalization. Support and encourage the victorious transmission and implementation of structures already proven in industrialized nations, such as employment, competition law and taxation concepts. In the contemporary world, where the globalization process is sufficiently functional, the activities and management of MNC are represented in different countries of the world as well, they together emerge as the result of globalization. They successfully carry out the production, trade and economic functions. Thus, it is unquestionable, that multinational corporations become the key competitor in global trading system.²⁰⁰

²⁰⁰ Statistics show that the influence of multinationals is replacing that of States, since over two thirds of the 100 largest economic entities are now companies and not States, see at Taboada

Meanwhile, the importance of MNC is increasing day by day, thus the main goal is to determine the definition and analyse the past and present role in the global market; furthermore, the legal status under international law as well as its development of the multidimensional process of the globalization of the global economy.

1. Definition of MNC

Initially, according to the framework of the United Nations (hereinafter referred as UN) the term “multinational corporations“ was used and determined as companies that possess or manage manufacturing or supply facilities beyond of their home country. These businesses not usually are consolidated or private; such companies can also be co-operatives or governmental entities.²⁰¹ In order to clarify the cross-border operations and differentiate from such MNC which are owned and controlled by organizations from various states the term was formed into “transnational corporation“.²⁰² Later, mentioned difference was left and “transnational corporation” was defined in United Nations Draft Norms regarding Responsibilities of Transnational Corporations and Other Business Enterprises in relation to Human Rights (2003); according to UN Draft Norms “transnational corporation” is an “economic units functioning in one as well as more countries or a group of economic bodies running business in more than two countries – regardless of their legal structure, whether in their homeland or country of operation, and whether taken individually or jointly.²⁰³ Meanwhile, the terminology multinational enterprises are used by International Labour

Calatayud J. M., Candelas C. J., Fernández P. P., *The Accountability of Multinational Corporations for Human Rights’ Violations*“, University of Castilla-La Mancha, Ciudad Real, Spain, 2008, 172.; see also, Sharma S., *Multinational Corporations and Human Rights Violations*, Insider L., 2016.

²⁰¹ Department of Economic and Social Affairs, *The impact of Multinational Corporations on Development and on International Relations*, UN Doc E/5500/Rev. 1, ST/ESA/6, New York, 1974.

²⁰² Muchlinski T. P., *Multinational Enterprises and the Law*, Oxford University Press, second edition, 2007, see at Wouters J., Chané A., *Multinational Corporations in International Law*, (hereinafter referred to as *(Multinational Corporations in International Law)*, SSRN Electronic Journal, (2013), 5.

²⁰³ *Multinational Corporations in International Law*, 5; See also Weissbrodt D., Kruger M., *Norms on the responsibilities of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights*, University of Minnesota Law School, 2003, 909. < <https://www.law.umn.edu/>>, [26.11.2021].

Organization (ILO) and Organisation for Economic Co-operation and Development (OECD).²⁰⁴

According to the above-mentioned information the MNC is a business organization whose activities are placed in at least two countries and its form of organization defines the foreign direct investment (hereinafter referred to as FDI). Organizational form includes a country origin location together with branch offices and subsidiaries in foreign state.²⁰⁵ In other words, MNC can be defined as an enterprise that involves a FDI and rules value-added operation in several countries.²⁰⁶ Multinational corporations are profit-oriented entities, which seek to enlarge sales, obtain resources and reduce the risk of competitiveness.²⁰⁷ The modern MNC is an economic, cultural, political and even environmental power that is fundamental part of society.²⁰⁸ Therefore, the multinational firms are the major and driving power behind the world market's essential processes, containing development of technological activities and its scope and doctrine is not limited by only economic sphere.

2. Categories of Multinational Companies

In international business literature various categories of multinational companies have been outlined. According to Hedlund, MNC is composed by the form of “heterarchy”, that requires a powerful integration of dissimilar units in order to remain collectivity of organization. Based on the opinions of Bartlett and Ghoshal, there has to be the idea of “transnational company” that authorizes exceed beyond the centralization or decentralization dialectic. It is worth mentioning that in the position of Doz et al, who develops the “meta-national company” key participants are foreign subsidiaries and branch

²⁰⁴ Multinational Corporations in International Law, 5.

²⁰⁵ Lazarus A. A., Multinational Corporations, International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences, Elsevier Science Ltd., 2001, 1.

²⁰⁶ Dunning H. J., Lundan M. S., Multinational Enterprises and the Global Economy, second edition, 2008, 3.

²⁰⁷ Köksal E., The Impact of Multinational Corporations on International Relations – A Study of American Multinationals, 2006, 7.

²⁰⁸ Roach B., A Primer on Multinational Corporations, part one “The Scope of the Multinational Phenomenon” in Chandler D. A., Bruce Mazlish B. Jr. (eds.), Leviathans: Multinational Corporations and the New Global History, (hereinafter referred to as “Multinational Corporations and the New Global History”, Cambridge University Press, 2005, 19.

offices.²⁰⁹ Hence, MNC are an integral part of the community in almost all aspects starting from social context to the economic field.

3. How International Law Accepts This Entity?

In international law, multinational corporation's legal status is divided into two positions: according to the first one, MNC is an object of international Law; the differentiation is established on accepted concepts related to the important question: how law of nations was created, where acquired mandatory power and what is its construction. Based on this view, individuals have no innate ability under law of nations, due to the fact that the "subject of law refers to the notion of nationhood and non-state actor is an object,"²¹⁰ with no rights and obligations under international law and can not invoke this part of law for its protection.²¹¹ It is noteworthy that MNC have particular duties and rights together with the partial international legal subjectivity in certain circumstances. Partially includes several concepts: for the first concept if the existence of an entity is challenged it is up to the state's consent. State gives the legal status to quasi actors by numerous means, containing Customary International Law and treaty. According to the subsequent concept, corporations can have both direct or indirect rights, duties, abilities, dimensions and/or personalities that are determined by States. And based on third position, partially assumes that the rights, duties and obligations of quasi actors are not similar to those of nations.²¹² Therefore, majority of international legal scholars do not consider the MNC as a holder of international legal personality and only minority recognize MNC as a subject and legal entities under international law.

²⁰⁹ Mayrhofer U., Prange C., *Multinational Corporations (MNC) and Enterprises (MNE)*, Encyclopedia of Management, Wiley, 2013, 8.

²¹⁰ Rinwigati P., *The Legal Position of Multinational Corporation in International Law*, (hereinafter referred to as "The Legal Position of Multinational Corporation in International Law"), *Journal Hukum and Pembangunan* 49, No. 2, 2019, 380.

²¹¹ Manner G., *The Object Theory of the Individual in International Law*, *American Journal of International Law* 46, 1952, see at "The Legal Position of Multinational Corporation in International Law", 380.

²¹² *The Legal Position of Multinational Corporation in International Law*, 381.

4. The Historical Overview of Multinational Corporations

Within the late nineteenth century, international corporations have experienced rapid evolution. Rapidly growing impact was stipulated by capital mobility and trade protectionism, request of raw materials, the spread of colonialism and enhancements in transport and communications.²¹³ MNCs specialized the production of weapons during World War I and the post-war period. At this stage of growth, corporations did not have as much compelling influence on the global economy and connections and its complete amounts of worldwide monopolies was not as noticeable as today. Only after inception, international entities started progressively evolving tactical lines in world trade. This is a period when international corporations started dynamic efforts to conquer the global market. This procedure has been contributed by the liberalization of international economic connections and the growing request of world consumers. It is noteworthy that MNC have extensive experience and they have colossal consequences on the development of the economy.

According to Rondo Cameron, the banks were the first global corporations. Even in the thirteenth and fourteenth centuries, Italian nationals, bankers Bardi and Perugia established institutions in England. During this period, Hanseatic League trading outposts can be also qualified under the subject “Multinational Enterprise Behaviour“. Noteworthy that in the XV-XVI centuries the Fuggers of Augsburg in Germany had copper and silver mines in the Tyrol and Hungary and etc.²¹⁴

According to the other view, records of multinational businesses are related to the history of colonialism. Majority of the first MNC, which can be considered as the world’s earliest multinational corporations, were owned and ruled by European monarchs. For instance, appearance of the British East India Company in 1600, which was engaged in international trade facilities in India

²¹³ Jones G., *Multinationals from the 1930s to the 1980s*, see at *Multinational Corporations and New Global History*, part 3, 81.

²¹⁴ Wilkings M., *Multinational Corporations: An Historical Account*, in Kozul-Wright R. et al. (eds.), “*Transnational Corporations and the Global Economy*“, (hereinafter referred to as “*Multinational Corporations: An Historical Account*“, the United Nations/World Institute for Development Economic Research, 1998, 96.

and which promoted the either global trade and natural resource acquisition.²¹⁵ Different cases are the Swedish-African Company, which was established in 1649,²¹⁶ and the Hudson Bay Company, which was created in the seventeenth century.²¹⁷ According to aforesaid, it is apparent that during that time international trade expansion of the global businesses played a significant part in the overall improvement of the global economy. Therefore, in the last several decades of the 20th century, which was a chapter for a new global history, started a process of “multinationalism“, which are related to a higher level of companies interconnection, a broader division of labour and a progressive step in product consolidation throughout the world.

It is unquestionable that global interaction is essentially associated with multinational corporations. By the influence on the “Motherland“ (where they emerged and developed), the “host nations“ (where they expanded) and the “third countries“ (where the contribution was spread and extended)²¹⁸ they form the “network“ that connects economic activity from all over the world and create as well as strengthening ongoing relationships.

5. The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) Guidelines for Multinational Enterprises

The OECD²¹⁹ collaborated on the Guidelines for multinational enterprises, which unites non-obligatory business suggestions, guidance and principles acknowledged by states. The Guidelines include the shared values of the countries, from which develops the majority share of FDI. They promote the beneficial, productive, positive and effective contributions throughout the world by multinational companies.²²⁰ The first Guidelines were adopted in

²¹⁵ Brunton B., *The East India Company: Agent of Empire in the Early Modern Capitalist Era*, National Council for the Social Studies, the economic of World History, 2013, 78. see also the *East India Company, History*,

²¹⁶ Rodriguez P. J., General Editor, *The Historical Encyclopedia of World Slavery*, Volume 1, California, 1997, 623.

²¹⁷ Bryce G., *The Remarkable History of the Hudson’s Bay*, third edition, Sampson Low, Marston and Co Ltd., 2013.

²¹⁸ *Multinational Corporations: An Historical Account*, 95.

²¹⁹ Organisation for Economic Co-operation and Development.

²²⁰ OECD (2011), *OECD Guidelines for Multinational Enterprises*, (hereinafter referred to as OECD 2011), OECD Publishing, 3.

1976 with the purpose of improving FDI by enhancing collaboration among OECD member states and minimizing the challenges and difficulties associated with MNCs activities.²²¹

The authorities of the forty-two OECD and non-OECD states that have signed the OECD Declaration on Multinational Enterprises and International Investment on May 4, 2010. The purpose of the linked decision was to start work on reforming the Guidelines.²²² The agreed-upon revisions aimed to maintain the Guideline's position as a crucial world tool for the development of responsible business practice. Those reworked Guidelines extended the recommendation with the introduction of the entire chapter of human rights and which was compatible with the principles on Business and Human Rights. According to the amendment, MNC should respect human rights and protect humanity against negative impact. The new amendment also included a unique strategy regarding sustainable delivery management, that expands structure outside of the direct work of MNCs to their interactions, for example subcontractors or franchisees.

National Contact Points (NCPs), agencies created by adhering governments to encourage and execute principles enshrined in OECD Guidelines, provide a unique implementation method for above-mentioned recommendations. In addition, NCPs support businesses and their stakeholders in taking proper steps to further Guidelines' implementation. They also offer a mechanism for mediation and conciliation for settlement of disputes regarding any practical concerns.

6. Efforts of MNCs in world market

In the era of technological development globalization is becoming a major contributor with its inevitable progress. By using its peculiar character globalization attempted and managed to „eliminate“ the barriers of free trade between nations and through the multinational corporations achieved to expand economic cooperations throughout the world. Many companies have

²²¹ OECD (2017), Annual Report on the OECD Guidelines for Multinational Enterprises 2016, OECD Publishing, 12.

²²² OECD 2011, 3.

benefited from globalization by being able to conduct business activities in other countries' markets and establishing themselves as multinational corporations.

MNCs are the backbone of internationalized manufacturing and a significant factor of the globalization process, as the majority of the world's exports produce these entities. For example in 2014, those companies were responsible for more than half of the world's exports and 49% of imports. However as available data shows there are significant differences in particular countries, for instance, multinational corporations account almost 80 percent of exports by France and Hungary, but primarily because of foreign affiliates in Hungary compared to France, where domestic multinational corporations play a much essential role.²²³

The dominance of MNCs in global commerce in services appears to be assured as a result of its liberalization, which reflects the worldwide expansion of transnational manufacture of goods and services. It should be mentioned that the activities of multinational companies do not only involve making direct investments in several states, but also effectively controls the process in a systematic manner. MNC operates in the global market through its subsidiaries and affiliates, produces and sells goods or services beyond national boundaries, controls and manages this process in an integrated manner and is characterized by a multicultural workforce and management.

Today, by holding financial assets, employing human capital or the amount of products manufactured, MNCs play a vital influence in global economic processes. It is noteworthy that at the time of global economic crisis in 2008, the quantity of MNCs in the globe had reached 81 000 parent multinational entities with up to 810 000 branches of subsidiaries.²²⁴ It is also interesting that multinational companies develop and implement different approaches or technologies and primarily conduct business operations in a multicultural environment worldwide.

With the above topic, one of the most key issues that has become the subject of heated debate among economists in the 21st century is the impact of

²²³ OECD (2018), *Multinational Enterprises in the Global Economy*, figure 4.

²²⁴ Ravenhil J., *Global Political Economy*, sixth edition, oxford university press, 2020, 176.

multinational companies on the economic development of the host country. Part of society believes that multinational companies can have a negative impact on the economy of the host country by expelling local companies from the market, which will contribute to the formation of a monopoly or oligopoly in the market.

Based on the dependency theorists, from the number of reasons four main ones can be identified that distort local market: first is related to the preventing local entrepreneurs from engaging in the most evolving areas of economy; secondly, by using inappropriate capital technologies, they are increasing unemployment rate in host country; thirdly, MNCs deteriorate the income distribution in host state and increasing inequalities; lastly, MNCs affect consumer preferences and destroy the host country's culture.²²⁵

It is true that multinational corporations have both positive and negative impact on the local market, but we must study and assess each aspect critically and strictly, including: state policy in the direction of attracting FDI, investment motivation of MNCs, strategies for entry of multinational companies in the local market and the issue of the quality of the relationship between multinational and local companies.

7. Protection of Personal Data: Case B6-22/16, Facebook Decision

The Bundeskartellamt in its decision²²⁶ of 6 February 2019 has placed severe restrictions on Facebook in the processing of user data. By the using Facebook social network from private users residing in Germany, who also used its services WhatsApp, Oculus, Masquerade, and Instagram, Facebook collected and combined user and device-related data without the users' consent.

The authority's ruling applies to a variety of data sources:

²²⁵ Moran H. T., *Multinational corporations and dependency: a dialogue for dependentistas and non-dependentistas*, International Organization, Volume 32, Issue 1, Cambridge University Press, 1978, 85.

²²⁶ Facebook Inc., Menlo Park, Facebook Ireland Ltd., Facebook Deutschland GmbH vs. Bundeskartellamt, 6th Decision Division, B6-22/16, Decision under Section 32(1) German Competition Act (GWB), (2016),

1. WhatsApp and Instagram services which are owned by Facebook can continue gather information. Assigning the data of Facebook user accounts will only be possible with the user's explicit approval. If consent is not obtained, the data must be kept by the provider and cannot be combined by Facebook data.
2. Data collection from third-party websites and linking it to a Facebook user account will only be possible with users' explicit cooperation.²²⁷

If consent is not given for data from Facebook owned services and third-party webpages, Facebook will be forced to limit the amount of data it collects and combines.

According to the Andreas Mundt, President of the Bundeskartellamt: "In future, Facebook will no longer be allowed to force its users to agree to the practically unrestricted collection and assigning of non-Facebook data to their Facebook user accounts. In future, consumers can prevent Facebook from unrestrictedly collecting and using their data. The previous practice of combining all data in a Facebook user account, practically without any restriction, will now be subject to the voluntary consent given by the users. Voluntary consent means that the use of Facebook's services must not be subject to the users' consent to their data being collected and combined in this way. If users do not consent, Facebook may not exclude them from its services and must refrain from collecting and merging data from different sources."²²⁸ Thus, when it comes to the Facebook application many users are not aware of Facebook's capacity of collecting unlimited data from third party sources and use them for a variety of data processing tasks. Third-party sources include Facebook-owned platforms for instance WhatsApp and Instagram as well as third-party webpages with "Like" and "Share" buttons. We have to take into consideration that is not even essential to scroll or press on a "Like" button, for instance, the data flow begins when a user visits a website with an inbuilt "Like" button.²²⁹

²²⁷ Bundeskartellamt, Bundeskartellamt prohibits Facebook from combining user data from different sources, press release, 2019, 1.

²²⁸ Bundeskartellamt, Bundeskartellamt prohibits Facebook from combining user data from different sources, press release, 2019, 2.

²²⁹ Bundeskartellamt, Bundeskartellamt prohibits Facebook from combining user data from different sources, press release, 2019, 3.

A multinational corporation such as Facebook, which is one of the major players in the world market, can pose a great threat to users by collecting data about the users without their proper consent. It is noteworthy that Germany is not only place where have been reports of data protection violations by Facebook. We should critically evaluate the capacity of multinational corporations and specifically Facebook regarding its abilities to collect and emerge data information of its users.

Conclusion

In today's world, where the role of globalization is the greatest, the demand for multinational companies is growing day by day due to economic and social needs. This issue gives us in this case two main pieces of information: first of all, the requirement of multinationalism was on the agenda precisely because of the consumers and second of all, the research into MNCs growth prospects, potential, expansion, investment opportunities and management operations are relevant and practical.

Nowadays, MNCs are a major part of the global economic environment. These corporations compete in marketplaces where their assets are most efficient and costs are lowest. Additionally, multinational companies can have a positive impact on the economy of the host country, especially when it comes to the economies of developing countries. They make a great contribution to the transfer of technology or professional skills and increase the export potential of the country, to provide quality services and products to local customers at a reasonable and better price.

MNC have a favourable political, cultural and business friendly impact on the countries in which they operate. Herein, multinational firms are developing as a main mechanism of critical processes throughout the world and have a gradual impact on strengthening economies. Other favourable advantages include increased employment development and potential increases in corporate tax.

As for the difference of opinion regarding the negative impact of MNCs on host markets. It can be said that foreign direct investment flowing into the country through multinational companies has both positive and negative impact on the

host country, so it should be assessed individually in the context of each country's economic development and find out what positive or negative impact multinational companies may have on the host country. In this case the example of each country should be studied and provide answers to questions such as: in what ways and how do multinational companies contribute to the development of local firms? Are they helping local firms produce and offer a better product or service by introducing new technologies, or are they using the power to expel local firms? Or do they want to interact with local companies? By answering those questions case by case we will be able to assess the positive or negative impact of the MNCs on the host country.

As for the processing of data by the one of the largest and popular multinational corporation Facebook named in our case, it is necessary for the competent authorities of all states to develop appropriate regulations that restrict the collection of user information without proper consent.

In conclusion, multinational corporations play a vital role in the global economy. Their rapid evolution over the previous decade has resulted in increased worldwide competitiveness. As they are an essential part of economic relations, we can identify them as direct players in international trade. Consequently, an increased number of MNCs represents a new step in the development of the worldwide market and their revival, which are adapted to the specifics of local markets.

Bibliography

1. Alfred D. Chandler, Jr. Bruce Mazlish (eds.), *Leviathans: Multinational Corporations and the New Global History*, Cambridge University Press, 2005;
2. Brunton B., *The East India Company: Agent of Empire in the Early Modern Capitalist Era*, National Council for the Social Studies, the economic of World History, 2013.
< <https://socialeducation.org/>> [Last seen 26.11.2021];
3. Lazarus A. A., "Multinational Corporations", *International Encyclopaedia of the Social and Behavioural Sciences*, Elsevier Science Ltd., 2001. <http://www.columbia.edu/>>, [Last seen 26.11.2021];

4. Weissbrodt D., Kruger M., Norms on the responsibilities of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights, University of Minnesota Law School, 2003.
5. Köksal E., The impact of Multinational Corporations on International Relations – A study of American Multinationals, 2006.<https://www.etd.lib.metu.edu/>, [Last seen 26.11.2021];
6. Bryce G., The Remarkable History of the Hudson’s Bay, third edition, Sampson Low, Marston and Co Ltd., 2013.<https://www.gutenberg.org/>, [Last seen 26.11.2021];
7. Wouters J., Chané A., Multinational Corporations in International Law, SSRN Electronic Journal, 2013.
8. Dunning H. J., Lundan M. S., “Multinational Enterprises and the Global Economy“, second edition, 2008.< <https://wordpress.com/dipiufabc/>>, [Last seen 26.11.2021].
9. Ravenhil J., Global Political Economy, sixth edition, oxford university press, 2020.
< <https://google.books.hu/>>, [Last seen 26.11.2021];
10. Rodriguez P. J., General Editor, The Historical Encyclopaedia of World Slavery, Volume 1, California, 1997. < <https://www.books.google.hu/>>, [Last seen 26.11.2021];
11. Roach B., A Primer on Multinational Corporations, part one “The Scope of the Multinational Phenomenon” in Chandler D. A., Bruce Mazlish B. Jr. (eds.), Leviathans: Multinational Corporations and the New Global History, Cambridge University Press, 2005.
< <https://www.lecture.ub.ac/>>, [Last seen 26.11.2021];
12. Miguel Juan Taboada Calatayud, Candelas C. J., Fernández P. P., The Accountability of Multinational Corporations for Human Rights’ Violations“, University of Castilla-La Mancha, Ciudad Real, Spain, 2008.<<https://corteidh.com>> [Last seen 26.11.2021];
13. Muchlinski T. P., Multinational Enterprises and the Law, Oxford University Press, second edition, 2007, see at Wouters J., Chané A., Multinational Corporations in International Law, SSRN Electronic Journal, (2013),< <https://www.researchgate.net/publication/>>, [Last seen 26.11.2021];

14. Wilkings M., Multinational Corporations: An Historical Account, in R. Kozul Wright et al.(eds.), “Transnational Corporations and the Global Economy“, the United Nations/World Institute for Development Economic Research, 1998.<https://www.springer.com/chapter/>>, [Last seen 26.11.2021];
15. Rinwigati P., The Legal Position of Multinational Corporation in International Law, Journal Hukum and Pembangunan 49, No. 2, 2019.<https://semanticscholar.org/>>, [Last seen 26.11.2021];
16. Sharma S., Multinational Corporations and Human Rights Violations, Lex Insider, 2016.
<<https://www.lexinsider.com/>>, [Last seen 26.11.2021];
17. Moran H. T., Multinational corporations and dependency: a dialogue for dependentistas and non-dependentistas, International Organization, Volume 32, Issue 1, 1978.
<https://cambridge.org>, [Last seen 26.11.2021];
18. Mayrhofer U., Prange C., Multinational Corporations (MNC) and Enterprises (MNE), Encyclopaedia of Management, Wiley, 2013.<https://researchgate.net/publication/>, [Last seen 26.11.2021];
19. Facebook Inc., Menlo Park, Facebook Ireland Ltd., Facebook Deutschland GmbH vs. Bundeskartellamt, 6th Decision Division, B6-22/16, Decision under Section 32(1) German Competition Act (GWB), (2016).<https://www.bundeskartellamt.de>, [Last seen 26.11.2021];
20. Bundeskartellamt, Bundeskartellamt prohibits Facebook from combining user data from different sources, press release, (2019).
<https://www.bundeskartellamt.de/publikation>>, [Last seen 26.11.2021];
21. Department of Economic and Social Affairs, “The impact of Multinational Corporations on Development and on International Relations“, UN Doc E/5500/Rev. 1, ST/ESA/6, New York, (1974).
<<https://digitallibrary.un.org/>>, [Last seen 26.11.2021];
22. OECD (2011), OECD Guidelines for Multinational Enterprises, OECD Publishing 3.
<<https://www.oecd.org>>, [Last seen 26.11.2021];
23. OECD (2017), Annual Report on the OECD Guidelines for Multinational Enterprises 2016, OECD Publishing.<https://www.oecd.org>>, [Last seen 26.11.2021];

24. OECD (2018), Multinational Enterprises in the Global Economy. <https://www.oecd.org/>, [Last seen 26.11.2021];
25. The East India Company, History. <https://theeastindiacompany.com/>, [Last seen 26.11.2021].

ტონია ნოვიცი (ქრისტიანე უბილავა) - შრომის სტანდარტები და ვაჭრობა: გვეჩრდება, თუ არა არჩევანის გაკეთება „ადამიანის უფლებებსა“ და „მდგრად განვითარებას“ შორის? *

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს კავშირს შრომით სტანდარტებსა და სავაჭრო ურთიერთობებს შორის, ადამიანის უფლებებსა და მდგრად განვითარებაზე ფოკუსირებული პერსპექტივიდან გამომდინარე. მოცემულ ნაშრომში ევროკავშირის მიდგომები წარმოდგენილია, როგორც მდგრადი განვითარებისა და შრომითი სტანდარტების ევოლუციისა და განვითარებისთვის აუცილებელი მაგალითი. ნაშრომში წარმოდგენილ საკვლევ საკითხს წარმოადგენს: შეუძლია თუ არა შრომის სტანდარტებს მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ვაჭრობის პირობითობის ეფექტურობაზე? ჩემს მოსაზრებას წარმოადგენს ის, რომ შესაძლოა ადამიანის უფლებების გაფართოებამ საფუძველი ჩაუყაროს მდგრადი განვითარების გაძლიერების პერსპექტივას, თუმცა სამწუხაროდ დღესდღეობით არ არსებობს იმგვარი სავაჭრო ინსტრუმენტები, რომლებიც მოახდენდნენ აღნიშნული იდეის რეალიზებას.

1. ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების ამბიციები

კონკრეტული მიდგომების შესწავლისა და მათი შედეგების განხილვამდე აუცილებელია ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების საკითხების ზედმიწევნითი ანალიზი, ასევე „შრომის სტანდარტების“ მიმოხილვა, რომლებთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა ბრძოლა სავაჭრო პირობითობის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის. ამასთან, ავტორის განზრახვას არ წარმოადგენს იმ ფაქტის მტკიცება, რომ ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების ცნებები არ შეიძლება იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, იმგვარად, რომ მდგრადი განვითარება აპრიორი დამოკიდებული იყოს ადამიანის უფლებების

* Tonia Novitz - Professor of Labour Law at the University of Bristol.

მთარგმნელი - ქრისტიანე უბილავა - ჩარლზის უნივერსიტეტის (ჩეხეთი) სამართლის და ბიზნესის სკოლის სამართლის მაგისტრი.

დაცვაზე. აღნიშნულს ადასტურებს ამარტია სენის ნაშრომი „განვითარება, როგორც თავისუფლება“, ²³⁰ რომელშიც მიმოხილულია მდგრადი განვითარების ცნება და მართა ნუსბაუმის ნაშრომის „ადამიანის ცენტრალური შესაძლებლობების“ ²³¹ ანალიზი. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ნოვაციური მიდგომის შემოთავაზება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კონცეპტუალურად განისაზღვროს ორი აშკარად განსხვავებული მიზანი და ამოცანა, რომლებიც შეიძლება რეალიზდნენ განსხვავებული გზებით. წინამდებარე ნაშრომი განიხილავს საკითხს შეიძლება, თუ არა მდგრადი განვითარება მოიცავდეს ადამიანის უფლებების ჭრილში შრომით სტანდარტებს. თავის მეორე ნაწილი ითვალისწინებს კვლევას იმის თაობაზე, არის თუ არა აღნიშნული იდეის რეალიზება პრაქტიკაში შესაძლებელი.

1.1 ადამიანის უფლებათა პირობითობა

შრომის სტანდარტები რამდენიმე წელია ვაჭრობის პირობითობაშია განსაზღვრული „ადამიანის უფლებები“ სახით. ადამიანის უფლებების დაცვა იმპერატიული დანაწესია, რომელსაც უნდა გააჩნდეს დაცვის უფრო მაღალი ხარისხი ყველა სხვა სამართლებრივად დაცულ სიკეთესთან შედარებით. აღნიშნული მიდგომიდან გამომდინარეობს დვორკინის მიერ შემოთავაზებული ადამიანის უფლებების დახასიათება „კოზირების“, იგივე „trumps“ კონტექსტში. ²³²

ადამიანის უფლებების იმპერატიული დაცვის შესახებ წესების სავალდებულო სახით მითითება საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში, როგორცაა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICESCR) ორივე მიღებული 1966 წელს, შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გამოძახილი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. აღნიშნულმა გამოვლინება ჰპოვა ისეთ ინსტრუმენტებში, როგორცაა

²³⁰ Sen A., Development as freedom. Oxford University Press, Oxford, 1999, 26.

²³¹ Nussbaum M., Creating capabilities: the human development approach. Harvard University Press, Cambridge, 2011, 45.

²³² Dworkin R., Taking rights seriously. Duckworth, London, 1977, 22.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1944 წლის ფილადელფიის დეკლარაცია, ასევე გაეროს (UN) 1945 წლის წესდება და 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ფილადელფიის დეკლარაციამ განსაზღვრა, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური მიზნები, რომლებიც მოიცავდა გაერთიანების თავისუფლებას და დაცვას იძულებითი შრომისა და დისკრიმინაციისგან, არ უნდა შეიზღუდოს ეკონომიკური და ფინანსური საჯარო პოლიტიკის წესრიგით.²³³ აღნიშნული თვალსაზრისით, ადამიანის უფლებების პირობითობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ეთიკური შეზღუდვა სხვაგვარად უტილიტარული ვაჭრობის პრაქტიკაზე. ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტები (და საერთაშორისო სამეთვალყურეო ორგანოები), როგორც წესი, მოცემულ ჭრილში ვრცელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინსტრუმენტებზე (და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამეთვალყურეო ორგანოების დასკვნები).²³⁴ ზემოხსენებულიდან გამომდინარე საინტერესოა, თუ რამდენად მოიცავს შრომის სტანდარტები ადამიანის უფლებების იმ კატეგორიას, რომელიც შესაძლოა აისახოს მდგრადი განვითარების მიზნებში (განსხვავებით სოციალური პოლიტიკის უფრო ფართო მიზნებისგან, რომლებიც შეიძლება შეიზღუდოს ასეთი უფლებებით). ცალსახაა, რომ ზოგიერთი შრომის სტანდარტი, როგორცაა გაერთიანების თავისუფლება და იძულებითი შრომისგან თავისუფლება, მარტივად აკმაყოფილებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის კრიტერიუმებს.²³⁵ ადამიანის უფლებათა ფარგლებში დასაქმებულის

²³³ ILO Declaration concerning the aims and purposes of the International Labour Organisation, adopted on 10 May 1944, Art. II(C).

²³⁴ ICCPR-ის 22-ე მუხლი მხარს უჭერს „გაერთიანების თავისუფლების უფლებას“, მაშინ როცა ICESCR-ის მე-8 მუხლი მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან, რომ უზრუნველყონ „გაფიცვის უფლება“. აღსანიშნავია, რომ ორივე დებულება წარმოადგენს შესხენებას იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებული ქმედებები ზიანს არ უნდა აყენებდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის No.87 კონვენციით გათვალისწინებულ გარანტიებს. იხ. ასევე, 1996 წლის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მინისტრიალის კონფერენციის სინკაპურის დეკლარაცია, რომელიც აღიარებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კომპეტენციას „დაადგინოს და განსაზღვროს“ შრომის ძირითადი სტანდარტები, მათ შორის გაერთიანების თავისუფლება. იხ. ასევე, Novitz T., Labour standards and trade: need we choose between ‘human rights’ and ‘sustainable development’? 2017, 32, In: Gott H., (ed) Labour standards in international economic law. Springer International Publishing, Cham. this volume.

²³⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950, 34-ე მუხლი.

დაცვის საკითხი ფართო მსჯელობის საგანს წარმოადგენდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1998 წლის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დეკლარაციაში „შრომის ძირითადი სტანდარტების“ იდენტიფიცირების შემდეგ და რვა „ფუნდამენტური“ საერთაშორისო შრომის შესახებ ორგანიზაციის კონვენციებში. გამოვლენილი საშიშროება მდგომარეობაში იმაში, რომ პოლიტიკის ორიენტაციის მოცემულმა ცვლილებამ პოტენციურად შეზღუდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ლეგიტიმური მიზნები და მისი როლი საერთაშორისო საზოგადოებაში.²³⁶ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „ღირსეული სამუშაო დღის წესრიგის“ დეფინიციის მიზანმიმართულ განსაზღვრებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს უკანასკნელი მოიცავს არა მხოლოდ სამსახურში ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, არამედ სამუშაო შესაძლებლობების ხელშეწყობას, სოციალურ დაცვასა და სოციალური დიალოგის შესაძლებლობას.²³⁷

უდაოა, რომ შრომითი უფლებები შეიძლება განიხილებოდეს როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები საერთაშორისო პაქტში მითითებული განსაზღვრების სახით, ასევე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები საერთაშორისო პაქტის რეგულაციის მიხედვითაც. ამასთან, შესაძლოა იკვეთებოდეს გარკვეული ბარიერი შრომის სტანდარტების ეფექტურ განხორციელებაში, რომლებსაც უწოდებენ "სოციალურ-ეკონომიკურს" და არა "სამოქალაქო და პოლიტიკური" ხასიათის მქონეს, აღნიშნული პირობითად ხასიათდება, როგორც პროგრესული, ჯგუფზე ორიენტირებული, რესურსებზე დამოკიდებული და საბოლოოდ პოლიტიკაზე ორიენტირებული

²³⁶ ILO Declaration on Fundamental Principles and Rights at Work, <<https://www.ilo.org/declaration/lang-en/index.htm>> [19.02.2022]. იხ. ასევე, Alston P., The United Nations' specialized agencies and implementation of the international covenant on economic, social and cultural rights. Columbia J Transl Law 18:79–118, 1979, 116. იხ. ასევე, McCrudden C., Davies ACL., A perspective on trade and labour rights. J Int Econ Law 3 (1):43–62, 2000, 87. იხ. ასევე, Murray J., Taking social rights seriously: is there a case for institutional reform of the ILO? 2010, In: Fenwick C., Novitz T., (eds) Human rights at work: perspectives on law and regulation. Hart Publishing, Oxford, 2000, 359–382.

²³⁷ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაცია სოციალური სამართლიანობის შესახებ სამართლიანი გლობალიზაციისთვის, მიღებული 2008 წლის 10 ივნისს, მუხლი IA. იხ. ასევე, DECENT WORK AND THE 2030 AGENDA FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT, <https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---europe/---ro-geneva/---ilo-lisbon/documents/event/wcms_667247.pdf> [19.02.2022].

მიდგომა.²³⁸ ამის საპირისპიროდ, სხვადასხვა ავტორები ამტკიცებდნენ, რომ მშრომელთა ინტერესების დაცვის მრავალმხრივმა საჭიროებამ შეიძლება სხვადასხვა გზით გადალახოს ტრადიციული საზღვრები სამოქალაქო, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს შორის.²³⁹ ამგვარ უფლებებს შეიძლება ჰქონდეს როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური განზომილება და ზოგიერთ კონტექსტში შეიძლება იყოს აღსრულებული ერთადერთი სასამართლო მხარის მიერ საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე.²⁴⁰ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიმართ ინდივიდუალური საჩივრების პროცედურის შექმნა შეიძლება მიუთითებდეს, რომ არასწორი ინტერპრეტაციის მიდგომები თანდათან, ეტაპობრივად დაძლეულია საერთაშორისო საზოგადოებაში.²⁴¹ ანალოგიურად, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (TEU) 21-ე მუხლი მიუთითებს, რომ ევროკავშირი ვალდებულია განიხილოს ადამიანის ყველა უფლება, როგორც ადამიანისგან „განუყოფელი“.

ევროკავშირის სავაჭრო ხელშეკრულებებში, შრომის სტანდარტები უნდა იქნეს განსაზღვრული, როგორც „ადამიანის უფლებები“ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ინტერპრეტაციით, რათა მიღწეულ იქნას გარკვეული დაცვა ვაჭრობის გზით.²⁴² ევროკავშირის სტრუქტურულად მოწესრიგებული სისტემის ფარგლებში შრომის სტანდარტების დაცვა მიუთითებს ადამიანის უფლებების სერიოზულად

²³⁸ Hare I., Social rights as fundamental human rights. In: Hepple B (ed) Social and labour rights in a global context: international and comparative perspectives. Cambridge University Press, Cambridge, 2000, 153–181.

²³⁹ Mantouvalou V., Are labour rights human rights? Eur J Int Law 3(2):151–172, 2012, 156.

²⁴⁰ Ewing KD., Social rights and constitutional law. Public Law:104–123, 1999, 32. იხ. ასევე, Fenwick C., Novitz T., Regulating to protect workers' human rights, 2010, წიგნში: Fenwick C., Novitz T., (eds) Human rights at work: perspectives on law and regulation. Hart Publishing, Oxford, 2000, 585–615.

²⁴¹ Optional Protocol to the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, GA Res. A/RES/63/117, რომელიც ანიჭებს კომიტეტს კომუნიკაციების მიღებისა და განხილვის კომპეტენციას; იხ. ასევე, Vandenhoele W., Completing the UN complaint mechanisms for human rights violations step by step: towards a complaints procedure complementing the international covenant on economic, social and cultural rights. Neth Q Hum Rights 21(3):423–465, 2003, 34.

²⁴² Novitz T., (eds) Human rights at work: perspectives on law and regulation. Hart Publishing, Oxford, 2000, 585–615.

აღქმავს.²⁴³ საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი არ მოითხოვს იმპერატიულად, მაგრამ უშვებს ასეთ პირობითობას, რითაც ექვემდებარება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სხვა დოკუმენტებს და დებულებებს, როგორცაა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება, კერძოდ კი, XX მუხლი (GATT).²⁴⁴

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული „ძირითადი“ სტანდარტები გამოვლინდა, როგორც დაცვის საგანი ევროკავშირის პრეფერენციების გენერალიზებული სქემის საფუძველზე, ევროკავშირის სხვადასხვა სავაჭრო შეთანხმებებთან ერთად.²⁴⁵ 1998 წლის დეკლარაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „ფუნდამენტური“ კონვენციებში შრომის სტანდარტების დაცვის მოთხოვნა ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი ასპექტის სახით, წარმოადგენდა ერთ-ერთს ფაქტორს, რამაც გამოიწვია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დამსაქმებელთა ჯგუფის აჯანყება. დამსაქმებლის წარმომადგენლებმა გამოთქვეს შეშფოთება იმის თაობაზე, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები „მიმაგრებულია“ სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებსა და ინსტრუმენტებზე. სწორედ ამიტომ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კომიტეტის დასკვნები კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების შესახებ (CEACR) იძენდა აქტუალობას.²⁴⁶ თუნდაც ის ფაქტი, რომ ევროკავშირის პრეფერენციების გენერალიზებული სქემის დანერგვა

²⁴³ Tsogas G., Labour standards in the generalized system of preference of the European Union and the United States. *Eur J Ind Relat* 6:349–370, 2000, 436.

²⁴⁴ Howse R., Back to court after Shrimp/Turtle? Almost but not quite yet: India's short lived challenge to labor and environmental exceptions in the European Unions' generalized system of preferences. *Am Univ Int Law Rev* 18(6):1333–1381, 2003, 62. იხ. ასევე General Agreement on Tariffs and Trade (the GATT), 1994 & 1947, https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/agrmtseries2_gatt_e.pdf [19.02.2022].

²⁴⁵ Orbie J., Gistelinc M., Kerremans B., The social dimension of EU trade policies. In: Orbie J, Tortell L (eds) *The European Union and the social dimension of globalization: how the EU influences the world*. Routledge, Abingdon, 2009, 148–165; იხ. ასევე, Van den Putte L., Orbie J., EU bilateral trade agreements and the surprising rise of labour provisions. *Int J Comp Labour Law Ind Relat* 31(3):263–283, 2015, 54.

²⁴⁶ ILO (2012) Record of Proceedings, 101st ILC, Geneva, para. 146; კომენტარებისთვის იხ. ასევე Bellace J., The ILO and the right to strike. *Int Labour Rev* 153(1):29–70, 2014, 345. იხ. ასევე, La Hovary C., Employers' group 2012 challenge to the right to strike. *Ind Law J* 42 (4):338–368, 2013, 99. იხ. Swepston L., Crisis in the ILO supervisory system: dispute over the right to strike. *Int J Comp Labour Law Ind Relat* 29(2):199–218, 2013, 231. იხ. ILO (2015) Tripartite Meeting Report, TMF APROC/2015/2, Geneva.

ძირითადად ორიენტირებულია სტანდარტების გამოყენების კომიტეტის დასკვნებზე (CAS), სამხრეთი ორგანოს შემოღებამ, რომელშიც განისაზღვრა ვეტოს უფლება, მაინც არ დააკმაყოფილა დაინტერესებულ პირთა მოთხოვნები.²⁴⁷ გავლენის მოსაპოვებლად ამგვარი ნორმების დაწესებაზე შეიძლება შეთანხმდნენ სახელმწიფოები, თუმცა, რა თქმა უნდა, აღნიშნული დიდი კრიტიკის საგნად გადაიქცევა არა მხოლოდ ჩამოთვლილ პრინციპებთან დაკავშირებული საკითხების საფუძველზე, არამედ იმ პროცესებთან დაკავშირებითაც, რომელსაც მოიაზრებს განსახორციელებელი ნოვაციები.²⁴⁸

1.2. მდგრადი განვითარება

„მდგრადი განვითარების“ როგორც კონცეფციის „მოქნილობა“ გარკვეული პერიოდის განმავლობაში აკადემიური მსჯელობის საგანს წარმოადგენდა.²⁴⁹ რიოს დეკლარაციამ გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ 1992 წელს დაიწყო მდგრადი განვითარების მომწესრიგებელი ნორმების განსაზღვრა, რომელიც დაგვირგვინდა და საუკეთესოდ ჩამოყალიბდა 2002 წლის იოჰანესბურგის მდგრადი განვითარების დეკლარაციაში, რომლის მე-5 პუნქტში აღნიშნულია შემდეგი:

ჩვენ ვიღებთ კოლექტიურ პასუხისმგებლობას, გავაძლიეროთ და ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთ-გამაძლიერებელი საყრდენების ჩამოყალიბებას, როგორცაა

²⁴⁷ ევროკავშირის მიდგომის კრიტიკისთვის იხ. Vogt J., A little less conversation: the EU and the (non) application of labour conditionality in the generalized system of preferences (GSP). Int J Comp Labour Law Ind Relat 31 (3):285–230, 2015, 300-301. სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ კომისია ითხოვს CAS-ის მიერ „სპეციალური პუნქტის“ რეკომენდაციას, რაც რა თქმა უნდა, ყოველწლიურად არ გამოიყენება. ამ გზით ბანგლადეში და გვატემალა დაცულია სავაჭრო პრეფერენციების პოტენციური გაუქმებისგან.

²⁴⁸ La Hovary C., The ILO's mandate and capacity: creating, proliferating and supervising labour standards for a globalized economy, 2017, 402. In: Gott H., (ed) Labour standards in international economic law. Springer International Publishing, Cham, this volume.

²⁴⁹ Robinson J., Squaring the circle? Some thoughts on the idea of sustainable development. Ecol Econ 48:369–384, 2004, 267-268. იხ. ასევე, Novitz T., Mangan D., (eds) The role of labour standards in development: from theory to sustainable practice. British Academy/Oxford University Press, London, Oxford, 2011, 2.

- ეკონომიკური განვითარება, სოციალური განვითარება და გარემოს დაცვა - ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე.

ზემოაღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე, შრომის სტანდარტები მოიაზრება "სოციალურ" და "ეკონომიკურ" საყრდენებში, მაგრამ ბოლო დროს გამოიკვეთა კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობა მეოთხე "კულტურული" საყრდენის შემუშავებაზე.²⁵⁰ აღნიშნული დამატება შეიძლება მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ მდგრადი განვითარება და მასთან დაკავშირებული ასპექტები კვლავ წარმოადგენს აქტუალურ საკითხს.²⁵¹

2012 წელს, ბოლო საერთაშორისო სავაჭრო ინიციატივების ანალიზში, ლორანდ ბარტელსმა შენიშნა, რომ მდგრადი განვითარების შესახებ ცალკეული თავები იკვეთებოდა ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმებებში, რომლებიც მიუთითებდნენ შრომის სტანდარტების დაცვაზე.²⁵² ხსენებული თავები (ადამიანის უფლებათა სტანდარტული დებულებების საპირისპიროდ) წარმოადგენდა ახალ მეთოდს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ეთიკური მიზნების განსახორციელებლად. ბარტელსმა მოცემულ განვითარებაზე ჯერ კიდევ 2008 წელს გაამახვილა ყურადღება, მაგრამ ლორე ვან დენ პუტი და იან ორბი აღნიშნულს აღიქვამდნენ, როგორც პროგრამულ ცვლილებას, შემოღებულს პიტერ მანდელსონის მიერ, რომელიც დანერგილი იყო ევროკავშირის პრეფერენციების გენერალიზებულ სქემაში 2005 წლიდან და 2011 წლის ევროკავშირი-კორეის ყველა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაში.²⁵³

²⁵⁰ CULTURE, THE FOURTH PILLAR OF SUSTAINABILITY, Culture 2021, <https://www.agenda21culture.net/documents/culture-the-fourth-pillar-of-sustainability> [19.02.2022].

²⁵¹ Schrijver N., The evolution of sustainable development in international law: inception, meaning and status. Martinus Nijhoff, Leiden/Boston, 2008, 309.

²⁵² Bartels L., Human rights and sustainable development obligations in EU free trade agreements. Legal studies research paper series, University of Cambridge Faculty of Law, Paper No. 24/2012, 2012, 55.

²⁵³ Van den Putte L., Orbie J., EU bilateral trade agreements and the surprising rise of labour provisions. Int J Comp Labour Law Ind Relat 31(3):263–283, 2015, 398. იხ. ასევე, De Schutter O., Trade in the service of sustainable development: linking trade to labour rights and environmental standards. Hart/Bloomsbury, Oxford, 2015, 21.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ზემოხსენებული ცვლილების სამომავლო გავლენა შრომით-სამართლებრივი ნორმების შინაარსზე, რომელიც ხელშეწყობილია ამგვარი სავაჭრო ხელშეკრულებებით. გულისხმოს, თუ არა აღნიშნული შრომის სტანდარტების დაქვეითებას ადამიანის იმპერატიული უფლებიდან წარმოშობილი სხვა მიზნების წინაშე, რომლებიც ბუნებით გარემოსდაცვითი ან ეკონომიკურია? ან შეიძლება, თუ არა ასეთი მიდგომა იყოს შრომის სტანდარტების სოციალურ-ეკონომიკური, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ასპექტების განსაზღვრის საშუალება სავაჭრო ურთიერთობებში?

თანამედროვე აკადემიური მიდგომა კრიტიკულია დასახელებული ცვლილების მიმართ. ვან დენ პუტი და ორბი განიხილავენ მდგრადი განვითარების პოლიტიკის ჩარჩოს განვითარებას შრომის დებულებების „გადასინჯვას“ იმ პუნქტებისთვის, რომლებიც „უფრო ბუნდოვანი“ და „ორაზროვანია“.²⁵⁴

კერძოდ, შრომის სტანდარტების დაწესება:

იგივე დონეზე, როგორც გარემოსდაცვითი სტანდარტებს, რომელსაც გააჩნია კონკრეტული სამართლებრივი შედეგები პრობლემურია ადამიანის უფლებების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ირიბად ისინი ასევე არსებითი ელემენტების პუნქტის ნაწილს წარმოადგენენ, მათი ხსენება ასევე ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავში ზიანს აყენებს ადამიანის უფლებების განუყოფელ ხასიათს. გარდა ამისა, გაუგებარია, როგორ უნდა მოგვარდეს სოციალური ნორმების დარღვევა: შესაბამისი ზომების მიღებით, როგორც არსებითი ელემენტების დარღვევით არის განსაზღვრული, ან დავების გადაწყვეტის კონკრეტულ მექანიზმზე მითითებით, როგორც აღწერილია მდგრადი განვითარების თავში, აღნიშნულისთვის ისინი ძალიან განსხვავდებიან თავიანთი მიზნებისა და ზომების მიხედვით, რათა მოხდეს მათი გააერთიანება ერთი ზედამხედველობის მექანიზმში.²⁵⁵

²⁵⁴ Van den Putte L., Orbie J., EU bilateral trade agreements and the surprising rise of labour provisions. Int J Comp Labour Law Ind Relat 31(3):263–283, 2015, 32.

²⁵⁵ იხ. იქვე.

ბარტელსი აღნიშნავს შემდეგ მოსაზრებას: თუ „ძირითადი შრომის სტანდარტები“ განიხილება როგორც ადამიანის უფლებები, ისინი შეიძლება დაექვემდებარონ დავის გადაწყვეტას იმგვარად, რომ ითვალისწინებდეს სავაჭრო შეღავათების შეჩერებას. თუმცა აღნიშნულს არ ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, თუ ისინი განიხილება მდგრადი განვითარების ნაწილად, სადაც უფრო რბილი ზომები გამოიყენება.²⁵⁶ ავტორი ხაზს უსვამს ევროკავშირის ვალდებულებას, განიხილოს სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებები, როგორც განუყოფელი ერთმანეთისგან და განსაზღვრავს „შიდა თანმიმდევრულობის“ (*internal coherence*) ნაკლებობას ევროკავშირის ქმედებებში.²⁵⁷

ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტები, როგორც ჩანს, აღნიშნულ საკითხებს სცდება, მეორეს მხრივ კი, ვაჭრობის პირობითობა იმგვარი სენსიტიური საკითხია, რომ შრომის საერთაშორისო და ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან მის ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. ვაჭრობის პირობითობასთან დაკავშირებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მითითებას წარმოადგენს შემდეგი: *შესაძლებელ პუნქტთან შესაბამისობის თვალსაზრისით, იგივე უპირატესობები არ უნდა მიენიჭოს განვითარებად ქვეყნებს, რამდენადაც მათი რეჟიმი გამჭვირვალედ შეიძლება განისაზღვროს და გამართლებული იყოს განმასხვავებელი განვითარების საჭიროებებზე დაყრდნობით.*²⁵⁸

1.2.1. „მდგრადობის“ იდეა

1986 წლის დეკლარაცია განვითარების უფლების შესახებ მიუთითებს უფლებების „განუყოფელობაზე“, რომ „თანაბარი ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებას, ხელშეწყობასა და

²⁵⁶ Bartels L., Human rights and sustainable development obligations in EU free trade agreements. Legal studies research paper series, University of Cambridge Faculty of Law, Paper No. 24/2012, 2012, 203.

²⁵⁷ Bartels L., Human rights and sustainable development obligations in EU free trade agreements. Legal studies research paper series, University of Cambridge Faculty of Law, Paper No. 24/2012, 2012, 209.

²⁵⁸ WTO, European Communities – Conditions for the granting of Tariff Preferences to Developing Countries, WT/DS246/AB/R, 7 Apr 2004.

დაცვას“.²⁵⁹ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა ასპექტი განვითარებისთვის საჭიროდ არის აღიარებული. თუმცა, არ არის ნახსენები "მდგრადობის" ელემენტი, რომელიც მოგვიანებით გამოჩნდა მსოფლიო ასპარეზზე. ამ ტერმინის გენეზის საფუძველი ჩაუყარა ბრუნდტლანდის ანგარიშმა, რომელშიც მიჩნეულია, რომ მდგრადობა წარმოიქმნება იქ, სადაც პოლიტიკა „აკმაყოფილებს აწმყოს საჭიროებებს მომავალი თაობების საჭიროებების დაკმაყოფილების უნარზე კომპრომისის მიღწევის გარეშე“.²⁶⁰ მოცემული განმარტება იძლევა გარკვეული წარმოდგენის საშუალებას იმის გასაანალიზებლად, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია შრომის სტანდარტებს, როგორც აწმყოს საჭიროებებისთვის (ეკონომიკისა და სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით), ხოლო მომავლისთვის კი მუდმივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო სამართლის მიხედვით „მდგრადი განვითარების“ მნიშვნელობას ასევე შეისწავლის ვირჯინი ბარალი და ამ უკანასკნელს განმარტავს ორი პრინციპის კომბინაციის მიხედვით: ერთის მხრივ, თაობათაშორისი (intergenerational) თანასწორობა, რომელიც გულისხმობს სამართლიანობის კონცეფციას ახალგაზრდებისა და მოხუცების ურთიერთქმედებას შორის, ხოლო მეორეს მხრივ, შიდათაობათაშორისი (intragenerational) თანასწორობა, რომელიც ეხება სამართლიანობას თაობას შორის მიკუთვნებულ ინდივიდებს შორის.²⁶¹

გაეროს 1986 წლის დეკლარაციის, რიოს 1992 წლის და იოჰანესბურგის 2002 წლის დეკლარაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემულ დოკუმენტებში აღიარებული განვითარების უფლება არ წარმოადგენს მხოლოდ გარკვეული შედეგების უფლებას, არამედ იგი ნიშნავს უფლებას იყო აქტიური მონაწილე იმ პროცესში, რომლითაც მიიღწევა ეს შედეგები. ასე, მაგალითად, გაეროს დეკლარაციის 1(1) მუხლი არა მხოლოდ ხაზს უსვამს, რომ განვითარება ადამიანის უფლებათა, არამედ იგი მიიჩნევა უფლებად, რომლის ძალითაც ყოველ ადამიანს გააჩნია მინიჭებული უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა შემდეგი გზებით: „ადამიანის უფლება - მონაწილეობა მიიღოს, წვლილი შეიტანოს და

²⁵⁹ Declaration on the Right to Development GA Res. 41/128, 4 Dec 1986, Art. 6 (2), Art. 9.

²⁶⁰ World Commission on Environment and Development (WECD) (1987) Our common future, The Brundtland Report. <http://www.un-documents.net/our-common-future.pdf> [20.02.2022].

²⁶¹ Barral V., Sustainable development in international law: nature and operation of an evolutive legal norm. Eur J Int Law 23(2):377–400, 2012, 49.

ისარგებლოს. “რიოს დეკლარაციის მე-10 პრინციპი ასევე აღნიშნავს, რომ „ეკოლოგიური საკითხების ეფექტურად და სწაფად მოგვარება შესაძლებელია ყველა დაინტერესებული მოქალაქის მონაწილეობით [...]“ კონცეფციის სრულყოფა მოითხოვს ანორმატიულ ხედვას იმის შესახებ, თუ რა შეიძლება უზრუნველყოფდეს შრომითი უფლებების მუდმივ, აწმყო და მომავალ კეთილდღეობას. მდგრადობის იდეა დინამიურია ან როგორც ბარალი ამბობს, „იგი არ მიიჩნევა სტატიკურ კონცეფციად“.²⁶² გარდა ამისა, განვითარების მდგრადობა მოითხოვს აქტიურ ფორმებს დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენლებისგან, ისევე როგორც სხვა მოქალაქეებისგან.²⁶³

2015 წლის ოქტომბერში გაერომ მიიღო 17 „მდგრადი განვითარების მიზანი“ (SDGs), რომელმაც ჩაანაცვლა ათასწლეულის განვითარების მიზნები (MDGs). აღნიშნული მოიცავს "მდგრადობის" უფრო ფართო კონცეფციას, განსხვავებით ათასწლეულის განვითარების მიზნებისგან. შრომის სტანდარტებისა და ვაჭრობის პირობითობის მიზნებისთვის ყველაზე აქტუალური მიზანია მე-8, რომლის თანახმადაც: მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანია „ხელი შეუწყოს მდგრად, ინკლუზიურ და ეფექტურ ეკონომიკურ ზრდას, პროდუქტიულ დასაქმებას და ღირსეულ სამუშაოს ყველასთვის.“²⁶⁴ დასახელებულ ზოგად მისწრაფებას ახლავს მიზნების უფრო კონკრეტული ჩამონათვალი, როგორიცაა: სამუშაო ადგილების შექმნა, უფრო ეფექტური სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა, ბავშვთა შრომისა და იძულებითი შრომის პრევენცია, ასევე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. მოცემული თვალსაზრისით, გაეროს შემოთავაზებული ინსტრუმენტი ასახავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ღირსეული სამუშაო დღის წესრიგის სხვადასხვა ასპექტს (და არა მხოლოდ შრომის ძირითად სტანდარტებს).²⁶⁵ განსხვავებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სოციალური დიალოგი არ არის ნახსენები მე-8 მიზანში, არამედ იგი განსაზღვრულია მე-16 მიზანში, რომლის თანახმად: მდგრადი

²⁶² Barral V., Sustainable development in international law: nature and operation of an evolutive legal norm. Eur J Int Law 23(2):377–400, 2012, 50.

²⁶³ Novitz T., The paradigm of sustainability in a European social context: collective participation in protection of future interests? Int J Comp Labour Law Ind Relat 31(3):243–262, 2015, 64.

²⁶⁴ Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development, GA Res 70/1, 2015.

²⁶⁵ UN (2012) Doc A/RES/66/288, para 23.

განვითარების ერთ-ერთი მიზანია „მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, ყველასთვის სამართლიანობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ყველა დონეზე ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნა.“ აღსანიშნავია, რომ პროფკავშირები დასახელებულ თავში კონკრეტულად არ არის ნახსენები, მაგრამ აღიარებულია მისი აუცილებლობა შემდეგი დათქმით, მდგრადი განვითარება ასევე მოიცავს ”პასუხისმგებელი, ინკლუზიური, მონაწილეობითი და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფას ყველა დონეზე“.²⁶⁶

1.2.2 კავშირი შრომის უფლებებსა და გარემოსდაცვით საკითხებს შორის: რა ფარგლებშია შესაძლებელი მათი განცალკევებულობა?

ბარალის მდგრადი განვითარების კონცეფცია შეიძლება ვიწრო განმარტებად წარმოგვიდგეს, რადგან იგი მდგრად განვითარებას განსაზღვრავს "მხოლოდ მაშინ, როდესაც გარანტირებულია როგორც თაობათაშორისი (გარემოს დაცვა) ასევე შიდა თაობათაშორისი (სამართლიანი ეკონომიკური და სოციალური განვითარება) ურთიერთქმედება და აღნიშნული მიიღწევა მათი ინტეგრაციის გზით".²⁶⁷ შესაბამისად, ვერასდროს იქნებოდა რელევანტური შრომის სტანდარტების მდგრადი განვითარების მარეგულირებელ პუნქტში გათვალისწინება, რათა მომხდარიყო მისი გარემოსდაცვითი საკითხებისგან განცალკევებით რეგულირება. მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მდგრადობის გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური განზომილებები უნდა იყოს ერთობლივად და ცალმხრივად აღსასრულებელი, როგორც განვითარების შემადგენელი ნაწილი. ტონია ნოვიცის აზრით კი „სოციალური პოლიტიკა, მათ შორის შრომის სტანდარტები და ადამიანის უფლებები, სასიცოცხლო საყრდენია მდგრადი განვითარების პროცესში. სხვა საყრდენების ურთიერთ-გამძლიერებისას, ისინი

²⁶⁶ Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development, GA Res 70/1, 25 Sep 2015, SDG 16.7.

²⁶⁷ Barral V., Sustainable development in international law: nature and operation of an evolutive legal norm. Eur J Int Law 23(2):377–400, 2012, 64.

უნდა განხორციელდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე შეექმნება მდგრადი განვითარების მთელ პროცესს (გრძელვადიანი პროგრესი).“

ასეთი მიდგომის გარკვეული მტკიცებულება არსებობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზანში, რომლებიც ერთის მხრივ, აღწერილია როგორც „ინტეგრირებული“ და „ერთმანეთზე დამოკიდებული“, თუმცა მეორეს მხრივ, გარემოს დაცვა ცალსახად არ არის ნახსენები თითოეულ დისკრეტულ მიზანში (და ქვემიზნებში).²⁶⁸ კონკრეტული ღონისძიებები უნდა იქნას გატარებული მდგრადი განვითარების თითოეული მიზნის ეფექტურობისთვის, რომელიც თავის მხრივ იმპერატიულად არ ითვალისწინებს გარემოსდაცვით ზომებს, თუმცა გამოსადეგი იქნებოდა მდგრადი განვითარების მიზანთან დაკავშირებით იმგვარი ზომების გატარება, რომელიც ყურადღებას გაამახვილებდა მდგრადობის გარემოსდაცვით, ასევე ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტების განვითარებაზე.

უდავოა, რომ ძირითადი შრომის სტანდარტები, რომლებიც ასევე შეიძლება განიხილებოდეს როგორც ადამიანის უფლებები, არის ეკონომიკური კეთილდღეობისა და გარემოს დაცვის სხვა ფორმების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტი. გაერთიანების თავისუფლების გარეშე ვერ განხორციელდება სამუშაო ადგილზე გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება.²⁶⁹ დისკრიმინაციისგან დაცვის შესაბამისი მექანიზმების გარეშე საგრძნობლად მცირდება ყველა ადამიანის შესაძლებლობა, წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვაში, ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სოციალურ პოლიტიკაში; შესაბამისად, ფართო გლობალური მხარდაჭერის გარეშე, დასახელებული

²⁶⁸ Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development, GA Res 70/1, 2015, para. 5.

²⁶⁹ Galgoczi B., The changing role of trade unions in the sustainable development agenda. *Int Rev Sociol* 24(1):59–68, 2014, 63; იხ. ასევე, Lund HL., Strategies for sustainable business and the handling of workers’ interests: integrated management systems and worker participation. *Econ Ind Democr* 25(1):41–74, 2004, 45–48; იხ. ასევე, Rathzel N., Uzzell D., (eds) Trade unions in the green economy. Routledge, Abingdon; 2013, 95. იხ. ასევე, European Trade Union Confederation (2010) Resolution on a sustainable new deal for Europe and towards Cancun. ETUC, Brussels; იხ. ILO (2010) Cancun agreement: ILO highlights call for a ‘Just Transition’ with green jobs and decent work. ILO, Geneva; იხ. Trades Union Congress (TUC) (2014) The union effect: greening the workplace. TUC, London.

მიზნების მიღწევა ნაკლებად სავარაუდოა. გარდა აღნიშნულისა, არასრულწლოვანთა დაცვა იძულებითი შრომისგან უზრუნველყოფს იმას, რომ დამსაქმებლების მხრიდან არ მოხდეს იძულება მათთვის საშიში და საფრთხის შემცველი სამუშაო პირობებში საქმიანობის განსახორციელებლად. ასევე შეიძლება აღინიშნოს, რომ ბავშვთა იძულებითი შრომის აკრძალვა ემსახურება თაობათაშორისი სამართლიანობის უფრო დიდ მიზანს და, შესაბამისად, მომავალი თაობების არა მხოლოდ გარემოსდაცვით, არამედ ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას.

ზემოხსენებული მოცემულობა შეგვიძლია განვიხილოთ ამარტია სენის იდეასთან მიმართებით - „განვითარება, როგორც თავისუფლება“.²⁷⁰ ავტორის მიერ წარმოდგენილ კვლევაში ცალსახად არის აღიარებული დასაქმებულებისთვის ფართო შესაძლებლობების მინიჭების მნიშვნელობა.²⁷¹

მართა ნუსბაუმი აღნიშნულ შეფასებას ეყრდნობა იმ საკითხის განსაზღვრით, თუ რა მიიჩნევა „ადამიანის ცენტრალურ შესაძლებლობებად“, რაც საჭიროა ღირსეული ცხოვრებისათვის: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, გრძნობები, წარმოსახვა და აზროვნება, ემოციები, საკუთრება, თამაში, პოლიტიკური და მატერიალური კონტროლი საკუთარ გარემოზე.²⁷² რამდენადაც ადამიანის უფლებები, სწორედ ზემოხსენებულ ფაქტორებთან ასოცირდება და ისინი დაცულია. ამ გზით ნუსბაუმი გვთავაზობს ალტერნატიულ პერსპექტივას სამოქალაქო, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებთან და მათ ღირებულებასთან დაკავშირებულ დებატებზე.²⁷³

²⁷⁰ Sen A., *Development as freedom*. Oxford University Press, Oxford, 1999, 17.

²⁷¹ Sen A., *Development as freedom*. Oxford University Press, Oxford, 1999, 27-30; 112-116.

²⁷² Langille B., *Core labour rights – the true story (reply to Alston)*. *Eur J Int Law* 16:409–437, 2005, იხ. ასევე, Fudge J., *The new discourse of labor rights: from social to fundamental rights?* *Comp Labor Law Policy J* 29:29–66;, 2007, 78. იხ. ასევე, Bogg A., *Labour law and the trade unions: autonomy and betrayal*, 2015, In: Bogg A., Costello C., Davies ACL., Prassl J., (eds) *The autonomy of labour law*. Hart Publishing, Oxford, 2015, 73–106.

²⁷³ Nussbaum M., *Capabilities as fundamental entitlements: Sen and social justice*. *Fem Econ* 9:33–59, 2003, 36; იხ. ასევე, Nussbaum M., *Women and human development: the capabilities approach*. Cambridge University Press, Cambridge, 2000, 29.

ამრიგად, შესაძლებელია, ადამიანის უფლებები (დასაქმებულთა თავისუფლება, ორგანიზება) განისაზღვროს, როგორც მდგრადი განვითარების შემადგენელი ნაწილი. მართლაც, აღნიშნული აღიარებულია მდგრადი განვითარების მიზანში 16.10, რომელიც სახელმწიფოებისგან მოითხოვს, „ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად“. დასახელებული სამართლებრივი სიკეთეების დაცვა შეიძლება მიღწეულ იქნეს ეკონომიკურ ან გარემოსდაცვით მიზნებთან ერთად.

დასკვნა

შრომის სტანდარტების განსაზღვრისთვის მდგრადი განვითარების შესახებ რეგულაციის გამოყენება სავაჭრო ხელშეკრულებებში საკამათო საკითხს არ წარმოადგენს. აღნიშნული ცალსახად ორიენტირებულია ძირითად შრომით უფლებებზე და აყალიბებს ინკლუზიურ მიდგომას ღირსეული სამუშაო დღის წესრიგისთვის. შრომითი სტანდარტების განსაზღვრა გარემოს, ეკონომიკის და თუნდაც კულტურის ინტერესებთან ერთად არ უნდა აფერხებდეს ზოგიერთი შრომითი უფლების, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის შესაძლებლობას. მდგრადი განვითარების ჩარჩოს ფარგლებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროფკავშირების ძალა საზოგადოებაში, რათა ხელი შეეწყოს ვაჭრობისადმი დინამიური, წინდახედული და გამძლე მიდგომას. თუმცა, უდავოა, რომ მდგრადი განვითარების რეალიზაცია არ წარმოადგენს მარტივ პროცესს.

ვაჭრობისა და შრომის სტანდარტებში მდგრადი განვითარების პრაქტიკული გამოყენების ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი სამი რეკომენდაციის ჩამოყალიბება:

- ერთის მხრივ, რომ მდგრადი განვითარების შესახებ რეგულაციების გამოყენება სავაჭრო ინსტრუმენტებში არ იძლევა გარანტიას, რომ აუცილებლად მოხდება დასაქმებულთა უფლებების შესაბამისი დაცვა; აღნიშნულს ცხადყოფს ევროკავშირის პრეფერენციების გენერალიზებული სქემა (GSP), რომელიც არ სცილდება შრომის ძირითად სტანდარტებს და

მასთან დაკავშირებულ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს.

- მეორეს მხრივ, ვინაიდან მდგრადი განვითარება წარმოადგენს ადამიანის თავისუფლებისა და შესაძლებლობების გაზრდის გარანტიას, აუცილებელია იმგვარი რეგულაციების შემუშავება, რომელიც ცალსახად მოაწესრიგებს სავაჭრო ხელშეკრულებებში შრომითი სტანდარტების გათვალისწინებისა და რელევანტურად განსაზღვრის საკითხს. აღნიშნული ქმედებების განხორციელებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბების გარეშე მდგრად განვითარების შედეგების მიღწევა არ იქნება შესაძლებელი.
- შემოთავაზებულ მესამე რეკომენდაციას წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვისა და მდგრადი განვითარების მისაღწევად, შრომის სტანდარტების სწორედ ვაჭრობის პირობებში გათვალისწინება და ინტეგრირება. შრომის სტანდარტები უნდა ქმნიდეს გარკვეულ ჩარჩოს ვაჭრობის თავისუფლებებზე, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფოები და კერძო აქტორები. ამ მხრივ, ფედერალური საგადასახადო ორგანოს ცალკეული თავი სახელწოდებით „მდგრადი განვითარება“ ძალიან სუსტ ინსტიტუტად უნდა იქნეს მიჩნეული.

რეკომენდებულია, რომ შრომის სტანდარტები წარმოადგენდეს უპირატეს ღირებულებას, რომელთა ადეკვატური რეგულირება განხორციელებდა შრომით ხელშეკრულებებში და ჩაითვლება როგორც დასაქმებულთა, ასევე დამსაქმებელთა ინფორმირებულობის, მათი უფლებების დაცვის გარანტია.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მდგრადი განვითარების ინსტიტუტი ნამდვილად ღირებული მექანიზმია, თუმცა დღესდღეობით სავაჭრო ურთიერთობებში მათი გათვალისწინება და აღნიშნულის საფუძველზე შრომის სტანდარტებისთვის უფრო მეტი დაცულობის ხარისხის მინიჭება ნაკლებად განხორციელებადია.

ბიბლიოგრაფია

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950;
2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მინისტრიალის კონფერენციის სინგაპურის დეკლარაცია, 1996;
3. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაცია სოციალური სამართლიანობის შესახებ სამართლიანი გლობალიზაციისთვის, 2008;
4. General Agreement on Tariffs and Trade (the GATT), 1994 & 1947, <https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/agrmtseries2_gatt_e.pdf> [Last seen 19.02.2022];
5. Declaration on the Right to Development GA Res. 41/128, 4 Dec 1986;
6. European Trade Union Confederation (2010) Resolution on a sustainable new deal for Europe and towards Cancun. ETUC, Brussels;
7. ILO Declaration concerning the aims and purposes of the International Labour Organisation, adopted on 10 May 1944, Art. II(C);
8. ILO Declaration on Fundamental Principles and Rights at Work, <<https://www.ilo.org/declaration/lang--en/index.htm>> [Last seen 19.02.2022];
9. ILO (2010) Cancun agreement: ILO highlights call for a 'Just Transition' with green jobs and decent work. ILO, Geneva;
10. ILO (2012) Record of Proceedings, 101st ILC, Geneva;
11. ILO (2015) Tripartite Meeting Report, TMF APROC/2015/2, Geneva;
12. Optional Protocol to the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, GA Res. A/RES/63/117;
13. Trades Union Congress (TUC) (2014) The union effect: greening the workplace. TUC, London;
14. UN (2012) Doc A/RES/66/288;
15. WTO, European Communities – Conditions for the granting of Tariff Preferences to Developing Countries, WT/DS246/AB/R, 7 Apr 2004;
16. World Commission on Environment and Development (WECD) (1987) Our common future, The Brundtland Report. <<http://www.un-documents.net/our-common-future.pdf>> [Last seen 20.02.2022];

17. Alston P., The United Nations' specialized agencies and implementation of the international covenant on economic, social and cultural rights. *Columbia J Transl Law* 18:79–118, 1979;
18. Bellace J., The ILO and the right to strike. *Int Labour Rev* 153(1):29–70, 2014;
19. Bartels L., Human rights and sustainable development obligations in EU free trade agreements. Legal studies research paper series, University of Cambridge Faculty of Law, Paper No. 24/2012, 2012;
20. Barral V., Sustainable development in international law: nature and operation of an evolutive legal norm. *Eur J Int Law* 23(2):377–400, 2012;
21. Bogg A., Labour law and the trade unions: autonomy and betrayal. In: Bogg A, Costello C, Davies ACL, Prassl J (eds) *The autonomy of labour law*. Hart Publishing, Oxford, 2015;
22. Dworkin R., *Taking rights seriously*. Duckworth, London, 1977;
23. De Schutter O., Trade in the service of sustainable development: linking trade to labour rights and environmental standards. Hart/Bloomsbury, Oxford, 2015;
24. Ewing KD., Social rights and constitutional law. *Public Law*:104–123, 1999;
25. Fenwick C., Novitz T., (eds) *Human rights at work: perspectives on law and regulation*. Hart Publishing, Oxford, 2000;
26. Fudge J., The new discourse of labor rights: from social to fundamental rights? *Comp Labor Law Policy J* 29:29–66, 2007;
27. Galgoczi B., The changing role of trade unions in the sustainable development agenda. *Int Rev Sociol* 24(1):59–68, 2014;
28. Hare I., Social rights as fundamental human rights. In: Hepple B (ed) *Social and labour rights in a global context: international and comparative perspectives*. Cambridge University Press, Cambridge, 2002;
29. Howse R., Back to court after Shrimp/Turtle? Almost but not quite yet: India's short lived challenge to labor and environmental exceptions in the European Unions' generalized system of preferences. *Am Univ Int Law Rev* 18(6):1333–1381, 2003;
30. La Hovary C., Employers' group 2012 challenge to the right to strike. *Ind Law J* 42 (4):338–368, 2013;

-
31. La Hovary C., The ILO's mandate and capacity: creating, proliferating and supervising labour standards for a globalized economy, 2017. In: Gott H., (ed) Labour standards in international economic law. Springer International Publishing, Cham, this volume;
 32. Lund HL., Strategies for sustainable business and the handling of workers' interests: integrated management systems and worker participation. *Econ Ind Democr* 25(1):41–74, 2004;
 33. Langille B., Core labour rights – the true story (reply to Alston). *Eur J Int Law* 16:409–437, 2005;
 34. Mantouvalou V., Are labour rights human rights? *Eur J Int Law* 3(2):151–172, 2012;
 35. McCrudden C., Davies ACL., A perspective on trade and labour rights. *J Int Econ Law* 3 (1):43–62, 2000;
 36. Murray J., Taking social rights seriously: is there a case for institutional reform of the ILO? 2010. In: Fenwick C., Novitz T., (eds) *Human rights at work: perspectives on law and regulation*. Hart Publishing, Oxford, 2000;
 37. Novitz T., The paradigm of sustainability in a European social context: collective participation in the protection of future interests? *Int J Comp Labour Law Ind Relat* 31(3):243–262, 2015;
 38. Novitz T., Labour standards and trade: need we choose between 'human rights' and 'sustainable development'? In: Gott H (ed) *Labour standards in international economic law*. Springer International Publishing, Cham. this volume, 2017;
 39. Novitz T., Mangan D., (eds) *The role of labour standards in development: from theory to sustainable practice*. British Academy/Oxford University Press, London, Oxford, 2011;
 40. Nussbaum M., *Women and human development: the capabilities approach*. Cambridge University Press, Cambridge, 2000;
 41. Nussbaum M., Capabilities as fundamental entitlements: Sen and social justice. *Fem Econ* 9:33–59, 2003;
 42. Nussbaum M., *Creating capabilities: the human development approach*. Harvard University Press, Cambridge, 2011;
 43. Orbie J., Gistelinck M., Kerremans B., The social dimension of EU trade policies. In: Orbie J, Tortell L (eds), 2009;

44. Robinson J., Squaring the circle? Some thoughts on the idea of sustainable development. *Ecol Econ* 48:369–384, 2004;
45. Rathzel N., Uzzell D., (eds) *Trade unions in the green economy*. Routledge, Abingdon, 2013;
46. Swepston L., Crisis in the ILO supervisory system: dispute over the right to strike. *Int J Comp Labour Law Ind Relat* 29(2):199–218, 2013;
47. Sen A., *Development as freedom*. Oxford University Press, Oxford, 1999;
48. Schrijver N., *The evolution of sustainable development in international law: inception, meaning and status*. Martinus Nijhoff, Leiden/Boston, 2008;
49. Tsogas G., Labour standards in the generalized system of preference of the European Union and the United States. *Eur J Ind Relat* 6:349–370, 2000;
50. Van den Putte L., Orbie J., EU bilateral trade agreements and the surprising rise of labour provisions. 31(3):263–283, 2015;
51. Vandenhole W., Completing the UN complaint mechanisms for human rights violations step by step: towards a complaints procedure complementing the international covenant on economic, social and cultural rights. *Neth Q Hum Rights* 21(3):423–465, 2003;
52. Vogt J., A little less conversation: the EU and the (non) application of labour conditionality in the generalized system of preferences (GSP). *Int J Comp Labour Law Ind Relat* 31 (3):285–230, 2015;
53. Culture, The Fourth Pillar of Sustainability, Culture 2021, Culture 2021, <<https://www.agenda21culture.net/documents/culture-the-fourth-pillar-of-sustainability>> [Last seen 19.02.2022];
54. Decent Work And The 2030 Agenda For Sustainable Development, <https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---europe/---ro-geneva/---ilo-lisbon/documents/event/wcms_667247.pdf> [Last seen 19.02.2022];
55. Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development, GA Res 70/1, 25 Sep 2015;
56. The European Union and the social dimension of globalization: how the EU influences the world. Routledge, Abingdon, <https://www.routledge.com/The-European-Union-and-the-Social-Dimension-of-Globalization-How-the-EU/Orbie-Tortell/p/book/9780415663984> [Last seen 21.02.2022].